საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№09 (480)
13 – 19 მარტი, 2019
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## «ზარმაცი» ქართველები «ძალიან მაგარი მენეჯერების» პირისპირ 9



## ნეოლიბერალთა ორკესტრირებული შეტევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე 4



„ანთებული კელაპტრებით ხელში რომ ჩამწკრივ-ამწკრივებით სამების ტაძარში და მუხლმოდრეკით ეთაყვანებით კათოლიკოს-პატრიარქს, თუ „სიაფანდი“ არ არის თქვენი „ალილუია“ და „მამაო ჩვენო“, რას დადუმებულხართ ამ ბოროტებაზე?“

## «თუ ასე გაგრძელდება, ქართველთა ნასოფლარებზე მალე ირანული და ინდური დასახლებები აღმოცენდება» 2



2017 წლის I-VI თვის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები (წინასწარი მონაცემები)

| | ცოცხლად დაბადება | გარდა-ცვალება |
|---|---|---|
| სულ საქართველოში | 25,543 | 25,954 |
| თბილისი | 9,435 | 7,117 |
| აფხაზეთი | — | — |
| აჭარა | 2,714 | 2,144 |
| გურია | 577 | 929 |
| იმერეთი | 3,352 | 4,700 |
| კახეთი | 1,874 | 2,402 |
| მცხეთა-მთიანეთი | 464 | 705 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი | 114 | 345 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 1,889 | 2,569 |
| სამცხე-ჯავახეთი | 855 | 917 |
| ქვემო ქართლი | 2,681 | 2,345 |
| შიდა ქართლი | 1,588 | 1,781 |

## «თქვენი გაზეთის მეშვეობით ვეუბნები ქალბატონ ლომჯარიას, რომ აუცილებლად დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი» 5



## აზიელი და აფრიკელი მიგრანტები კანონში არსებული «ხვრელების» საშუალებით საქართველოში დარჩენას განუსაზღვრელი ვადით ახერხებენ 3






## ევროპის დაისი



5 მიზეზი – რატომ არის ევროკავშირის დაშლა გარდაუვალი 10

## «საით მივდივართ და რა გვინდა?! ვის ვეტმასნებით და რატომ?!» 21




## ხაზარაძის ვა-ბანკი 7



დემოგრაფია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩამოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს და ისინი სწორედ იმ სახლებს იკავებენ, რომლებიც ქართველებისგან დაიცალა. ათეულობით სახლი შეიძინეს იმავე რაჭა-ლეჩხუმში ირანელებმა, ინდოელებმა და ახლა ისინი ქართველების „შეხუჭუჭებას“ ცდილობენ, რათა მიწები იყიდონ და გახდნენ მიწის ფაქტობრივი მფლობელები, მერე დაამუშაონ და სოფლად დარჩენილი გაღატაკებული მოსახლეობა მონებივით კაპიკებზე ამუშაონ.**

# თუ ასე გაგრძელდება, ქართველთა ნასოფლარებზე მალე ირანული და ინდური დასახლებები აღმოცენდება

## ქვეყანაში შექმნილ კატასტროფულ დემოგრაფიულ ვითარებაზე კრინტს არ ძრავს ხელისუფლება

**გასული საუკუნის 80-იან წლებში, კომუნისტების ზეობის ხანაში, იყო ასეთი ლოზუნგი: „მთას დავუბრუნოთ მთიელი“. იმ ეპოქაში, როცა თურმე ჩვენს გადაშენებას ცდილობდნენ, რათა საქართველო გამქრალიყო, კომუნისტები შეაშფოთა იმან, რომ მთა მოსახლეობისგან იცლებოდა და უკაცრიელდებოდა. მოგეხსენებათ, თუ საქართველოს ბარში მრავალი ეთნოსი ცხოვრობს, მთაში ასე არ არის — მხოლოდ ქართველებითაა დასახლებული თუშ-ფშავ-ხევსურეთი, რაჭა, სვანეთი. რა გამოდის? პირსისხლიანი კომუნისტები ქართველებზე ზრუნავდნენ თურმე. კომუნიზმის დანგრევის შემდეგ კი ეს გეგმა საბოლოოდ ჩავარდა და სოფლები ნასოფლარებად იქცა.**

სოფლებში, სადაც 200-250 კომლი ცხოვრობდა, ახლა, საუბედუროდ, 2-3 ოჯახია შემორჩენილი და ისიც მოხუცები. მათი გარდაცვალების შემდეგ კი, ის სოფლებიც ნასოფლარებად იქცევა, და ის ორიოდე ნათურაც, რომელიც იმედის სხივად კიაფობს, საბოლოოდ ჩაქრება.

სხვათა შორის, რაჭა-ლეჩხუმში, გაუკაცრიელებულ და გატყიურებულ სოფლებში მდგარი ძველებური ხის ოდები 3-4 ათასად იყიდება და, ძირითადად, აზიელები ყიდულობენ, აქაოდა, ამ მხარეში კარგი ხილი მოდის და ეკოლოგიურად სუფთააო. ის ადამიანები კი, რომლებსაც მამაპაპისეული ადგილისკენ, რამდენიმე წელია, არ გაუხედავთ, 3-4 ათასზე მარტივად თანხმდებიან და ამ ფასად დედაქალაქში... ან ქირას იხდიან, ან ახალ ტანსაცმელს ყიდულობენ, ან...

ეს ყველაფერი იმიტომ მოგიყევით, რომ რეგიონების მიხედვით, 2017 წლის პირველი ექვსი თვის დემოგრაფიული სტატისტიკა უნდა გაგაცნოთ. 2018 წლის სტატისტიკა ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა ვეჭვობთ, 2017 წელთან შედარებით, უარესი თუ არა, უკეთესი ნამდვილად არ იქნება.

2017 წლის პირველ ექვს თვეში საქართველოს დედაქალაქში **25 543 ბავშვი დაიბადა.** ეს არის ცოცხლად დაბადებული ბავშვების სტატისტიკა. იმავე წელს თბილისში **25 954 ადამიანი გარდაიცვალა,** ანუ დედაქალაქში, სადაც ვითომ ყველა პირობა გვაქვს არსებობისთვის, **მოკვდავობამ შობადობას 400-ზე მეტით გადააჭარბა.** და კიდევ ვიმეორებთ: ეს — დედაქალაქში, ანუ იქ, სადაც ყველა ცდილობს, ჩამოვიდეს, იცხოვროს, ბედს ეწიოს...

აღნიშნულ სტატისტიკაში არ არის აფხაზეთის მონაცემები, თუმცა არის შიდა ქართლის. რა თქმა უნდა, იმ ტერიტორიების გამოკლებით, რომლებზეც ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება. შიდა ქართლში **1588 ბავშვი დაიბადა, 1781 ადამიანი კი გარდაიცვალა,** ანუ სხვაობა დაახლოებით **200 კაცია.**

წერილის დასაწყისში მთა ვახსენეთ და, **კატასტროფად შეიძლება შეფასდეს ის სიტუაცია, რომელიც რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია.** ერთი შეხედვით, ტერიტორიულად **ამ დიდ რეგიონში, სადაც ოთხი მუნიციპალური ცენტრია განლაგებული (ცაგერი, ონი, ამბროლაური, ლენტეხი) და მთლიანობაში 251 სოფელს აერთიანებს, 2017 წლის პირველ ნახევარში 114 ბავშვი დაიბადა. ანუ, ორ სოფელსა და უფრო მეტში წლის განმავლობაში ერთი ბავშვი იბადება.** გარდაცვლილთა რაოდენობა კი **345-ია, ზუსტად სამჯერ მეტი და ამიტომაც ვამბობთ, რომ ეს კატასტროფაა.** ისე, იმ დროს, როცა დაიწყო განხორციელება პროგრამისა „მთას დავუბრუნოთ მთიელი“, რეგიონში, აღწერის მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობა 60 ათასს აჭარბებდა, მაგრამ კომუნისტებს ეს არ აკმაყოფილებდათ, — აქაოდა, 1960-იან წლებში მოსახლეობა ასი ათასამდე იყოო. დღევანდელი მონაცემებით, რეგიონში 30 ათასი ადამიანი ცხოვრობს და პირდაპირ ვთქვათ, რომ ეს მონაცემი გაბერილია. იმ ადამიანების უდიდესი ნაწილი, რომელიც რეგისტრირებულია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ადგილზე არ ცხოვრობს — ან თბილისშია ბედის საძებნელად, ან ევროპაში.

**გურიის რეგიონში 577 ბავშვი დაიბადა, 929 ადამიანი კი გარდაიცვალა.** ოფიციალურად გურიის რეგიონში 110 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 190 ადამიანზე ერთი დაბადებული ბავშვი მოდის, რაც, ძალიან ცოტა კი არა, კატასტროფაა. ათკაციანი ოჯახები რომ ვიგულისხმოთ, გამოვა, რომ ყოველ 19 ოჯახზე მხოლოდ ერთი ბავშვი მოდის. ათკაციანი ოჯახები კი საქართველოში უდიდესი იშვიათობა რომ არის, თავადაც მოგეხსენებათ.

**სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე** ზუგდიდს, აბაშას, მარტვილს, ფოთს, სენაკს, წალენჯიხას, ხობს, ჯვარს, ჩხოროწყუსა და მესტიას აერთიანებს. ამ მუნიციპალურ ცენტრებში, საერთო ჯამში, 491 სოფელი შედის. ჰოდა, ამ 10 მუნიციპალურ ცენტრსა და 491 სოფელში 1889 ბავშვი დაიბადა, 2569 ადამიანი კი გარდაიცვალა. გურიისა არ იყოს, შეიძლება ითქვას, რომ ეს მონაცემიც კატასტროფულია. 175 ადამიანზე მხოლოდ ერთი დაბადებული ბავშვი მოდის, რაც, ძალიან ცოტა კი არა, ზღვაში წვეთიც არ არის.

ხშირად მოისმენთ, საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი მხარე **კახეთია,** აქ სოფლის მეურნეობა კარგად არის განვითარებული და მეღვინეობა ყვავისო. ჰოდა, ამ უმდიდრეს მხარეში, სტატისტიკის თანახმად, 1874 ბავშვი დაიბადა, გარდაცვლილთა რაოდენობამ კი 2042-ს მიაღწია, ანუ ბალანსი აქაც უარყოფითია. შესაბამისად, უმდიდრესი თუ უღარიბესი მხარე რაიმეს აღმნიშვნელი არ არის — ტენდენცია, პრაქტიკულად, ერთნაირია: მოსახლეობის კატასტროფული შემცირება.

ანალოგიური რამ ითქმის **იმერეთზე,** მხარეზე, რომელიც, პრაქტიკულად, 100 პროცენტით ქართველებით არის



**ხშირად მოისმენთ, საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი მხარე კახეთია, რომელშიც სოფლის მეურნეობა კარგად არის განვითარებული და მეღვინეობა ყვავისო. ჰოდა, ამ უმდიდრეს მხარეში, სტატისტიკის თანახმად, 1874 ბავშვი დაიბადა, გარდაცვლილთა რაოდენობამ კი 2042-ს მიაღწია, ანუ ბალანსი აქაც უარყოფითია. შესაბამისად, უმდიდრესი თუ უღარიბესი მხარე რაიმეს აღმნიშვნელი არ არის — ტენდენცია, პრაქტიკულად, ერთნაირია: მოსახლეობის კატასტროფული შემცირება**

დასახლებული. იმერეთში, ოფიციალურად, 550 ათასი ადამიანი ცხოვრობს. უხეშად რომ დავიანგარიშოთ და ამ ციფრის 10 პროცენტი, ანუ 55 ათასი ოჯახი ავიღოთ, გამოვა, რომ 16 ოჯახზე ერთი ახალშობილი მოდის — 2017 წლის პირველ ექვს თვეში იმერეთში 3 352 ბავშვი დაიბადა, 4 700 ადამიანი კი გარდაიცვალა.

**მცხეთა, დუშეთი, ზაჰესი, ახალგორი, ყინვალი, თიანეთი, სიონი, ფასანაური, სტეფანწმინდა — მცხეთა-მთიანეთის** მხარეში 100 ათასი ადამიანი ცხოვრობს და აქ... 464 ბავშვი დაიბადა, ანუ 215 კაცზე ერთი ახალშობილი მოდის. გარდაცვლილთა რაოდენობას რაც შეეხება, ის 705-ია. 215 ადამიანზე ერთი ახალშობილი, გადაშენებისკენ გადადგმული ნაბიჯი კი არა, კატასტროფული პროცესის სრული სვლით მიმდინარეობის მანიშნებელია...

მოსახლეობის კლებაა **სამცხე ჯავახეთშიც,** სადაც იმავე პერიოდში 855 ბავშვი დაიბადა, 917 ადამიანი კი გარდაიცვალა.

მატებას რაც შეეხება, ამ მხრივ მხოლოდ ორ მხარეში დადებითი ბალანსია. **აჭარაში** 2714 ბავშვი დაიბადა და 2 144 ადამიანი გარდაიცვალა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აჭარაში დაახლოებით 350 ათასი ადამიანი ცხოვრობს, შობადობის ციფრი მაინც კატასტროფულია. **ქვემო ქართლში** 2681 ბავშვი დაიბადა და 2345 გარდაიცვალა. როგორც აღნიშნავენ, ქვემო ქართლში მოსახლეობის მატება დიდწილად მოდის აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებზე — **ბოლნისზე, დმანისზე, მარნეულსა** და **გარდაბანზე,** თორემ ქვემო ქართლის მთავარ ქალაქ რუსთავში შობადობა-გარდაცვალებას შორის უარყოფითი ბალანსია. ისე არ გაიგოთ, თითქოს სხვა ერებს რამეს ვერჩოდეთ, ყველა საქართველოს მოქალაქეა და თანაბარი უფლებებიც გაგვაჩნია, მაგრამ აქ საუბარი ქართველი ერის გადარჩენაზეა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სანამ ეს სტატისტიკა ჩვენამდე მოვიდოდა, სამთავრობო უწყებებსაც დაეგზავნათ და პარლამენტმაც მიიღო. ამის მიუხედავად, არათუ მონაცემები განიხილეს და კატასტროფული ვითარების გამოსწორების გზები დასახეს, ყურიც კი არავის შეუბერტყავს. მეტიც, მინიშნებითაც კი არავის უთქვამს, რომ ასეთი კატასტროფული სიტუაცია გვაქვს ყველა რეგიონში და ეს მხოლოდ შობადობა-მოკვდავობის სტატისტიკაა. სხვა თემაა საქართველოდან **წასულებისა და დაბრუნებულების რაოდენობა**, რომელიც მკვეთრად განსხვავებულია, ანუ წასულების რაოდენობა გაცილებით სჭარბობს დაბრუნებულების რაოდენობას. სამაგიეროდ, **ჩამოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს და ისინი სწორედ იმ სახლებს იკავებენ, რომლებიც ქართველებისგან დაიცალა. ათეულობით სახლი შეიძინეს რაჭა-ლეჩხუმში ირანელებმა, ინდოელებმა და ახლა ისინი ქართველების „შეხუჭუჭებას“ ცდილობენ, რათა მიწები იყიდონდა მიწის ფაქტობრივი მფლობელები გახდნენ, მერე დაამუშაონ და სოფლად დარჩენილი გაღატაკებული მოსახლეობა მონებივით კაპიკებზე ამუშაონ.**

ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, და საშველი არსაიდან ჩანს, იმიტომ, რომ ქვეყანაში შექმნილ კატასტროფულ დემოგრაფიულ ვითარებაზე **ხმას არავინ იღებს სამთავრობო დონეზე; არავინ ამბობს, რომ რამე უნდა გაკეთდეს — შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა და წლის ბოლოს ბიუჯეტში მორჩენილი რამდენიმე მილიონი პრემიებზე კი არ უნდა გადანაწილდეს, არამედ იმ თანხით კონკრეტულ სოფელში გზა დაიგოს, გაკეთდეს განათება, გარემონტდეს სკოლა, რათა ადამიანებს, რომლებსაც ვამუნათებთ ხოლმე, მამაპაპისეული სახლ-კარი როგორ მიატოვეო, იქ დაბრუნების სურვილი გაუჩნდეს, თორემ ასე ქართულ ნასოფლარებზე მალე ირანულ და ინდურ სოფლებს მივიღებთ. ეს დრო დღითიდღე ახლოვდება.**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. „თვეში 500-600 ლარის ხელფასიანი სამსახური რომ მქონდეს სოფელში, თბილისში ერთ დღეს არ გავჩერდები, სოფელში, ჩემს სახლში ყოფნა არ მირჩევნია?“ — შემოგვჩივლა ორიოდე დღის წინათ თავისი და კიდევ ბევრი სხვისი გასაჭირი ე.წ. „ელიავას“ ბაზრობაზე მდგარმა ხელოსანმა, რომელიც იმერეთიდან ჩამოვიდა ლუკმაპურის საშოვნელად. მთავრობა კი ურცხვად გვიყვება „არნახულ ეკონომიკურ აღმავლობაზე“.**

**„ჩვენ გვაქვს ძალიან ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკა. ასზე მეტი ქვეყანაა, რომელთა მოქალაქეებსაც აქ ჩამოსვლა და 360 დღით დარჩენა შეუძლიათ. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ქვეყნების უმეტესობასთან მიმოსვლა ცალმხრივადაა უვიზო: მათ მოქალაქეებს შეუძლიათ საქართველოში ვიზის გარეშე შემოსვლა, ხოლო ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებს — არა“.**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიმე დღის წინათ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ დამფუძნებელმა ზვიად ტომარაძემ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ საქართველოში მყოფი აზიელი მიგრანტების დიდი ნაწილი ქვეყანაში დარჩენას მას შემდეგაც ახერხებს, როცა მათ ამის კანონიერი ვადა ამოეწურებათ. მისი განმარტებით, ამის საშუალებას კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები იძლევა, რომლებიც ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებლივ გამოსწორებას საჭიროებს: „როგორც საქართველოდან წასული ემიგრანტები უცხო ქვეყნებში ეძებენ კანონში ხვრელებს „საბუთების“ მოსაგვარებლად, ასევე იქცევიან აზიელი მიგრანტებიც საქართველოში.**

# აზიელი და აფრიკელი მიგრანტები კანონში არსებული «ხვრელების» საშუალებით საქართველოში დარჩენას განუსაზღვრელი ვადით ახერხებენ



**ზვიად ტომარაძე:**

## როდესაც საკითხი ერისა და ქვეყნის ყოფნა-არყოფნას ეხება, გამოხატვის ნებისმიერი ფორმა და საშუალება დასაშვებია

მაგალითად, როდესაც ჩვენს ქვეყანაში კანონიერად ყოფნის დრო ეწურებათ, ზოგი მიდის ექიმთან და გარკვეული თანხის სანაცვლოდ იღებს ცნობას, რომ ავად არის და ქვეყნიდან გასვლა არ შეუძლია; ზოგს კი სარჩელი შეაქვს ერთმანეთის წინააღმდეგ რარაც წვრილმანზე (მაგალითად, 300 ლარზე), სანამ სასამართლოში დავა მიმდინარეობს, მათ ქვეყანაში თვეობით დარჩენის უფლება აქვთ...“ როგორც ჩანს, ერთი მხრივ, კანონის გვერდის ავლით და, მეორე მხრივ, კანონში არსებული ხარვეზების მეშვეობით აზიელი მიგრანტების დიდი ნაწილი აქ დარჩენას განუსაზღვრელი ვადით ახერხებს. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება ზომების მიღებას არ ჩქარობს და პრობლემის მოსაგვარებლად პრაქტიკულად არაფერს აკეთებს... თუ რა ხარვეზებია დღეს ქართულ კანონმდებლობაში მიგრაციის თაობაზე და რა სახის ცვლილებებია საჭირო მის მოსაგვარებლად, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება **ზვიად ტომარაძე.**

**— ბატონო ზვიად, კიდევ ერთხელ დეტალურად განვუმარტოთ საზოგადოებას, რა საშუალებებით ახერხებენ აზიელი მიგრანტები აქ დარჩენას მას შემდეგ, რაც აქ ყოფნის ვადა ეწურებათ? რა გარემოებები აძლევთ ამის საშუალებას და როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა?**

— დავიწყოთ იმით, რომ, საზოგადოდ, ჩვენ გვაქვს ძალიან ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკა. ასზე მეტი ქვეყანაა, რომელთა მოქალაქეებსაც აქ ჩამოსვლა და 360 დღით დარჩენა შეუძლიათ. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ქვეყნების უმეტესობასთან მიმოსვლა ცალმხრივადაა უვიზო — მათ მოქალაქეებს შეუძლიათ საქართველოში ვიზის გარეშე შემოსვლა, ხოლო ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებს — არა. რაც შეეხება ე.წ. ხვრელებს კანონში, რომელზეც ამას წინათ სოციალურ ქსელში დავწერე, როდესაც მიგრანტებს (ძირითადად, საუბარია აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან შემოსულ მოქალაქეებზე) ეწურებათ აქ ყოფნის კანონით გათვალისწინებული ვადა, ისინი სხვადასხვა გზას ეძებენ დასარჩენად. მაგალითად, მიდიან ექიმთან და გარკვეული თანხის სანაცვლოდ იღებენ ცნობას, რომ არიან ავად და ქვეყნიდან გასვლა არ შეუძლიათ; ან კიდევ შეაქვთ სარჩელი ერთმანეთის წინააღმდეგ და მიდის დავა მცირე თანხაზე, საუბარია 200-300 ლარზე. მოკლედ, სანამ სასამართლოში დავა მიმდინარეობს და, მოგეხსენებათ, ჩვენთან დავები თვეობით გრძელდება, მათ აქვთ დარჩენის უფლება. აღსანიშნავია ფიქციური ქორწინებებიც...

თუმცა ეს ყველაფერი უფრო საიმიგრაციო სამსახურის სუსტი მუშაობის შედეგი მგონია, ვიდრე კანონის ხარვეზი.

**— რა შეიძლება გააკეთოს საიმიგრაციო სამსახურმა ამ პრობლემის გადასაჭრელად?**

— როდესაც მიგრანტი ხედავს, რომ ქვეყანაში საიმიგრაციო სამსახური, ფაქტობრივად, არ არსებობს და, რაც არსებობს, არ ან ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, ბუნებრივია, იწყებს რაღაც გზების ძიებას დასარჩენად. გამომდინარე აქედან, სანამ ეს დამოკიდებულება არ შეიცვლება, ცხადია, მომავალში კიდევ უფრო მეტი გამოიყენებს დარჩენის შესაძლებლობას. ახლა — რა შეიძლება გაკეთდეს: ვფიქრობ, თუნდაც რამდენიმე შემთხვევა თუ იქნება სიმკაცრის, რა თქმა უნდა, კანონის სრული დაცვით, ეს გარკვეულწილად გააჩენს განცდას, რომ ამ ქვეყანაში საიმიგრაციო სამსახურმა მუშაობა დაიწყო. ვთქვათ, თუ იქნება გამოვლენილი და გამოძიებული კონკრეტული ფაქტები, როცა ვიღაცამ თანხის სანაცვლოდ მიიღო ექიმის ცნობა ან ქვეყანაში დარჩენის მოტივით დაიწყო სასამართლო დავა და ა.შ.; რაც შეეხება კანონს, ვფიქრობ, უწინარესად, პოლიტიკური ნება უნდა იყოს ხელისუფლებაში, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება რეალურად მოხდეს.

**— ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საქართველოში ათიათასობით მიგრანტი შემოვიდა და მათი უმეტესობა აქედან წასვლას არ აპირებს. რას საქმიანობენ ისინი ჩვენს ქვეყანაში?**

— მიგრანტები, ძირითადად, დაკავებულები არიან ტურიზმით. ჩამოჰყავთ ტურისტები თავიანთი ქვეყნებიდან და თვითონვე უწევენ მეგზურობას. ამას გარდა, ხსნიან რესტორნებსა და ჩილიმბარებს — ქირაობენ ფართობებს დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში და მიდის ტაშ-ფანდური. ცალკე თემაა ის, რომ ამ ე.წ. რესტორნებში ყვავის პროსტიტუცია, რომელშიც ჩაბმულები არიან ქართველი გოგონები, მოიხმარენ გარკვეულ ნარკოტიკურლ საშუალებებს და ა.შ. მოკლედ, საქართველო მათთვის ასოცირდება დროის გასატარებელ თავისუფალ სივრცედ, რომელშიც ყველაფერი შეგიძლია გააკეთო. აი, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მიმზიდველი ქვეყანა ვართ...

**— სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მათ ინვესტორებს ეძახდნენ.**

— დამისახელონ თუნდაც ერთი მართლა სერიოზული და მსხვილმასშტაბიანი ინვესტიცია, რომელიც ამ საიმიგრაციო პოლიტიკის ლიბერალიზაციას მოჰყვა. არ არსებობს. ამას მოჰყვა მხოლოდ მიგრაციული ცუნამი. ჩვენი მოქალაქეები კი სიღარიბის გამო იძულებულნი არიან, სამშობლო დატოვონ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სრული დემოგრაფიული კატასტროფა გვაქვს. ისე, ძალიან მაინტერესებს, გაეროს მონაცემებს რომ იშველიებს ხოლმე ეს ჩვენი „ლიბერალური“ ელიტა, იმას რატომ არ აქცევს ყურადღებას, რომ იგივე გაერო უკვე მერამდენედ გვიდებს უმძიმეს პროგნოზს დემოგრაფიის კუთხით?! აღარ იქნებითო 20-30 წელიწადში, — მეტი რაღა გვითხრან?!

აქვე მინდა შევეხო კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ბინადრობის უფლების გაყიდვას ეხება. **დღევანდელი მდგომარეობით, უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც შეიძენს არანაკლებ 35 ათასი დოლარის ღირებულების ბინას საქართველოში, იღებს ბინადრობის უფლებას, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, 35 ათას დოლარად ხდება ამ უფლების გაყიდვა.** სხვათა შორის, შარშან ზაფხულში უმრავლესობის დეპუტატმა **ივლიანე წულაიამ** წარადგინა კანონპროექტი, რომლის თანახმად, 35 ათასად კი არ უნდა იყიდებოდეს ეს უფლება, არამედ 100 ათასად. ვინც არ იცის, ბატონი წულაია 2016 წლამდე სამშენებლო კომპანია „არქი ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორი იყო, მაგრამ მერე, როცა პარლამენტში შევიდა, იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა კერძო სექტორი...

**— ამით რის თქმა გსურთ?**

— იმის, რომ ეს არის სამშენებლო კომპანიების ლობისტური კანონპროექტი, რომლითაც გათვლა კეთდება ფინანსურ მოგებაზე. საქართველოში დამკვიდრების მოსურნე აზიელი მიგრანტი 100 000 დოლარსაც უპრობლემოდ გადაიხდის. მაისში დავწერე კანონპროექტი, რომელიც მოაგვარებს ბინადრობის უფლებასთან დაკავშირებულ იმ საფრთხეებს, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ. **კანონპროექტის მიხედვით, აიკრძალება ბინადრობის უფლების გაყიდვა ნებისმიერ თანხად.** აღნიშნული კანონპროექტისთვის საინიციატივო ჯგუფმა 35 000 ხელმოწერა შევაგროვეთ და 24 ოქტომბერს წარვადგინეთ პარლამენტში. დღემდე ის მხოლოდ „ადამიანის უფლებათა დაცვის“ კომიტეტში განიხილეს. კომიტეტის წევრებმა არ გაითვალისწინეს 35 000 ხელმომწერის ნება, სახელმწიფოს ინტერესს კოლეგიურობა ამჯობინეს და მხარი არ დაუჭირეს ჩვენს ინიციატივას, თუმცა ჩვენი ინიციტივა პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე მაინც გავა და იქ გამოჩნდება, ვინ ვინ არის... რაც შეეხება იმას, რომ ამ მოღალატეობრივი მიგრაციული პოლიტიკის შედეგად მალე შეიძლება ჩვენს ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდეთ, ხელისუფლებაშიც კარგად აცნობიერებენ, მაგრამ მათთვის ეს მეორეხარისხოვანი საკითხია. საერთოდ, ვფიქრობ, რომ მსგავსი სულისკვეთებისა და მრწამსის ადამიანების ყოფნა ხელისუფლების სათავეში სახელმწიფოსთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ასეთმა ადამიანებმა შეიძლება არც კი იფიქრონ და იყოყმანონ, ისე გადააყოლონ ქვეყანა ერთ რიგით ბიზნესგეგმას, რომელიც პირადად მათთვის იქნება ფინანსური სარგებლის მომტანი.

**— ფაქტია, რომ დღეს ასეთი ადამიანები არიან ხელისუფლებაში. საზოგადოების აქტიურობას რა მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებზეც თქვენ მუშაობთ? კონკრეტულად რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს აქტიურობა?**

— საზოგადოების ჩართულობა უმთავრესია და ამაზე, რა თქმა უნდა, ყველა ვთანხმდებით, თუმცა ხშირად საზოგადოებას უჭირს გაერთიანება და საკუთარი პოზიციის ერთობლივად გამოხატვა. ალბათ, ესეცაა ერთ-ერთი ფაქტორი იმისა, რომ ხელისუფლება ზოგჯერ სრულიად უგულებელყოფს ხალხის ნებას. ალბათ, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხალხის ხმა საერთოდ დაიკარგა სახელმწიფოს მართვაში. რაც შეეხება საზოგადოების აქტიურობას, ვფიქრობ, როდესაც საკითხი ერისა და ქვეყნის ყოფნა-არყოფნას ეხება, გამოხატვის ნებისმიერი ფორმა და საშუალება დასაშვებია. ეს, ვისაც როგორც უნდა, ისე გაიგოს; მაგრამ, როცა ხედავ, რომ ქვეყანას თავზე გამხობენ, ჩემი აზრით, ყველაფერი შეიძლება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას სჭირდება; ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რაც გადარჩენისთვის აუცილებელია...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«მიგრანტები, ძირითადად, დაკავებულები არიან ტურიზმით. ჩამოჰყავთ ტურისტები თავიანთი ქვეყნებიდან და თვითონვე უწევენ მეგზურობას. ამას გარდა, ხსნიან რესტორნებსა და ჩილიმბარებს — ქირაობენ ფართობებს დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში და მიდის ტაშ-ფანდური. ცალკე თემაა ის, რომ ამ ე.წ. რესტორნებში ყვავის პროსტიტუცია, რომელშიც ჩაბმულები არიან ქართველი გოგონები, მოიხმარენ გარკვეულ ნარკოტიკურლ საშუალებებს და ა.შ. მოკლედ, საქართველო მათთვის ასოცირდება დროის გასატარებელ თავისუფალ სივრცედ, რომელშიც ყველაფერი შეგიძლია გააკეთო»**

ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რისკენ მოგვიწოდებს ევროპული კომისია? — რისკენ და თქვენი ღმერთი დაივიწყეთ, ჩვენი სატანა იწამეთ და, საერთოდაც, ქართველებმა „აახვიეთ“ ღვთით კურთხეული, მარიამის წილხვედრი ქვეყნიდან, რათა დასავლეთის დარად საქართველოშიც ეშმაკმა იზეიმოს.**

# ნეოლიბერალთა ორკესტრირებული შეტევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე

„არ უნდა გაგიტაცოს უცხო ქვეყნის ფსევდოკულტურამ; ნუ იქნები ზედმეტად ლიბერალი“

*ამონარიდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვიდან ნათლულებისადმი*

**წინამდებარე წერილის ეპიგრაფად გამოვიყენე ამონარიდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2016 წლის მაისის მიმართვის ტექსტიდან მრავალრიცხოვანი ნათლულებისადმი. ამ ვრცელი მიმართვის პათოსს შეიძლება ვუწოდოთ, საზოგადოდ, სამშობლოს, მართლმადიდებელი ქრისტიანობის სიყვარულის ქადაგება მომავალი თაობისთვის, მაგრამ ეს ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია ქართველი ხლისტების, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და, აგრეთვე, ე.წ. (რატომ მრავალგზის „ე.წ.“? — იმიტომ, რომ „სოროსების“ მიერ გულუხვად დაფინანსებული ჩამოთვლილი ასოები, ყველას და ყველაფერს იცავენ, ყოველივე ქართულის, ეროვნულის, მართლმადიდებლურის გარდა) სახალხო დამცველისთვის და ამიტომ ისინი განსაკუთრებულად სწორედ სტატიის ეპიგრაფის ფრაზებმა აღაშფოთა.**

მათ აღფოთება-შეშფოთებას საერთაშორისო მასშტაბები არ შეუძენია და, ძირითადად, ცალკეული საზოგადო მოღვაწეებისა თუ სასულიერო პირთა გულისწყრომის საგანი გახდა, თუმცა ყველაფერი წინ იყო... მთავარი სათქმელის წინ ერთგვარ „მოთელვას“ ვთავაზობ მკითხველს ე.წ. ევროპული კომისიის მიერ საქართველოს ხელისუფლებისთვის შეთავაზებული 23 რეკომენდაციიდან (წაიკითხე, ბრძანებიდან) რამდენიმეს ციტირების მეშვეობით.

ეს „რეკომენდაციები“ ა.წ. 1 მარტს გამოქვეყნდა სოციალურ ქსელებში:

**1. „საქართველოს ხელისუფლებამ ევროპულ კომისიას გვაცნობა (წაიკითხე, „ჩაუშვა“ — დ.მ.) რომ საგანმანათლებლო სექტორში არ დანერგილა სპეციალური პროგრამები ლგბტ პირთა მიმართ ტოლერანტობის ხელშეწყობისთვის; არც სკოლებში და არც უნივერსიტეტებში. დისკუსია ჰომოსექსუალიზმის არსებობაზე არ არის ჩართული სკოლის სასწავლო პროგრამებში; ეს უნდა განხორციელდეს ლგბტ თემსა და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით...**

**2. „ამჟამად საქართველოში არ არის აღიარებული ერთნაირსქესიანთა პარტნიორობა. ეს იწვევს სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას; სქესის შეცვლის ოპერაციის კრიტერიუმები ბუნდოვანია; ECRI (რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომისია — დ.მ.) განსაკუთრებულად ამახვილებს ხელისუფლების ყურადღებას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2048 (2015) რეზოლუციაზე. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ ნათელი სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშაოს სქესის შეცვლის პროცედურებსა და მათი ოფიციალურად აღიარების მიმართ“.**

გარდა ამისა, **ევროპული კომისიის შეფასებასა და რეკომენდაციებში**

* საქართველოს პატრიარქი დადანაშაულებულია სიძულვილის ენით საუბარში, რადგან მან ლგბტ ლონისძიებებს „ქართველი ერის შეურაცხყოფა“, ჰომოსექსუალიზმს კი „დაავადება“ უწოდა;

* „საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, თურქიმესხებისთვის რეპატრიაციასთან დაკავშირებით ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა მიიღოს;

* წუხილია გამოთქმული, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სომხურ და კათოლიკურ ეკლესიებს სადავო ტაძრებს არ უბრუნებს“...

რა ჰქვია ამ ყველაფერს? **რისკენ მოგვიწოდებს ევროპული კომისია?**

**რისკენ და თქვენი ღმერთი დაივიწყეთ, ჩვენი სატანა იწამეთ და, საერთოდაც, ქართველებმა „აახვიეთ“ ღვთით კურთხეული, მარიამის წილხვედრი ქვეყნიდან, რათა დასავლეთის დარად საქართველოშიც ეშმაკმა იზეიმოსო.**

თვით ურწმუნო თომებისთვისაც კი ცხადი უნდა გახდეს, რომ დასავლეთიდან (წაიკითხე, აშშ) უშურველად და ულიმიტოდ (თუ ასე თქმა შეიძლება) მხოლოდ გარყვნილება, სიბინძურე, სატანიზმი შემოედინება ჩვენთან და ეს ე.წ. რუსული ნარატივი კი არა (როგორც ეს უნდათ წარმოგვიდგინონ ქართველმა რუსოფობებმა), არამედ მწარე სიმართლეა. თუმცა, რატომ მწარე? ქართველი საზოგადოების სალად მოაზროვნე ნაწილისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ ძაღლის თავი, ერთმორწმუნე რუსეთში კი არა, სატანისტურ დასავლეთშია დამარხული და, აქედან გამომდინარე, შეიძლება სიმწარე სიტკბოთი შეიცვალოს.

**ლგბტ ღონისძიებები ქართველი ერის სირცხვილია, ხოლო მამათმავლობა ავადმყოფობააო, — ბრძანა ჩვენმა სათაყვანებელმა პატრიარქმა და ამის გამო უწოდა ჩვენმა „მეგობარმა“ ევროპულმა კომისიამ საქართველოს სულიერ მამას სიძულვილის ენით მოსაუბრე. ეს არის არა მხოლოდ დედაეკლესიისა და პატრიარქის შეურაცხყოფა, არამედ, პირველ რიგში, ქართველი ერისთვის სულში ჩაფურთხება.**

ამიტომ მივმართავ ქოცების ფარისეველ მინისტრებს, პარლამენტის „ხუჭუჭა“ თავმჯდომარესა და ხელისუფლება-ოპოზიციის წარმომადგენლებს: **ანთებული კელაპტრებით ხელში რომ ჩამწკრივ-ამწკრივდებით სამების ტაძარში და მუხლმოდრეკით ეთაყვანებით კათოლიკოს-პატრიარქს, თუ „სიაფანდი“ არ არის თქვენი „ალილუია“ და „მამაო ჩვენო“, რას დადუმებულხართ ამ ბოროტებაზე, რატომ არ გამოდიხართ ერთობლივი მკაცრი განცხადებით, რატომ სათანადო ადგილს არ მიუჩენთ ბინძურ და გარყვნილ ევროპულ კომისიას?**



**მივმართავ ქოცების ფარისეველ მინისტრებს, პარლამენტის «ხუჭუჭა» თავმჯდომარესა და ხელისუფლება-ოპოზიციის წარმომადგენლებს: ანთებული კელაპტრებით ხელში რომ ჩამწკრივ-ამწკრივდებით სამების ტაძარში და მუხლმოდრეკით ეთაყვანებით კათოლიკოს-პატრიარქს, თუ «სიაფანდი» არ არის თქვენი «ალილუია» და «მამაო ჩვენო», რას დადუმებულხართ ამ ბოროტებაზე, რატომ არ გამოდიხართ ერთობლივი მკაცრი განცხადებით, რატომ სათანადო ადგილს არ მიუჩენთ ბინძურ და გარყვნილ ევროპულ კომისიას?**

თუმცა მეც ვარ რაა, სიბერეშიც ვერ მოვეშვი რიტორიკას — იმიტომ დუმან და მომავალშიც კრინტს არ დაძრავენ ფარისეველი პოლიტიკოსები, რომ ქოც-ნაცებს, ორივეს, ერთი პატრონი ჰყავთ: მტკვრის ნაპირებზე — აშშ-ის საელჩო, ხოლო პოტომაკის ნაპირებზე — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ის, რაც საქართველოში ხდება, მსოფლიო გეოპოლიტიკის ანარეკლია — **მიმდინარეობს უმწვავესი, შეიძლება ითქვას, საბედისწერო ბრძოლა აგრესიულ, ულმერთო ნეოლიბერალურ (წაიკითხე, აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები) ძალებსა და ტრადიციონალისტ კონსერვატორებს (წაიკითხე, პრაქტიკულად, მარტოდმარტო დარჩენილი მართლმადიდებელი რუსეთი) შორის.**

ამ დაპირისპირებას კომენტატორებმა უწოდეს „ცივი მშვიდობა“, რომელიც ნებისმიერ მომენტში მესამე მსოფლიო, ცხელ ომად, ბირთვულ არმაგედონად შეიძლება გადაიქცეს.

ერთი მხრივ, ძლევამოსილი ბირთვული რუსეთი აღმართულა ნატოელი სატანისტებისთვის აუღებელ ბასტიონად, სადაც ვერაფრის, თვით მწვანე დოლარის დიდებითაც ვერ შეაღწია ლგბტ-პედერასტიის „პროგრესულმა“ იდეებმა და, მეორე მხრივ, იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ პატარა საქართველო. ამაში კი მთავარი „დამნაშავე“ საქართველოს დედაეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი კათოლიკოს-პატრიარქია.

სტატიის სათაურში ორკესტრი ვახსენეთ. ჰოდა, **სადაც ორკესტრია, იქ დირიჟორიც არის სახელად აშშ და მთავარი აქტორებიც — ე.წ. არასამთავრობო ხლისტები, ბუდარიხა სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია, ევროპული კომისია, ევროსაბჭო თავის ევროკავშირიანად, მეუფე ყანდურნი, რომლებმაც საეჭვო ინტენსივობით მოუხშირეს კაპიტოლიუმის ბორცვზე ვიზიტებს, აშშ-დან ბევრი რამ სხვანაირად დავინახეთო — ასე ყოფილა, მწვანე დოლარებს მხედველობის რაკურსის შეცვლაც შესძლებია.**

აი ამ ხალხმა თუ ორგანიზაციებმა მიიტანეს ორკესტრირებული შეტევა დედაეკლესიაზე და, უნდა ითქვას, არცთუ წარუმატებლად — შავი ჯიპების თემით დაწყებული, მრავალ უკეთურობაში ამხილეს ეკლესიის დაბალ-მაღალი იერარქები, რაც ე.წ. ციანიდის სკანდალით დააგვირგვინეს.

ამ ყველაფერმა ერთად და ცალ-ცალკე, უდავოდ შეარყია ეკლესიის ავტორიტეტი, მაგრამ მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ვერაფერი დააკლო — ილია მეორის რეიტინგი კვლავ ძალიან მაღალია და ეს აგიჟებთ და აცოფებთ ზემოხსენებულ დირიჟორსა თუ ორკესტრანტებს და ახლა საქმეში ქვაბავაზაკნი, მეუფე ყანდურები ჩართეს. მათგან პირველმა, „რუსთავი2“-ის შტატიანმა რესპონდენტმა, ჭყონდიდის მიტროპოლიტმა, მეუფე პეტრემ პირდაპირ ეთერში „ნათელი მოჰფინა“ ციანიდის ჩახლართულ საქმეს და მოგვიანებით ისიც იკადრა, მითი პატრიარქის მწყემსკეთილობის შესახებ დამთავრდაო.

**ამ „წმინდანი“ მეუფისგან არაფერი გამიკვირდება. თვალებში ჩახედეთ, როგორი უკეთურობა გამოსჭვივის — თვალები არ ტყუიან... მე ის მიკვირს, რომ ასეთი მკრეხელობის — პატრიარქის გაუგონარი შეურაცხყოფის — შემდეგაც კი მარტვილის მრევლმა წვერებით როგორ არ გამოათრია პეტრე-ყანდური ტაძრიდან.**

კიდევ ერთი მეუფე ყანდური, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი **გრიგოლიც (გურამ ბერბიჭაშვილი),** რბილად რომ ვთქვათ, პატრიარქის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. მეუფე გრიგოლიც პატრიარქის ტახტზე აღსაყდრების მსურველ იმ ყანდურთა გუნდშია, რომლებიც, როგორც აფთრები, ისე ელოდებიან და ნატრობენ სიკვდილს პატრიარქისას. საგულისხმო პარადოქსული პარალელებია: გასული საუკუნის დასაწყისში **გიგლა ბერბიჭაშვილმა** ბერდანკის ტყვია დაახალა დიდ **ილიას,** ხოლო 100 წლის შემდეგ იმ ბერბიჭაშვილის იდეური შთამომავალი (თუმცა ვინ უწყის, იქნებ სისხლისმიერიც) **გურამ ბერბიჭაშვილი** ილია მეორეს უთხრის სამარეს და კიდევ — 1000 წლის წინათ **გიორგი ჭყონდიდელის** აღზრდილმა **დავით აღმაშენებელმა** უძლიერესი ქართული სახელმწიფო ააშენა, ხოლო დღეს ჭყონდიდელი მეუფე მარტვილიდან ანგრევს საქართველოს — პატრიარქთან ბრძოლა ხომ საქართველოს ნგრევაა...

**დავით მხეიძე**

**P.S. როგორც წინა კვირაში „რუსთავი 2“-მა დააანონსა, მიმდინარეობს ეკლესიის პატიოსან მაღალ იერარქებზე ვიდეო თუ აუდიოკომპრომატების შექმნა; ჩემი წყაროს ინფორმაციით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზეც. აქედან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, ქართველი ერის სახელით გავაფრთხილო ის მეუფე ყანდურნი თუ „ორკესტრის“ სხვა მონაწილენი, რომელთა თავებშიც მოიხარშა ის სიბინძურენი, რომელთა გასაჯაროებამ, მათი გათვლებით, ბოლოს და ბოლოს, ძირს უნდა დასცეს პატრიარქის ზემაღალი რეიტინგი. იცოდეთ, პატრიარქს ვერაფერს დააკლებთ, აი, თქვენს ბუმბულს კი უეჭველად ვიხილავთ „გაშლილს, გაფანტულს ველადა“!**

პოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სახალხო დამცველის ანგარიშში დისკრიმინაციად არის შეფასებული ისეთი ქმედება, როგორიცაა მოქალაქის მიერ თავისი კუთვნილი ქონების ლგბტ პირებისთვის მიქირავებაზე უარის თქმა. გამოდის, თუ უცხოეთიდან დაფინანსებულ ლგბტ ჯგუფს უარი ვუთხარი საკუთარი ფართობის მიქირავებაზე, თურმე კანონდამრღვევი ვყოფილვარ და პროკურატურა უნდა დაინტერესდეს ჩემით, რათა „შესაბამისი“ სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს“...



## ლევან ჩაჩუა:

# თუ «ლიბერალური» დღის წესრიგი ქართველობის მიმართ რეპრესიული გახდება, ხელისუფლება მიიღებს კონსერვატიული ძალების დიდ გაერთიანებას, რომელიც დაასამარებს «ლიბერალურ» დიქტატურას

**5 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ ქვეყანაში დისკრიმინაციის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა. კვლევაში, რომელიც 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდს მოიცავს, ხელისუფლების მისამართით განსაკუთრებით მწვავე და კრიტიკული შეფასებებია. კრიტიკის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ თურმე მმართველმა გუნდმა დღემდე ვერ უზრუნველყო ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების ეფექტიანად აღსრულება. ომბუდსმენის შეფასებით, რიგ შემთხვევებში ბუნდოვანია, დისკრიმინაციულ გამოვლინებებზე რა საგამოძიებო მოქმედებები ტარდება. ადეკვატური სამართლებრივი რეაგირების ნაკლებობა კი „საზოგადოებაში არსებულ ძალადობრივ ფონს კიდევ უფრო ახალისებს“.**

ანგარიშში „ნეგატიური დამოკიდებულების კონტექსტში ყურადღება რამდენიმე შემთხვევაზე გამახვილდა, მათ შორის ერთ-ერთია მოქალაქის მიერ ერთ-ერთი ლგბტ ორგანიზაციისთვის საოფისე ფართობის მიქირავებაზე უარის თქმა. პიროვნებამ, რომელმაც კუთვნილი ქონება უცხოეთიდან დაფინანსებულ ერთ-ერთ ლგბტ ჯგუფს თუ აქტივისტებს არ მიაქირავა, სახალხო დამცველის აზრით, დისკრიმინაციული ქმედება ჩაიდინა და ამით გამოძიება უნდა დაინტერესდეს. აგრეთვე, ყურადღება უნდა გამახვილდეს სხვა მსგავს ფაქტებზეც, რომლებიც, მისი აზრით, აშკარა სიძულვილის ნიშნებს შეიცავს. ანგარიშში ომბუდსმენი ხელისუფლებას რეკომენდაციებსაც აძლევს და მოუწოდებს, რომ კანონის ეფექტიანად აღსრულება ყველა საშუალებით უნდა მოხდეს...

რას ნიშნავს სახალხო დამცველის მორიგი კრიტიკა ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების ეფექტიანად არ თუ ვერ აღსრულებაზე და რას უნდა ველოდოთ ხელისუფლების მხრიდან ამ კრიტიკის კვალდაკვალ?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეის“ ხელმძღვანელი ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, რამდენიმე დღის წინათ სახალხო დამცველმა ხელისუფლება მწვავედ გააკრიტიკა იმის გამო, რომ თითქოს საქართველოში დისკრიმინაციული ფონის აღმოფხვრა ვერ ხერხდება. ანგარიშში, რომელიც ომბუდსმენის ოფიციალურ ვებგვერდზე ახლახან გამოქვეყნდა, სწორედ ეს პათოსია. როგორ ფიქრობთ, რა იგულისხმება ამ რიტორიკაში და რა იგულისხმება ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების უფრო ეფექტიანად აღსრულებაში?**

— თავის დროზე, როცა **ღარიბაშვილი** ანტიდისკრიმინაციული კანონის დამტკიცების ინიციატივით შევიდა პარლამენტში, არაერთხელ აღვნიშნე, რომ, თუ ადრე წითელი კომისრების დირექტივებით ხორციელდებოდა ბოლშევიკური ტერორი, ჩვენს დროში ცისფერი კომისრების მარიონეტები განახორციელებდნენ რეპრესიებს მორწმუნე ერზე. როგორც ჩანს, ეს დროც დადგა. აკი ჩვენმა პატრიარქმაც ბრძანა: გავა დრო და გაგვიკვირდება, როგორ დავაკანონეთ ეს უკანონობაო... ახლა შევეხოთ თქვენს შეკითხვას, რა მცდელობებსა და ღონისძიებებს შეიძლება გულისხმობდეს „ანტიდისკრიმინაციული“ მექანიზმების ეფექტიანად აღსრულება, რასაც სინამდვილეში, ქალბატონი **ლომჯარია** კი არა, მის უკან მდგომი უცხოელი „ბოსები“ მოითხოვენ დაჟინებით: შესაძლოა, ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ იფიქროს, რომ კანონი გულისხმობს ლგბტ პირების მიმართ აშკარა ძალადობის აღკვეთას (ძალადობა ჩვენთვისაც მიუღებელია), მაგრამ მიაქციეთ ყურადღება: სახალხო დამცველის **ანგარიშში დისკრიმინაციად არის შეფასებული ისეთი ქმედება, როგორიცაა მოქალაქის მიერ ლგბტ პირებისთვის თავისი ქონების მიქირავებაზე უარის თქმა. გამოდის, თუ უცხოეთიდან დაფინანსებულ ლგბტ ჯგუფს უარი ვუთხარი საკუთარი ფართობის მიქირავებაზე, კანონდამრღვევი ვყოფილვარ და პროკურატურა უნდა დაინტერესდეს ჩემი პიროვნებით, რათა „შესაბამისი“ სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს.** საერთოდ, ეს არის თანამედროვე ნეოლიბერალურ-ნეობოლშევიკური იდეოლოგიისთვის დამახასიათებელი რეპრესიულობა. ანუ, **ერთი მხრივ, „თავისუფლებასა“ და მრავალფეროვნების შემგუებლობას ქადაგებენ; მეორე მხრივ კი, თეორიულად, იდეის დონეზეც არ უშვებენ განსხვავებული თვალსაზრისის არსებობას.** სხვათა შორის, ზუსტად ეს შინაარსი იგულისხმება ტერმინ ჰომოფობიაში. **შენ უფლება არ გაქვს, არ მოგწონდეს, არ იზიარებდე და მიუღებლად მიგაჩნდეს. შენ მხოლოდ უნდა ეგუებოდე და უსიტყვოდ იღებდე ყველა „ლიბერალურ“ თეზას, რომელსაც ამ იდეოლოგიის გლობალური სისტემა გახვევს თავს.**

**— წინააღმდეგ შემთხვევაში რა მოხდება?**

— წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც „მოძალადესა“ და „სიძულვილის მთესველს“, იზოლაციაში მოგაქცევენ: თუ პოლიტიკოსი ხარ, ყველანაირად შეეცდებიან, პოლიტიკურ ველში არ შეგიშვან; თუ სპორტსმენი ხარ, ხელს შეგიშლიან კარიერულ წინსვლაში; თუ ხელოვანი ხარ, ვერასოდეს შეძლებ შემოქმედებითი იდეების რეალიზებას... მოკლედ, სისტემა, რომელიც ლიბერალურ თავისუფლებას ქადაგებს, ადგილს არ ტოვებს განსხვავებული შეხედულებისთვის: ან მათკენ ხარ, ან — არსად. დავუბრუნდეთ ისევ კონკრეტულ საკითხს, ის, რომ ამ ვითარებაში ივანიშვილს თამაშში კვლავ შემოიყვანა ღარიბაშვილი, ბევრ რამეზე მეტყველებს. ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტორია იმისა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის აღსრულების კუთხით კიდევ უფრო გაძლიერდება წნეხი საზოგადოებაზე.

**— თავის დროზე ღარიბაშვილი ყველაზე კონსერვატიულ ფიგურად განიხილებოდა „ოცნებაში“. შესაბამისად, მისმა დაბრუნებამ ხელისუფლებაში გააჩინა განცდა, რომ ივანიშვილი ამით საზოგადოების კონსერვატიული ნაწილის გულის მოგებას ცდილობს. ეს განცდა უსაფუძვლოა?**

— საერთოდ, ივანიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა თავიდან ბოლომდე ცრუ განცდებისა და მოლოდინების შექმნაზეა აგებული. ის ქართველთა მიამიტურ ხასიათს მშვენივრად იყენებს. გავიხსენოთ სამართლიანობის აღდგენის, ათასობით ახალი სამუშაო ადგილის გაჩენის, ათასი ქარხანის აშენების დაპირებები, უფასო ფული, გაბრწყინებული მეოთხე წელიწადი და ა.შ... მოკლედ, ხშირად ვახსენებ ჩვენს ხალხს ამ თაღლითობის შესახებ, მაგრამ ეტყობა, ტკბილი ტყუილის გაგონება ურჩევნიათ, მწარე სიმართლის მოსმენას. რაც შეეხება ღარიბაშვილის კონსერვატიულ პოლიტიკურ ფიგურად განხილვას, აქაც მოკლე მეხსიერებასა და საზოგადოების ზედაპირულ აზროვნებაზეა გათვლა. **როგორ შეიძლება დადებით კონტექსტში განიხილო პოლიტიკოსის მოღვაწეობა, რომლის პრემიერმინისტრობის პერიოდში დამყარდა კოაბიტაცია დამნაშავე ნაცრეჟიმთან?!** ღარიბაშვილი იყო უშუალო ინიციატორი ბილწი ანტიდისკრიმინაციული კანონისა. მან მოაწერა ხელი საყდრისის აფეთქებას. მან აუნთო მწვანე შუქი ანაკლიაში ე.წ. კაზანტიპის ნარკო და სექსფესტივალს... კიდევ რამდენი რამის ჩამოთვლა შეიძლება? მისი პრემიერობის პერიოდში დადგა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის საკითხიც. ასე რომ, ღარიბაშვილის კონსერვატიულობა თავიდან ბოლომდე პოლიტიკური ბლეფია, რომელსაც მოაზროვნე ქართველობა არ დაიჯერებს.

**— დავუბრუნდეთ ლომჯარიას ანგარიშს. „დოკუმენტში“ ერთ-ერთი მთავარი საკითხი რელიგიური უმცირესობების უფლებებია. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ქვეყანაში თურმე ირღვევა იეჰოვას მოწმეებისა და სხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენელთა უფლებები...**

— ეს არის მიზანმიმართულად გაკეთებული პროვოკაციული შეფასება, რომელიც გათვლილია ახალ-ახალი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაზე. **ქვეყანაში, სადაც შუა ქუჩაში დგას ე.წ. იეჰოვას მოწმეების სექტანტური ლიტერატურის გამავრცელებელი სტენდები და ყველა საშუალებით მიმდინარეობს აგრესიული პროზელიტიზმი, რა უფლებების დარღვევაზეა საუბარი?! ამ ქვეყანაში მხოლოდ ქართველების უფლებები ირღვევა და მხოლოდ მართლმადიდებლობის დისკრედიტაცია მიმდინარეობს.**

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით ვეუბნები ქალბატონ **ლომჯარიას, რომ აუცილებლად დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი, როცა კონსერვატიული ძალები მოვლენ ქვეყნის სათავეში და სისტემა ძირფესვიანად შეიცვლება. ის პასუხს აგებს კანონის წინაშე და აღმოჩნდება გისოსებს მიღმა იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ქმნიან და ახორციელებენ უცხოური ძალების მიერ ნაკარნახევ რეპრესიულ დღის წესრიგს საქართველოში.**

**«თქვენი გაზეთის მეშვეობით ვეუბნები ქალბატონ ლომჯარიას, რომ აუცილებლად დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი, როცა კონსერვატიული ძალები მოვლენ ქვეყნის სათავეში და სისტემა ძირფესვიანად შეიცვლება. ის პასუხს აგებს კანონის წინაშე და აღმოჩნდება გისოსებს მიღმა იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც საქართველოში ქმნიან და ახორციელებენ უცხო ძალების მიერ ნაკარნახევ რეპრესიულ დღის წესრიგს»**

**— არსებობს იმის წინაპირობები, რომ მსგავსი პროცესი განვითარდეს?**

— ყოველ შემთხვევაში, დღეს ერთი რამ ფაქტია: არსებულ პოლიტიკურ სისტემასა და იმ გლობალურ ძალებს, რომლებიც ამ სისტემას ასაზრდოებს, კრიზისი აქვთ. ეს კი, რა თქმა უნდა, არის გარკვეული წინაპირობა. რაც შეეხება ანგარიშს, მე ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: დისკრიმინაციული განწყობების მსგავსი პროვოკაციული შეფასებებით ხდება ერთგვარი ფონის მომზადება, კბილის მოსინჯვა, აბა, რამდენად შემგუებლური იქნება საზოგადოება შემდგომი ცვლილებებისა და „ლიბერალური“ გარდაქმნებისთვის. ამიტომ ვამბობ ხშირად, რომ, სანამ ლიბერალური ინტერნაციონალის მარიონეტებს ხელთ უპყრიათ ქვეყნის მართვის სადავეები, **აუცილებელია საზოგადოებრივი წნეხი, ე.წ. საზოგადოებრივი პრესინგი ხელისუფლებაზე, რათა მაქსიმალურად დავიცვათ ფეხქვეშგათელილი ეროვნული ინტერესები. ნებისმიერ ანტიქართულ გამოვლენაზე საზოგადოებას უნდა ჰქონდეს უმწვავესი რეაქცია. სხვა შემთხვევაში ისინი ჩათვლიან, რომ ჩვენ არ ძალგვიძს, წინ აღვუდგეთ თავსმოხვეულ იდეოლოგიას და, შესაბამისად, ჩვენზე ნებისმიერ ექსპერიმენტს განახორციელებენ.**

**— როგორ რეაგირებს საზოგადოება მსგავს მცდელობებზე?**

— საზოგადოების დიდი უმრავლესობა კონსერვატიული განწყობისაა, მაგრამ ჭირს ორგანიზება და განწყობის ერთობლივად გამოხატვა, რაც, რა თქმა უნდა, სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორია. ძალიან ცუდი შინაარსის გამოთქმა გვაქვს ქართველებს: სხვისი ჭირი ღობის ჩხირიო. ანუ, სანამ უშუალოდ მას არ მიადგება და მიუკაკუნებს უბედურება, ჰგონია, რომ მისი ოჯახი დაცულია. თუმცა გვახსოვს ისტორიიდან მომენტები, როცა ხალხმა გარკვეული პერიოდი ითმინა, მაგრამ მერე ისე აფეთქდა, რომ ბახტრიონის აჯანყება მოაწყო.

**— გინდათ, თქვათ, რომ დღევანდელ ვითარებაშიც შეიძლება მსგავსი რამ მოხდეს?**

— ხელისუფლება ვერც კი ხვდება, რა შეიძლება მოჰყვეს ასეთ ძალადობას ხალხის სულიერებასა და ცნობიერებაზე. არადა, მისი თითოეული ქმედება, იქნება ეს საკანონმდებლო ცვლილებები თუ სხვა რამ, წვეთ-წვეთად გროვდება... ასე რომ, შეიძლება ვერც გაასწრონ აქედან, ისე განვითარდეს მოვლენები. სხვათა შორის, 2013 წლის 17 მაისი იყო ერთ-ერთი მიმანიშნებელი იმისა, რომ ძალიან ცუდი პროცესები შეიძლება განვითარებულიყო, მაგრამ წელს ორმაგად უნდათ ხალხის გამოწვევა.

**— რას გულისხმობთ?**

— მოგეხსენებათ, ტელემედია რეკლამას უკეთებს ზაფხულში დაგეგმილ ლგბტ ღონისძიებების კვირეულს, რომლის ფარგლებშიც ასევე იგეგმება ე.წ. გეიაღლუმი, რომელსაც ლგბტ „ღირსების მარში“ დაარქვეს. ვფიქრობ, **ამ ყველაფერმა შეიძლება ბიძგი მისცეს ისეთ პროცესებს, რომლებიც ხელისუფლებას გადაიყოლებს. მხედველობაში მაქვს მასობრივი, მშვიდობიანი საზოგადოებრივი პროტესტი, რომელიც მიმართული იქნება არსებული პოლიტიკური სისტემისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ. საზოგადოება ერთიანია ამ საკითხში და მზადაა, რეალურად გამოხატოს თავისი განწყობა.**

რაც შეეხება წინააღმდეგობას, რა თქმა უნდა, ძალადობას და შეურაცხყოფას ყველა ვემიჯნებით, მაგრამ, თუ „ლიბერალური“ დღის წესრიგი ქართველობის მიმართ რეპრესიული გახდება, ცხადია, ეს არ დარჩება უპასუხოდ. ხელისუფლება მიიღებს მძაფრ უარყოფით განწყობას ხალხში, მიიღებს კონსერვატიული ძალების დიდ გაერთიანებას, რომელიც სამართლიანი ბრძოლით საბოლოოდ დაასამარებს „ლიბერალურ“ დიქტატურას...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ღარიბაშვილის დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი „ძველ გვარდიასთან" ურთიერთობის დარეგულირებაა — აქ უნდა ვიგულისხმოთ არა იმდენად უმრავლესობიდან გასული დეპუტატები, რამდენადაც ამომრჩევლები, რომლებიც „2012 წლის პრინციპების" ერთგულებას ინარჩუნებენ, ხოლო კობახიძის გუნდს დასანახავად ვერ იტანენ. ძნელი წარმოსადგენი არაა, რას გრძნობენ ისინი დღეს, როდესაც ივანიშვილმა არჩევნების მეორე ტურის წინ დახმარება სთხოვა (და მიიღო), ხოლო ორიოდე თვეში გააკეთა ის, რაც დაპირებებისგან და მოლოდინებისგან ძალიან შორს იყო (მოსამართლეების სიის გარშემო განვითარებული პროცესები, კობახიძის ჯგუფის იერიში „ძველი გვარდიის" პოზიციებზე და ა. შ.).

# გადაარჩენენ თუ არა ახალი სახეები «ქართულ ოცნებას»?

**„ქართულ ოცნებაში" ცვლილებები დაიწყო. ავანსცენაზე დაბრუნებული ირაკლი ღარიბაშვილი პარტიის პოლიტიკური მდივანი გახდა. სტარტი აიღო ახალი კადრების მოზიდვის პროგრამამ, რომელსაც კახი კალაძე კურატორობს. დაეხმარება თუ არა ეს და სხვა სიახლეები მძიმე მდგომარეობაში მყოფ მმართველ პარტიას?**

„მიდის მუშაობა, რომ გუნდს ახალი სახეები შემოემატოს. ეს არ ეხება მხოლოდ პარტიის ლიდერშიფს, საუბარია რაიონულ ორგანიზაციებზე, პარტიის გაძლიერებაზე ახალი სახეებით", — განუცხადა „რუსთავი 2"-ს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **მამუკა მდინარაძემ**. „ვეძებთ ადამიანებს, რომლებიც გარკვეულ ავტორიტეტს წარმოადგენენ თავიანთ რეგიონში, სოფელში, მუნიციპალიტეტში, ქვეყნის მასშტაბით", — თქვა „პალიტრანიუსის" ეთერში პროგრამის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **სოზარ სუბარმა (თავის დროზე ხელისუფლებისადმი ასეთი შეთავაზებით — აქცენტი გაკეთებულიყო ადგილობრივ მოსახლეობაში ავტორიტეტის მქონე გამორჩეულ ადამიანებზე – გამოვიდა ქართველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, მაგრამ მაშინ მისი წინადადება ყურად არ იღეს. როგორც ცხოვრებამ გვაჩვენა — ტყუილუბრალოდ. რედ.)**. ეს და სხვა მსგავსი კომენტარები ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ ახალი მობილიზაციის მთავარი მიზანი საპარლამენტო არჩევნების გადაგორებაა და „ქართულ ოცნებას" უპირველესად „ახალი სახეები", ანუ ფასადის შელამაზება აინტერესებს. ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ 2016 წლის არჩევნების წინარე პერიოდი, როდესაც პარტიამ საზოგადოებას **ირაკლი კობახიძე (მდინარაძე, თალაკვაძე** და ა. შ.) წარუდგინა, როგორც განახლებისა და პროგრესული კადრების დაწინაურების ილუსტრაცია. ყველამ ნახა, რა გამოვიდა აქედან — „ახალ" და „ძველ გვარდიას" შორის დაიწყო ჯერ ფარული, შემდეგ კი ღია დაპირისპირება, რომელმაც მმართველი პარტია დაშლის პირას მიიყვანა.

„ქართული ოცნების" ისტორია არსებითად დისბალანსის ისტორიაა. როდესაც მის შიგნით ერთ-ერთი ჯგუფი არაპროპორციულად ძლიერდება, დანარჩენები მის წინააღმდეგ ერთიანდებიან და ცდილობენ, დაარწმუნონ ბიძინა ივანიშვილი და სრულიად საზოგადოება იმაში, რომ ეს გაძლიერება დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ამ ფაქტორმა თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა **ღარიბაშვილის, კვირიკაშვილის, ქუმსიშვილის** გადაყენებაში და **კალაძის** ჯგუფის პოზიციების შეზღუდვაში, თუმცა აქ მთავარია სხვა რამ. როდესაც ესა თუ ის ჯგუფი ასპარეზს ტოვებს ან უკან იხევს, მისი გავლენის ზონაში იქმნება ერთგვარი ვაკუუმი, რომლის შევსებას სხვა გავლენიანი ჯგუფები ცდილობენ. ეს პროცესი ქაოსურ ხასიათს ატარებს და საბოლოოდ სისტემა უფრო დაუბალანსებელი ხდება, ვიდრე ცვლილებების განხორციელებამდე იყო. 2018 წელს, დაახლოებით იმ პერიოდში, როდესაც პარტიის თავმჯდომარის პოსტს დაუბრუნდა, **ბიძინა ივანიშვილი**, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ბალანსი „თავისით" არ აღდგება. „გვარდიების ომმა" პარლამენტში კარგად აჩვენა, რომ პროცესი თვითრეგულირებას არ ექვემდებარება და საკმაოდ მკაცრ ჩარევას საჭიროებს.

ამ პრობლემის სათავე მმართველი პარტიის გაურკვეველი, „შუალედური" ბუნებაა. ის არასაკმარისად დემოკრატიულია იმისთვის, რომ ბალანსის აღდგენა დემოკრატიული მექანიზმების გამოყენებით მოახერხოს და, ამასთანავე, არასაკმარისად ავტორიტარულია იმისთვის, რომ მისი სტაბილურობა „ავტორიტარულ რაციონალურობაზე" დაფუძნებულმა წესებმა უზრუნველყონ. ის, რასაც ვხედავთ, ყველაზე მეტად ფეოდალურ აშლილობას ჰგავს და საზოგადოების აღქმაც შესაბამისად შეიცვალა. **დღეს კომენტატორები ბევრს საუბრობენ იმაზე, რა მოხდება, როდესაც ღარიბაშვილის კადრები კალაძესა და კობახიძესთან დაკავშირებულ კადრებს დაეჯახებიან. ამ დროს პროცესი აღიწერება, როგორც ხისტი დაპირისპირება, თითქმის ომი და არა თანაპარტიელების ასე თუ ისე ჯანსაღი კონკურენცია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ სისტემაში ღარიბაშვილის ან რომელიმე სხვა ელემენტის დამატება მას დაასტაბილურებს — უბრალოდ, შეიცვლება ძალთა ბალანსი.**

ბოლო მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ ერთადერთი გამაერთიანებელი ფაქტორი მმართველი პარტიისთვის ძალაუფლების შენარჩუნების სურვილია და ეს მის ლიდერებს, ერთი შეხედვით, წინასაარჩევნო პერიოდში კონსოლიდაციისკენ უნდა უბიძგებდეს, მაგრამ ბოლო არჩევნების წინ უთანხმოებამ პრეზიდენტის კანდიდატურის გამო (რომელიც უფრო ღრმა დაპირისპირების გამოვლინება იყო), გამოიწვია ის, რომ ლიდერების ნაწილი პირველი ტურის წინ ლამის „ჩუმი საბოტაჟის" რეჟიმში გადავიდა. 2012-16 წლების პერიოდთან შედარებით სიტუაცია აშკარად შეიცვალა — პროცესი კალაპოტს გასცდა. „გვარდიების" დაპირისპირებამ და კონკურენციამ საარჩევნო სიის გარშემო საპარლამენტო არჩევნების პერიოდში შეიძლება უარესი შედეგი გამოიღოს.

ღარიბაშვილის დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზი „ძველ გვარდიასთან" ურთიერთობის დარეგულირებაა — აქ უნდა ვიგულისხმოთ არა იმდენად უმრავლესობიდან გასული დეპუტატები, რამდენადაც ამომრჩევლები, რომლებიც „2012 წლის პრინციპების" ერთგულებას ინარჩუნებენ, ხოლო კობახიძის გუნდს დასანახავად ვერ იტანენ. ძნელი წარმოსადგენი არაა, რას გრძნობენ ისინი დღეს, როდესაც ივანიშვილმა არჩევნების მეორე



**ბიძინა ივანიშვილი, როგორც ჩანს, ერთდროულად ორი მიზნის მიღწევას ცდილობს. მას სჭირდება, თუნდაც ფარდობითი, სტაბილიზაცია პარტიაში და ელექტორატის წინასაარჩევნო კონსოლიდაცია. პარადოქსულია, მაგრამ ერთი მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯმა შეიძლება პარტია მეორეს დააშოროს. მაგალითად, ზემოთ ნახსენები «ანტინაცური» ინიციატივები, სავარაუდოდ, არ მოეწონება «ახალგაზრდა გვარდიას», რადგან დღის წესრიგში დააბრუნებს პოლიტიკოსების შეფასების იმ კრიტერიუმებს, რომლებიც «ქართული ოცნების» ელექტორატისთვის აქტუალური 2012-14 წლებში იყო**

ტურის წინ დახმარება სთხოვა (და მიიღო), ხოლო ორიოდე თვეში გააკეთა ის, რაც დაპირებებისგან და მოლოდინებისგან ძალიან შორს იყო (მოსამართლეების სიის გარშემო განვითარებული პროცესები, კობახიძის ჯგუფის იერიში „ძველი გვარდიის" პოზიციებზე და ა. შ.). რაღაც მომენტში ცხადია შეიქნა, რომ „ქართული ოცნება" საკუთარი ელექტორატის ბირთვს კარგავს.

ამ ამომრჩევლებს დიდად არც ღარიბაშვილი მოსწონთ, თუმცა იციან, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ საკმაოდ ხისტი დამოკიდებულება ჰქონდა. სხვა საქმეა, რომ სწორედ მისი პრემიერობის პერიოდში დაიწყო „ოცნებაში" ნაციონალების მასობრივი „პორტირების" პროცესი, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ღარიბაშვილის რიგი განცხადებები და ნაბიჯები აშკარად განსხვავდებოდა ირაკლი კობახიძის ისტორიებისგან ფაშისტებზე, რომლებიც ომის შემდეგ კეთილები გახდნენ. ყოველ შემთხვევაში, ირაკლი ღარიბაშვილი **ვანო ზარდიაშვილსა** და **ლევან მურუსიძეს** არ ეხუტებოდა.

სოციოლოგიური მონიტორინგი და საპრეზიდენტო არჩევნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ „ანტიმიშისტური" განწყობა საზოგადოების დიდ ნაწილში კვლავ აქტუალურია და ის მნიშვნელოვან პოლიტიკურ რესურსს წარმოადგენს, რაც მეორე ტურში გამოჩნდა კიდეც, მაგრამ ცხადია ისიც, რომ **ელექტორატის უმრავლესობამ, დიდი ხანია, გაშიფრა „ქართული ოცნების" მთავარი პოლიტტექნოლოგიური სქემა, რომელიც წინასაარჩევნოდ მიხეილ სააკაშვილისგან საფრთხობელის შექმნას ითვალისწინებს და, ფაქტობრივად, სთავაზობს მოსახლეობას, „ქართული ოცნება" მხოლოდ იმიტომ აირჩიოს, რომ ის „ნაცმოძრაობაზე" ნაკლები ბოროტებაა. მთელი რიგი ინდიკატორები მიუთითებენ იმაზე, რომ ეს მიდგომა ბოლო წლებში სულ უფრო მეტ ადამიანს აღიზიანებს. შესაბამისად, არსებობს ორი ფაქტორი — ერთი მხრივ, კვლავ აქტუალური „ანტიმიშიზმი" და, მეორე მხრივ, მისი გამოყენების დრომოჭმული ტაქტიკა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტაქტიკა თავდაცვითი ხასიათისაა — „მგელი მოდის და მოვიგერიოთ" — ის პრევენციულ ზომებს ნაკლებად ითვალისწინებს.**

ამ ფაქტორების გამო „ქართული ოცნება" შეიძლება შეეცადოს, „მეორედ შევიდეს მდინარეში", რომლიდანაც 2013-14 წლებში ამოვიდა (უფრო სწორად ამოხტა), რათა გააერთიანოს ძველი ამომრჩეველი ნაციონალების წინააღმდეგ მიმართული ახალი ტაქტიკის გარშემო. მარტივად რომ ვთქვათ, არ დაელოდოს მომენტს, როდესაც ნაციონალები და მათთან აფილირებული ჯგუფები მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებასთან დაკავშირებულ კამპანიას ააგორებენ (მან კულმინაციას, წესით, გაზაფხულის მეორე ნახევარში უნდა მიაღწიოს) და თავად გადადგას გარკვეული ნაბიჯები. მაგალითად, ოდნავ შეცვლილი სახით მიიღოს „პატრიოტთა ალიანსის" მიერ შემუშავებული რეზოლუცია, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივად გამოცხადებას ითვალისწინებს.

ასეთი დადგენილების მიღებიდან ავტომატურად გამომდინარეობს მთელ რიგ საქმეებში მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და გამოძიების პროცესის გააქტიურება, აგრეთვე, გარკვეული შეზღუდვების დაწესება თანამდებობების დაკავებაზე იმ პირებისთვის, რომლებიც ძველ რეჟიმთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. ეს პოლიტიკა გარანტირებულად გაამწვავებს „ქართული ოცნებისა" და „ნაცმოძრაობის" ურთიერთობას და, დიდი ალბათობით, ელექტორატს საპარლამენტო არჩევნების წინ იმავე დილემის წინ დააყენებს (უბრალოდ, ამ წერტილამდე განსხვავებული მარშრუტით მივა), რომლის წინაშეც 2016-ში იდგა, ეს კი „ოცნებისთვის" მომგებიანია, მაგრამ იმის ალბათობა, რომ პროცესი სწორედ ასე წარიმართება, ჯერჯერობით არც ისე მაღალია. მმართველ პარტიას უცხოელი პარტნიორების ნეგატიური რეაქციის ეშინია და, ამასთანავე, მსგავსი პოლიტიკის გატარებისთვის არასაკმარისად ენერგიულია. თუმცა სავსებით შესაძლებელია, „ქართულმა ოცნებამ" „მონიშნოს" წინსვლა ამ მიმართულებით და მთავარ როლს ამაში, სავარაუდოდ, სწორედ ირაკლი ღარიბაშვილი შეასრულებს.

**ბიძინა ივანიშვილი, როგორც ჩანს, ერთდროულად ორი მიზნის მიღწევას ცდილობს. მას სჭირდება თუნდაც ფარდობითი სტაბილიზაცია პარტიაში და ელექტორატის წინასაარჩევნო კონსოლიდაცია. პარადოქსულია, მაგრამ ერთი მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯმა შეიძლება პარტია მეორეს დააშოროს. მაგალითად, ზემოთ ნახსენები „ანტინაცური" ინიციატივები, სავარაუდოდ, არ მოეწონება „ახალგაზრდა გვარდიას", რადგან დღის წესრიგში დააბრუნებს პოლიტიკოსების შეფასების იმ კრიტერიუმებს, რომლებიც „ქართული ოცნების" ელექტორატისთვის აქტუალური 2012-14 წლებში იყო.** კობახიძის ჯგუფის წევრებისთვის, რომელთაც ძველ რეჟიმთან (და მის მემკვიდრეობასთან) მებრძოლებად არავინ არ აღიქვამს, ეს, ალბათ, არასასურველი იქნება და შეიძლება წინააღმდეგობა გაწიონ. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რა ალტერნატიული ტაქტიკა შეიძლება შესთავაზოს ამ ჯგუფმა ივანიშვილს წინასაარჩევნოდ. ასეა თუ ისე, ფაქტია — მმართველი პარტია ღრმა კრიზისშია და ბიძინა ივანიშვილს მის გადასარჩენად ექსტრაორდინალური ზომების მიღება მოუწევს.

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანაკლიის საკითხში სამი დიდი სახელმწიფოს ინტერესი იკვეთება — რუსეთის, აშშ-ისა და ჩინეთის. პროექტის საწყის სტადიაზე იყო საუბარი ამერიკული და ჩინური ინტერესების ლობისტების დაპირისპირებაზე. ახლა ხელისუფლების ოპონენტებმა წინა პლანზე რუსეთის თემა წამოწიეს და ამბობენ, რომ მოსკოვს პროექტის ჩაშლა სურს, ხოლო ივანიშვილი და გახარია მას ხელს უწყობენ.**

# განხეთქილების ბანკი და ხაზარაძის ვა-ბანკი

**ისტორიაში არც ისე ხშირია შემთხვევები, როდესაც ბანკირი ვა-ბანკზე მიდის და ხელისუფლებას საჯაროდ მძიმე ბრალდებებს უყენებს, რადგან დიდძალ ფულს სიჩუმე და სიმშვიდე უყვარს. მაგრამ მამუკა ხაზარაძე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წავიდა და მას შემდეგ, რაც შს მინისტრი გიორგი გახარია მუქარის შემცველი წერილის გამოგზავნაში დაადანაშაულა, უკან დასახევი გზა მოიჭრა.**

მამუკა ხაზარაძემ, მისი თქმით, მიიტანა დაკითხვაზე პროკურატურაში არა წერილი, არამედ მისი ასლი, ხოლო ორიგინალი ლონდონში ექსპერტიზისთვის გაგზავნა. მისმა ადვოკატმა **ზვიად კორძაძემ** „პალიტრანიუსის" ეთერში განაცხადა, რომ „ლონდონში წერილზე არსებული ანაბეჭდების ექსპერტიზა ტარდება, რომელიც შემდეგ გამოძიებას გადაეცემა. ლონდონში მოხდება ანაბეჭდის აღრიცხვა და არა რომელიმე სხვა ანაბეჭდთან მისი შედარება. უფრო კონკრეტულად, ლონდონის ექსპერტიზა დაადგენს, არსებობს თუ არა მასზე ანაბეჭდები, რა ანაბეჭდებია და აღრიცხავს მათ. შესაბამისად, ამის შემდეგ ადგილობრივ საგამოძიებო ორგანოს შესაძლებლობა ექნება, ეს ანაბეჭდები ნებისმიერ სხვა ანაბეჭდებს შეადაროს".

ექსპერტიზის დასრულების შემდეგ, რომელიც, დიდი ალბათობით, აღმოაჩენს, რომ ქაღალდზე რამდენიმე ანაბეჭდია, დაიწყება სკანდალის შემდეგი ეტაპი, რომელსაც შეიძლება „ანაბეჭდების შედარება" ვუწოდოთ. **ხაზარაძის** მხარე და ხელისუფლების ოპონენტები, სავარაუდოდ, წინა პლანზე წამოწევენ **გახარიას** ან სხვა პირების ანაბეჭდების შემოწმების თემას. პროცესი, მიუხედავად იმისა, რა ფორმით წარიმართება, გარკვეულ დროს დაიკავებს და ამ პერიოდში ხელისუფლებას, ასე ვთქვათ, „ეჭვმიტანილის სტატუსი" ექნება — შეამოწმებენ, დაკითხვებს მოუწყობენ და ა. შ. ეს ხაზარაძესა და მის პარტნიორებს შესაძლებლობას მისცემს, ინიციატივას დაეუფლონ. თუ სკანდალის დასაწყისში ეჭვმიტანილის როლი (აქ იგულისხმება არა სამართლებრივი, არამედ საინფორმაციო და ფსიქოლოგიური მხარე) 2008-ში განხორციელებული ოპერაციის გამო, მამუკა ხაზარაძესა და **ბადრი ჯაფარიძეს** უკავშირდებოდა, ახლა ისინი ცდილობენ, მთავარ ეჭვმიტანილად გიორგი გახარია (და ზოგადად — ხელისუფლება) წარმოაჩინონ, ხოლო საკუთარი თავი — სისტემის მსხვერპლად. ეს საინფორმაციო ომის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, რომლის გათვალისწინების გარეშე „წერილის ინტრიგა" აზრს კარგავს.

დიდი ალბათობით, ეს იქნება საკმაოდ ხანგრძლივი, მომქანცველი სკანდალი, რომელიც ხელისუფლებას არცთუ უმნიშვნელო საიმიჯო ზიანს მოუტანს. რას მოუტანს ის მამუკა ხაზარაძეს? ის აცხადებს, რომ მისი მთავარი ინტერესი ამ ეტაპზე ანაკლიის პროექტის წარმატებული რეალიზაციაა. ამასთანავე, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის" დირექტორმა **ლევან ახვლედიანმა** „ტვ პირველის" ეთერში ძალიან საყურადღებო კომენტარი გააკეთა: **„ეს პროცესები, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, ბუნებრივია, გვაფერხებს. შეშფოთებულნი არიან ბანკები. მოდის არაერთი შეკითხვა... გვიწევს ახსნა-განმარტების გაკეთება და მათი დარწმუნება, რომ ყველაფერი რიგზეა. პირდაპირ მინდა ვთქვა, თუ ეს პროცესები არ დასრულდება და ამ გაუგებრობას ნათელი არ მოეფინება, ბანკები საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებენ. სანამ ანაკლიის პორტის მთავარი სპონსორები გახვეულნი არიან, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაუგებრობაში, ბანკები ინვესტიციებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ვერ შეძლებენ. ეს არის ცალსახა. ეს პროცესი თუ უახლოეს პერიოდში არ დასრულდება, ანაკლიის პროექტი შეფერხდება".**

თუ ამ კომენტარით ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ სკანდალისა და ხელისუფლებასთან დაპირისპირების გაგრძელება ანაკლიის პროექტის რეალიზაციას აფერხებს, ხოლო „წერილის ინტრიგა" ახანგრძლივებს დაპირისპირებას და მას უფრო მწვავეს ხდის. ამ საფუძველზე შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ხაზარაძის მიზანი არა მხოლოდ და არა იმდენად ანაკლიაა, რამდენადაც პოლიტიკაში მოსვლა თუ ხელისუფლების შეცვლა.

„წერილის ინტრიგა" მას შემდეგ დაიწყო, რაც დაპირისპირების პირველი ეტაპი დასრულდა და ხაზარაძე ჯაფარიძესთან ერთად „თიბისი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოდან წავიდა (მის აქციონერად ის, ცხადია, რჩება). ხაზარაძეს შეეძლო აეღო პაუზა, რათა ანაკლიისთვის ფულის მოზიდვა უზრუნველეყო, ხოლო საუბარი იმაზე, რომ „თიბისის" საქმეში უსამართლოდ მოექცნენ, თუნდაც დროებით, წინასაარჩევნო პერიოდამდე, ოპოზიციისთვის, არასამთავრობოებისთვის და მედიისთვის დაეთმო. მაგრამ ის მაინც წინა ხაზზე გამოვიდა და წერილი ააფრიალა, რის შემდეგაც უცხოური ბანკები, დიდი ალბათობით, კიდევ უფრო დაშორდნენ „საბოლოო გადაწყვეტილებას", რომელზეც ლევან ახვლედიანი საუბრობს. საიდან მოიტანს ხაზარაძე ფულს?

ხელისუფლების პოზიცია ამ საკითხზე ფინანსთა მინისტრმა **ივანე მაჭავარიანმა** გაახმიანა: **„სახელმწიფომ ამ პროექტთან დაკავშირებული ვალდებულებების დიდი ნაწილი შეასრულა ან შესრულების პროცესშია და ველოდებით იგივე დინამიკას კერძო ინვესტორების მხრიდან. ჩვენც თანდათანობით გავაკეთებთ იმის მიხედვით, თუ რა დინამიკას დაინახავს კერძო სექტორის მხრიდან. აქ არის დიდ თანხებზე საუბარი. ჩვენ, უბრალოდ, არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ავდგეთ და ჩავანთხიოთ რამდენიმე ასეული მილიონი და მერე წლები ვუცადოთ კერძო ინვესტორს. ეს ხომ დაკარგული ფული გამოვა? ...გვინდა, რომ არსებულმა კონსორციუმმა მოახდინოს მობილიზება თანხების, მოიზიდოს ინვესტორები და ეს პროექტი შედგეს"** *(ტვ „პირველი")*.




სიტუაცია ჩიხშია. თუ ხაზარაძის მოქმედებიდან გამომდინარე ვივარაუდებთ, რომ მისი მთავარი ინტერესი არა პორტის აშენება, არამედ ხელისუფლების შეცვლაა, ეს ბუნებრივად გაგვახსენებს გასული წლის გაზაფხულის მოვლენებს, როდესაც ხელისუფლებამ ლამის პირდაპირ დაადანაშაულა კვირიკაშვილისა და ხაზარაძის ალიანსი ივანიშვილის წინააღმდეგ მოქმედებაში; იმავე პერიოდში გახმაურდა ტერმინი „ბანკირების შეთქმულება". როგორც ბიძინა ივანიშვილის შემდგომი კომენტარებიდან გამოჩნდა, დაპირისპირება 2017 წლის მიწურულს დაიწყო. მაშინ საზოგადოების ნაწილმა ჩათვალა, რომ ივანიშვილს რაღაც მოელანდა, ხოლო ცუდი დამოკიდებულება ხაზარაძის მიმართ გამოწვეულია რაღაც უმნიშვნელო ინციდენტით, წყენით და ა. შ., მაგრამ, როდესაც ხაზარაძეს სამართალდამცველები მიადგნენ, ბევრი მიხვდა, რომ საქმე გაცილებით სერიოზულადაა.

ბიძინა ივანიშვილი უცნაური კაცია, მაგრამ სულელს ნამდვილად არ ჰგავს. მას უნდა სცოდნოდა, რომ „თიბისი ბანკში" საგამოძიებო ორგანოების მოქმედება უარყოფით რეაქციას გამოიწვევდა, მას ბიზნესმენების დატერორებაში დაადანაშაულებდნენ და დაიწყებოდა საუბარი იმაზე, რომ „ქართული ოცნება" „ნაცმოძრაობისგან" არაფრით განსხვავდება, მაგრამ მან ხელი არ შეუშალა პროცესის წარმართვას ამ მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა ჰქონდა. რა ამოძრავებდა მას ამ შემთხვევაში — რომელიმე აქტივის დაუფლების ან შურისძიების სურვილი? თუ მან ჩათვალა, რომ ხაზარაძე რეალურ საფრთხეს უქმნის? მეორე ვერსია ირიბად დასტურდება იმ სერიოზულობით, რომლითაც ის და მისი გუნდი კვირიკაშვილთან დაკავშირებულ ეჭვებს მოეკიდა.

ანაკლიის საკითხში სამი დიდი სახელმწიფოს ინტერესი იკვეთება — რუსეთის, აშშ-ისა და ჩინეთის. პროექტის საწყის სტადიაზე იყო საუბარი ამერიკული და ჩინური ინტერესების ლობისტების დაპირისპირებაზე. ახლა ხელისუფლების ოპონენტებმა წინა პლანზე რუსეთის თემა წამოწიეს და ამბობენ, რომ მოსკოვს პროექტის ჩაშლა სურს, ხოლო ივანიშვილი და გახარია მას ხელს უწყობენ.

ამერიკელების დაინტერესება ამ პროექტით ტრამპის გაპრეზიდენტებამდე დაიწყო, ანუ სანამ სამხრეთ კავკასიისა და სხვა შორეული რეგიონების პრიორიტეტულობა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში შემცირდებოდა. იმ პერიოდში რუსულ მედიაში გაჩნდა რამდენიმე წერილი იმის თაობაზე, რომ კრემლმა არ უნდა დაუშვას საქართველოში ამერიკული საზღვაო ბაზის შექმნა. ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი და ექსპერტი დღეს პროექტის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე საუბრობს, იმაზე, რომ ანაკლია ხელს შეუწყობს ამერიკული გავლენის ზრდას.

ამერიკული და რუსული ინტერესების გადაკვეთა ანაკლიაში სერიოზული კონფლიქტის საფრთხეს ქმნის, ხოლო ჩინური ფაქტორის გაძლიერებამ წინააღმდეგობა შეიძლება შეარბილოს და პროექტს სუფთა ეკონომიკური ხასიათი მისცეს, რაც, ალბათ, მისაღები იქნება უმრავლესობისთვის, მაგრამ არა ყველასთვის. სხვათა შორის, **ერთი წლის წინათ ირაკლი ღარიბაშვილი ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური კომპანიის რეგიონულ მრჩევლად დაინიშნა. მას ჩინეთთან სხვა კავშირებიც აქვს. ცხადია, მისი დაბრუნება პოლიტიკაში იმ მომენტში, როდესაც ანაკლია ყურადღების ცენტრში მოექცა, შეიძლება უბრალო დამთხვევა არ იყოს.**

ყველაზე საინტერესოა, რას ურჩევენ ხაზარაძეს მისი დასავლელი პარტნიორები — გამწვავებაზე წავიდეს თუ კონფლიქტი ჩააქროს, მაშინ, როდესაც დღეს ის ანაკლიის პროექტის მიმართ სულ უფრო ხშირად ხელმძღვანელობს პოლიტიკის და არა ბიზნესის ლოგიკით.

ხელისუფლება ამ ეტაპზე აგებს საინფორმაციო ომს; „წერილის ინტრიგის" დაწყების შემდეგ, მას ახლო მომავალში გაუჭირდება „თიბისი ბანკთან" დაკავშირებული 2008 წლის ამბის გამოძიების მოსალოდნელ ფინალამდე მიყვანა, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი მის მოქმედებას უხეშ ზეწოლად აფასებს. **„ქართულ ოცნებაში" განხეთქილებაა, მისი ამომრჩეველი უკმაყოფილოა, ოპოზიცია გაზაფხულზე აპირებს მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების მოთხოვნით საპროტესტო ტალღა ააგოროს. თუ ამ ფონზე მამუკა ხაზარაძე ბიზნესმენების თუნდაც მცირე ნაწილს „ააბუნტებს" (ამ ეტაპზე მისთვის სასურველი ნაბიჯები ვასილ სოფრომაძემ და ფადი ასლიმ გადადგეს), ხელისუფლების მდგომარეობა შეიძლება მეტად გართულდეს. ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ივანიშვილსა და ხაზარაძეს და მათ უკან მდგომ ძალებს შორის კონფლიქტის დარეგულირება ნაკლებად სავარაუდოა.** ეს ვერ მოხერხდა კვირიკაშვილის გადაყენებისა და საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, ახლა კი, „წერილის ინტრიგის" დაწყების შემდეგ, პრაქტიკულად გამოირიცხა. კონფლიქტის გაწელვა უსასრულობამდე არც ერთ მხარეს ხელს არ აძლევს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე ერთმანეთს მთელი ძალით შეუტევს.

**«ქართულ ოცნებაში» განხეთქილებაა, მისი ამომრჩეველი უკმაყოფილოა, ოპოზიცია გაზაფხულზე აპირებს მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების მოთხოვნით საპროტესტო ტალღა ააგოროს. თუ ამ ფონზე მამუკა ხაზარაძე ბიზნესმენების თუნდაც მცირე ნაწილს «ააბუნტებს» (ამ ეტაპზე მისთვის სასურველი ნაბიჯები ვასილ სოფრომაძემ და ფადი ასლიმ გადადგეს), ხელისუფლების მდგომარეობა შეიძლება მეტად გართულდეს. ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ივანიშვილსა და ხაზარაძეს და მათ უკან მდგომ ძალებს შორის კონფლიქტის დარეგულირება ნაკლებად სავარაუდოა**

**ლუკა ნემსაძე**

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისევ ექსპერიმენტების ქვეყანა ვართ, ბატონო მამუკა, და თქვენ მიერ დასახელებული ციფრები შთამბეჭდავი იქნებოდა, რომ არა თქვენ მიერვე ნათქვამი ფრაზა: არაფერი გვეშველება მანამ, სანამ მთლიანი შიდა პროდუქტის ორნიშნა ციფრი არ დაიხარჯება განათლებაზეო. ეს 2022 წლისთვისაც კი ვერ ხერხდება და მერე... მერე თქვენ პრემიერი აღარ იქნებით, რადგან ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ პრემიერს საქართველოში სამი წელი გაეძლოს. მერე მოვა თქვენი შემცვლელი, ახალ გეგმას მოიგონებს, განათლების მინისტრსაც შეცვლის და ევროპელი ელჩები ისევ ყურადღებით დააკვირდებიან, როგორ ატარებს საკუთარ ხალხზე ექსპერიმენტს ხელისუფლება...**

# ნებაყოფლობითი ექსპერიმენტი საკუთარ თავზე

**განათლება ყველა ერისთვის უმნიშვნელოვანესია. გაუნათლებელი თაობა ადვილი სამართავია, თუმცა საკმარისია, რამდენიმე გაუნათლებელი თაობა ერთმანეთს მიება და უკვე სახელმწიფოს არსებობა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან დღეს მეზობელი ქვეყნები ამ ყველაფერს სათავისოდ იყენებენ. ისე, სიმართლე გითხრათ, ვერ ვიხსენებ, საქართველოს ოდესმე მეზობლების მიმართ თუნდაც სადავო ტერიტორიებზე განეცხადებინოს ხმამაღალი პრეტენზია.**

ეგ კი არა, ახლა იმასაც ამბობენ, აზერბაიჯანში ვიზიტისას სალომე ზურაბიშვილი თავის კოლეგას საზღვრის დადგენაზე შეუთანხმდაო. ეს მაშინ, როცა აზერბაიჯანი საზღვრის ხაზების გავლების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რადგან სადავოდ დავითგარეჯის სამონატრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიასა და ჩიჩხიტურის კოშკს მიიჩნევდა და მათ დათმობას არ აპირებდა. **საზღვრის დემარკაცია თუ მართლა მოხდება და თანაც ისე, რომ გარკვეულ ტერიტორიას დავთმობთ, ეს მარტივ ენაზე ღალატი იქნება, ოფიციალურ ენაზე კი — სახელმწიფოსა და ერის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული...**

ისევ განათლებას დავუბრუნდეთ, სფეროს, რომელიც ყველას ხელში ნაკვერჩხალივით უჭირავს და მის მოშორებას ცდილობს. თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლება აბურთავებდა განათლების სისტემას საექსპერიმენტო მოედანზე და განათლების მინისტრის პოსტზე ისეთი ადამიანებიც კი მოსვა, როგორიც არან გაუნათლებელი **ალექსანდრე ლომაია** და **გია ნოდია.** ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ახალმა პრემიერმა **ბიძინა ივანიშვილმა** გამოაცხადა: ნახავთ, როგორი განათლება გვექნება, მსოფლიოს გავაოცებთ და, რაც მთავარია, ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს ავაშენებ და ქვეყანას ვაჩუქებო. ივანიშვილმა გამოაქვეყნა გეგმაც, რომელიც 2016 წელს უნდა განხორციელებულიყო და ჩვენ ის სისტემა უნდა გვქონოდა განათლების სფეროში, რომელიც მსოფლიოს გააოცებდა...

ივანიშვილის წასვლისა და ღარიბაშვილის მოსვლის შემდეგ განათლების სფერო კვლავ აღიარეს პრიორიტეტად, თუმცა ამჯერად მსოფლიოს გასაოცებელმა სისტემამ ცოტა გადაიწია და ღარიბაშვილის პრემიერობის პირობებში მისი დასრულების ვადად 2018 წელი გამოცხადდა. შედეგად მივიღეთ ივანიშვილის მიერ შემუშავებული გეგმის განახლებული ვარიანტი ორწლიანი გაგრძელებით.

ისე როგორ იქნებოდა, **ღარიბაშვილის** წასვლის შემდეგ მის შემცვლელ **გიორგი კვირიკაშვილს** მთავარ გამოწვევად კვლავ განათლება არ დაესახელებინა, თუმცა, წინამორბედის დარად, **გეგმა კვირიკაშვილმაც შეცვალა და მსოფლიოს გასაოცებელი განათლების სისტემის რეფორმის დასრულების თარიღად 2021 წელი დაასახელა.** წესით, მხოლოდ ორი წელი უნდა მიემატებინა, მაგრამ, მოგეხსენებათ, 2020-ში რამე დასრულდებაო, რომ ეთქვა, ეს მოქმედი ხელისუფლების მმართველობის დასასრულთან გაიგივდებოდა, 2019 ძალიან ახლოს იყო და ამიტომ თქვა 2021 წელი. სხვათა შორის, ვინც არ იცის, სწორედ ეს დამტკიცებული გეგმა დევს განათლების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, მაგრამ გვგონია, რომ შეიცვლება, რადგან მანამდე იმავე გვერდზე ღარიბაშვილის მიერ დამტკიცებული გეგმა იდო. არც ის დაგვავიწყდეს, რომ პრემიერების ცვლილებასთან ერთად განათლების მინისტრებიც იცვლებოდნენ. ერთი ეგ იყო, **გიორგი მარგველაშვილი** წავიდა საკუთარი ნებით, რადგან პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს, თორემ შემდეგ ჯერ **თამარ სანიკიძე** გაუშვეს სახლში, შემდეგ — **ალექსანდრე ჯეჯელავა**, მას **მიხეილ ჩხენკელი** მიაყოლეს და ახლა განათლების სისტემა **მიხეილ ბატიაშვილზე** დგას... იმ ბატიაშვილზე, რომელმაც გამოცდები გააუქმა.

კვირიკაშვილის წასვლის შემდეგ ახალმა პრემიერმა **ბახტაძემ** განათლების სისტემისთვის ვერ მოიცალა. მას სხვაც ბევრი დახვდა გასარკვევ-გასაკეთებელი, თანაც, წინა პრემიერის მიერ შემუშავებულ-დამტკიცებული გეგმა ხომ უკვე მაგიდაზე იდო და განათლების სამინისტროც ამ სტრატეგიას 2017 წლიდან მიჰყვებოდა, მაგრამ სამინისტრო ბჭობდა, პრემიერი იცინოდაო, თუ არ გაგიგიათ, ახლა გაიგებთ...

**„განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ, თუ ქვეყნის ეკონომიკაში განალების სექტორს არ აქვს მთლიანი შიდა პროდუქტის ორნიშნა ციფრი, 21-ე საუკუნეში ასეთ ერებს უჭირთ კონკურენცია საერთაშორისო ბაზრებზე. სწორედ ეს გახლავთ ჩვენი ორიენტირიც, რომ აღნიშნული იდეის რეალიზაციის შემდეგ, განათლების სექტორი გახდეს დომინანტი ჩვენს ეკონომიკაში და ის იყოს, მინიმუმ, ორნიშნა ციფრი — მთლიანი შიდა პროდუქტის 10-11%. 2012 წელს ჩავიბარეთ განათლების სისტემა, რომლის ბიუჯეტიც იყო 700 მილიონი. 2019 წლის ბიუჯეტში ეს რიცხვი 1.6 მილიარდია. გვაქვს გეგმა, რომ 2020 წლის ბიუჯეტში განათლების სისტემის ბიუჯეტი 2 მილიარდი იყოს, 2021 წელს — 2.5 მილიარდი, ხოლო 2022 წელს ის გაუტოლდება მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ს, ანუ იქნება 3.4 მილიარდი“,** — განაცხადა ბახტაძემ.

ბატონო მამუკა, ჯერ ის ვთქვათ, რომ „იყოს მინიმუმ ორნიშნა ციფრი — მთლიანი შიდა პროდუქტის 10-11%“ რას ნიშნავს?! მინიმუმ ორნიშნა ციფრი, ანუ მაქსიმუმ სამნიშნა? ხომ ხვდებით, რომ აბსურდია, რადგან პირველი სამნიშნა ციფრი 100-ია და 100% განათლების სისტემაზე კი არა, ვერაფერზე დაიხარჯება. ეს ერთი.



**ლებიც ხელმისაწვდომი მხოლოდ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებისთვის არის.** მერე კონკურენციაც გაიზრდებოდა და კონკრეტულ ვაკანსიაზე ერთის ნაცვლად ასი განათლებული მოვიდოდა. ასიდან 99 უარს რომ მიიღებდა, სწორედ ის 99 მოინდომებდა უფრო მეტს, დაძებნიდა, მოიკითხავდა, ისწავლიდა... თუმცა ამ ყველაფერს ფინანსები სჭირდება, სერიოზული ფინანსები. საუბარი არ არის მხოლოდ წიგნზე, აქ საუბარია კომპიუტერზე, რომელიც უკვე ყველა აბიტურიენტსა თუ მოსწავლეს სჭირდება და რომელიც არ არის იაფი.

სხვათა შორის, განათლების მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა განაცხადა, ჩვენ მიერ დაანონსებული რეფორმებით აქაური ელჩები დაინტერესდნენ და შეხვედრას შეხვედრაზე ვმართავთ, რათა ჩვენი პროგრამა გავაცნოთო. ბოლოს ისრაელის ელჩი გაეცნო საქართველოს „ნოუ ჰაუს“ და უთქვამს: ჩვენი მხარდაჭერა გექნებათ და ყურადღებით დავაკვირდებით პროცესებსო. რა თქმა უნდა, ეს ყველას გაუხარდა, მაგრამ რეალობა სხვაგვარია — **ვერავის წარმოუდგენია, როგორ შეიძლება გამოცდების გარეშე განათლების მიღება და ამიტომ მშვენიერი ექსპერიმენტი აქვთ თვალწინ, რომელსაც ერი ნებაყოფლობით ატარებს საკუთარ თავზე: გაამართლებს ექსპერიმენტი — წაიღებენ თავის ქვეყანაში, არ გაამართლებს და — სხვა ექსპერიმენტებს დაელოდებიან.**

**ბატონო მამუკა, ეს არეული ციფრები და «მინიმუმ ორნიშნა ციფრის» წამოცდენა, იცით, რისი ბრალია?! არ ხართ მზად რეფორმისთვის, ვიღაცამ დაგიწერათ, დაგიხაზათ და თქვენც წაუკითხავად და ანალიზის გარეშე მოგვახსენეთ. მინიშნებითაც კი არ გითქვამთ, რომ გამოცდების გაუქმება, რომელიც ერმა თუ ბერმა გააპროტესტა, განათლების სისტემაზე უარყოფითად აისახება. გამოდის, ეთანხმებით იმას, რომ ბავშვებმა ატესტატი გამოცდების გარეშე აიღონ და ფულის გადახდის შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ჩაიდონ ჯიბეში. განათლების სისტემის მთავარი ფუნქცია ხომ ცოდნის მიცემა უნდა იყოს და არა დიპლომის?!**

მეორე — **2012 წელს რომ 700 მილიონი იყო ბიუჯეტი, დოლარში იმ მონაცემებით ეგ თანხა 411 მილიონია და დღევანდელი 1.6 მილიარდი იმავე დოლარში 592 მილიონია, ანუ 7 წლის განმავლობაში რეალურად 181 მილიონი დაემატა განათლების სისტემას და არ გაგიორმაგებიათ.**

და მესამე — გამოდის, რომ 2022 წელსაც კი 3.4 მლრდ-ით ვერ ვახერხებთ სასურველ ორნიშნა ციფრამდე მისვლას — განათლების სისტემა, სულ ცოტა, 3 წლის განმავლობაში კიდევ ექსპერიმენტების სფერო იქნება. **იმის გარანტიას ჩვენ მოგცემთ, რომ 2022 წლისთვის პრემიერი არ იქნებით და იმასაც გეტყვით, რომ თქვენი შემცვლელი აუცილებლად დაიწყებს საკუთარი გეგმის განხორციელებას, შეცვლის თქვენ მიერ დალაგებულს ზუსტად ისე, როგორც თქვენ ცვლით წინამორბედისას და ისე, როგორც წინამორბედმა წინამორბედის გეგმა შეცვალა. ჰოდა, ვიტრიალებთ ასე ერთ წრეზე, დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ არნახულსა და გაუგონარს ვაკეთებთ, რომ საამისოდ ყველა რესურსი გვაქვს, რეალურად კი...** ბატონო მამუკა, ეს არეული ციფრები და „მინიმუმ ორნიშნა ციფრის“ წამოცდენა, იცით, რისი ბრალია?! არ ხართ მზად რეფორმისთვის, ვიღაცამ დაგიწერათ, დაგიხაზათ, და თქვენც წაუკითხავად და ანალიზის გარეშე მოგვახსენეთ; **მინიშნებითაც კი არ გითქვამთ, რომ გამოცდების გაუქმება, რომელიც ერმა თუ ბერმა გააპროტესტა, განათლების სისტემაზე უარყოფითად აისახება. გამოდის, ეთანხმებით იმას, რომ ბავშვებმა ატესტატი გამოცდების გარეშე აიღონ და ფულის გადახდის შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი ჩაიდონ ჯიბეში. განათლების სისტემის მთავარი ფუნქცია ხომ ცოდნის მიცემა უნდა იყოს და არა დიპლომის.** თუმცა მთავარი ესეც არ არის?!

პოლიტიკაში მობრუნებულმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, საქართველოში დემოკრატია საგრძნობლად უსწრებს ეკონომიკასო და თითქმის ანალოგიური რამ თქვით თქვენც, ოღონდ განათლების სისტემაზე. თქვენი სიტყვებით, **ეკონომიკა ვერ ეწევა განათლებას**, ე.ი., მთავარ პრობლემად თქვენც ეკონომიკა მიგაჩნიათ. ეს ის შემთხვევაა, როცა ბოლომდე უნდა დაგეთანხმოთ თქვენც და ბატონ ბიძინასაც — ქვეყნის ასეთ მდგომარეობაში ყოფნის მთავარი მიზეზი ეკონომიკაა და არა სხვა რამ. რომ არა ეკონომიკური სიდუხჭირე, რომ არა უმუშევრობა, რომ არა მიზერული ხელფასები და პურის ფულის საშოვნელად წელში გაწყვეტილი მოსახლეობა, პრობლემების მოგვარებას ხალხი თვითონ შეძლებდა. როგორ? მაგასაც მოგახსენებთ.

**ხალხს, ეკონომიკურად წელში გამართული რომ იყოს, შვილებს საკვებით, ტანსაცმლით რომ უზრუნველყოფდეს, აუცილებლად დარჩებოდა იმაზე ფიქრის დრო, როგორ მიეცა შვილისთვის უკეთესი განათლება. მოსახლეობა თვითონ აწევდა განათლების ხარისხს, აიძულებდა მასწავლებელს, მეტი ეშრომა, აიძულებდა სასწავლებელს, მეტი გაეცა და, თუ აქ არ მოეწონებოდა, შვილს საზღვარგარეთ გაუშვებდა, იმ ევროპულ სასწავლებლებში, რომლებსაც ვეტოლებით და რომ-**

ჰო, ისევ ექსპერიმენტების ქვეყანა ვართ, ბატონო მამუკა, და თქვენ მიერ დასახელებული ციფრები შთამბეჭდავი იქნებოდა, რომ არა თქვენ მიერვე ნათქვამი ფრაზა: **არაფერი გვეშველება მანამ, სანამ მთლიანი შიდა პროდუქტის ორნიშნა ციფრი არ დაიხარჯება განათლებაზეო. ეს 2022 წლისთვისაც კი ვერ ხერხდება და მერე... მერე თქვენ პრემიერი აღარ იქნებით, რადგან ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ პრემიერს საქართველოში სამი წელი გაეძლოს. მერე მოვა თქვენი შემცვლელი, ახალ გეგმას მოიგონებს, განათლების მინისტრსაც შეცვლის და ევროპელი ელჩები ისევ ყურადღებით დააკვირდებიან, როგორ ატარებს საკუთარ ხალხზე ექსპერიმენტს ხელისუფლება... ჰო, ეს ყველაფერი ძალიან, ძალიან გაგიხარდებათ და ეჭვი გვაქვს, ბოლოს გაღიმებული დავრჩებით ყველა...**

**ბესო ბარბაქაძე**

**როგორც ქართველი ემიგრანტები სოციალურ ქსელებში წერენ, შვედეთში, დანიაში, ფინეთში, პოლონეთსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში უკვე იყვნენ ჩასული საქართველოს მთავრობის „ემისრები“, რომლებიც დაჟინებით უმტკიცებენ იქაურ ხელისუფლებებს, რომ საქართველო აწყობილი, დალაგებული და წარმატებული სახელმწიფოა და რომ საქართველოს მოქალაქეებს პრობლემა არ აქვთ ღირსეულად დასაქმებისა; თურმე მათ სამშობლოშიც შეუძლიათ, კარგად დასაქმდნენ, უბრალოდ, უცხოეთში უფრო იოლ, მუქთა შემოსავალს ეძებენ.**



ბაქარ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მერე რომ არავინ არაფერი არ მითხრას, თავიდანვე ასე დავიწყებ — ვარ 43 წლის, ქართველი, მამრობითი სქესის ადამიანი. მიმუშავია არაერთ დაბალ, საშუალო თუ მაღალ თანამდებობაზე. გარდა ამისა, ასე თუ ისე, ვარ „ცნობადი სახეც“. ჰოდა, თუკი ვინმე შემომთავაზებთ ხელფასად თვეში, 1000 თუ არა, 500 ევროს მაინც, ვიმუშავებ, რომელ პოზიციაზეც გინდათ, ყველაზე არაპრესტიჟულ და დაბალი რანგის სამსახურში — სასტუმროს შვეიცარით დაწყებული, კანალიზაციის გამწმენდით დამთავრებული. ველი შემოთავაზებებს.**

# «ზარმაცი» ქართველები «ძალიან მაგარი მენეჯერების» პირისპირ

ამ განცხადებით თავი იმიტომ დავიზღვიე, რომ ვიცი, „წარმატებული“ და „მაგარი მენეჯერები“ დამიწყებენ ახლა — სხვებზე რომ ლაპარაკობ, ჯერ საკუთარ თავში ჩაიხედე, იკადრებ არაპრესტიჟულ სამსახურში მუშაობასო? ამ კითხვაზე უკვე გაგეცით სრულიად ნათელი პასუხი. ახლა კი ამ სტატიის მთავარ სათქმელზე გადავიდეთ.

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ისევ ჯიუტად ცდილობს, მოსახლეობას დაუმტკიცოს, რომ ქვეყანაში სამუშაო ადგილები „ყრია“ და საქართველოში სამსახურის შოვნა არ არის არანაირი პრობლემა. თუმცა, ქვეყანაში მყოფ მოსახლეობას კიდევ რა უჭირს, როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა უკვე თავისა და ოჯახის გადასარჩენად უცხოეთში გადახვეწილ ქართველებსაც უფუჭებს საქმეს.

როგორც **ქართველი ემიგრანტები სოციალურ ქსელებში წერენ, შვედეთში, დანიაში, ფინეთში, პოლონეთსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში უკვე იყვნენ ჩასული საქართველოს მთავრობის „ემისრები“, რომლებიც დაჟინებით უმტკიცებენ იქაურ ხელისუფლებებს, რომ საქართველო აწყობილი, დალაგებული და წარმატებული სახელმწიფოა და რომ საქართველოს მოქალაქეებს პრობლემა არ აქვთ ღირსეულად დასაქმებისა; თურმე მათ სამშობლოშიც შეუძლიათ კარგად დასაქმდნენ, უბრალოდ, უცხოეთში უფრო იოლ, მუქთა შემოსავალს ეძებენ.**

აქ სასაცილო არის ის, რომ ვერავინ განმარტავს, კერძოდ, რომელ „იოლ“ და „მუქთა“ შემოსავალს ეძებენ უცხოეთში ქართველები, რომლებიც რეალურად იქ უმძიმეს და სავსებით „არაპრესტიჟულ“ სამუშაოებს ასრულებენ?

მაგრამ საქართველოს ხელისუფლების „ემისრებმა“ შესანიშნავად იციან, რომ ევროპელებს ამას არავინ აუხსნის. ისინი დიპლომატიურ დონეზე იჯერებენ საქართველოს მთავრობის ასეთ ტყუილებს და უქმნიან კიდეც პრობლემებს იქ დასაქმებულ ქართველებს. არც არის გასაკვირი ჩვენი მთავრობის წარმომადგენელთა ასეთი თავდაჯერებული საქციელი. რა გასაკვირია მათგან ევროპელ ხელისუფალთა მოტყუება, რომლებმაც რეალურად მართლა არ იციან ასე ღრმად, რა ხდება საქართველოში. დიახ, ეს სულაც არ არის გასაკვირი იმ ფონზე, როდესაც აქ, საქართველოში, მცხოვრებ ქართველებს „გვაშტერებენ“ და ცდილობენ, „თვალი აგვიხილონ“.

სინამდვილეში კი გამოდის, რომ **საქართველოს ჯიუტი ხელისუფლება ქართველებს გვლანძღავს, უსაქმურებს, მუქთახორებსა და დებილებსაც კი გვიწოდებს.**

ყოველივე მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ბიძინა ივანიშვილმა იხტიბარი არ გაიტეხოს და დაგვაჯეროს, რომ „მეოთხე წელი ძალიან მაგარი იქნება“. მართალია, ამ „მეოთხე წლის ძალიან მაგრობას“, უკვე მეშვიდე წელია, „გვაჯერებენ“, მაგრამ უკვე ძალიან გადაამლაშეს და, ხალხის უკიდურეს გაღიზიანებას რომ იწვევენ, ან ვერ ხვდებიან, ან ფეხებზე ვკიდივართ.

**სატელევიზო „თოქ-შოუებში“ ბოლო პერიოდში კვლავ გააქტიურდა დასაქმების, უფრო ზუსტად კი, დაუსაქმებლობის თემა. ამ მიმართულებას განსაკუთრებით „აწვება“ ტელეკომპანია „იმედი“ და, როგორც ზევით უკვე ვთქვით, მონდომებით ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ უბრალოდ, საქართველოს მოქალაქეები, საზოგადოდ, ქართველი ხალხი ვართ მოუნდომებელი, ზარმაცი და მუქთახორა, თორემ, თუ მოინდომებ კაცი, ამ ქვეყანაში კარგი სამსახურის პოვნას რა უნდა?!**

ყურადღება მიაქციეთ, როდესაც უცხოეთში მყოფ ქართველებზე ვსაუბრობდი, იქაც „ღირსეული დასაქმება“ ვახსენე და ახლაც „კარგი სამსახური“-მეთქი, ვთქვი. მინდა, თქვენი ყურადღება იმაზე გავამახვილო, რომ უკვე არა უბრალო სამუშაო ადგილებზე, არამედ კარგ, ღირსეულ, გადასარევ, ჭკუიდან შემშლელ სამუშაო ადგილებზე გველაპარაკება მთავრობა. მაშასადმე, საქართველოში თურმე არა უბრალოდ ნორმალური სამუშაო ადგილები ყრია, არამედ „ძალიან მაგარი სამუშაო“ ადგილების ცვენაა და ჩვენ, ქართველებს იქ მუშაობა (მეტიც — მათ მოძებნა) გვეზარება.

სწორედ ასეთი თეორია წამოაყენა ერთმა „ახალგაზრდა მენეჯერმა“ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, **ირაკლი ჩიხლაძის** გადაცემაში. „მე კარგ სამსახურს სამი თვე ვეძებდი და ბოლოს ვიპოვე კიდეც. მე ვამბობ, კარგ სამსახურს-მეთქი, რადგან მინდოდა, მაგარი სამსახური მენახა, თორემ ისე, ამ სამი თვის განმავლობაში უამრავი სამსახური ვნახე, ბევრი შემოთავაზება მქონდა, ბევრგან მიმიღეს კიდეც, მაგრამ არ მივედი, რადგან მინდოდა კარგი სამსახური და ბოლოს ვიპოვე ძალიან მაგარი სამსახური! დღეს ვმუშაობ ამ მაგარ სამსახურში და ვარ ძალიან კმაყოფილი. ამიტომ გეუბნებით: სამსახურის შოვნა დიდი პრობლემა არაა. უბრალოდ, უნდა მოინდომო, ეძებო, ეს იქნება ჯობს.გე თუ სხვა საიტები, სხვა რესურსები, უამრავი გზაა. თუ ძალიან მაგარი სამსახური გინდა, ცოტა მეტ ხანს მოგიწევს ძებნა, მაგრამ არ უნდა დაგეზაროს და არ უნდა




**პატივცემულო «წარმატებით დასაქმებულებო», როცა ტელეეთერში გამოხვალთ ჩვენთვის ნერვების მოსაშლელად და იმის სათქმელად, რომ ხართ «მაგარი ტიპები», ხოლო ჩვენ, თურმე, არათუ მუშაობა, არამედ სამუშაოს ძებნაც კი არ შეგვიძლია, იქვე დაასახელეთ, რომელი «წარმატებული კომპანიის» წარმომადგენელი ბრძანდებით და რას აკეთებთ იმ კომპანიაში; ან ჩაიგდეთ ეგ უტიფარი ენები და ნუ «ტროლავთ» ამ ისედაც გაგიჟების ზღვარზე მისულ საზოგადოებას**

შეეშვა. ხოლო ჩვეულებრივი სამსახურები მალევე შეიძლება ნახო. ეს დღეს საქართველოში პრობლემა არაა“, — დაგვმოძღვრა ეთერიდან ვინმე **ლევან კობერიძემ**, რომელმაც თავი „ძალიან წარმატებული კომპანიის ახალგაზრდა მენეჯერად“ გაასაღა.

ეს სიტყვები — „ახალგაზრდა მენეჯერი“ აბზაცის დასაწყისშიც ბრჭალებში ჩავსვი და ახლავე აგიხსნით რატომაც. **როცა და რამდენჯერაც ასეთ „მენეჯერებს“ ვუსმინე და ვუცქირე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში კარგი სამსახურის პოვნა პრობლემა არ არის, რატომღაც არც ერთი მათგანი არ ასახელებს, კერძოდ რომელი „წარმატებული კომპანიის“ მენეჯერები არიან ისინი, რომელ კომპანიაში იპოვეს ასეთი „საოცნებო ვაკანსია“ და დასაქმდნენ ასე კარგად.**

ზუსტად ვიცი, სამ თვეს კი არა, სამ წელიწადს ეძებენ ადამიანები „ჯობს.გე“-ზეც, სხვა საიტებზეც, ახლობელ-მეგობრებში გაკითხვითაც, კომპანიებში პირდაპირ მისვლით და თხოვნითაც ასე თუ ისე ნორმალურ სამუშაოს და ვერ პოულობენ. რაღა მაინცდამაინც ამ ტელეეთერებში ატლიკინებულ „ახალგაზრდა მენეჯერებს“ უმართლებთ ასე?!

პასუხი, ჩემი ვარაუდით, მარტივია — არანაირი „მენეჯერები“ და არანაირი „წარმატებით დასაქმებულები“ ესენი არ არიან. ესენი სწორედ იმაში არიან „დასაქმებულები“, რომ სატელევიზო ეთერში დასხდნენ და ასეთი გამაღიზიანებელი სისულელეები ილაპარაკონ. შემიძლია ვთქვა, რომ **საქართველოს მთავრობას, ხელისუფლებას შექმნილი აქვს რაღაც სპეციალური სამსახური, რომელიც ადამიანებს ფულს უხდის ეკრანზე უტიფარ ლაპარაკში და იმაში, რომ ამტკიცონ, თითქოს საქართველოში სამუშაო ადგილების დეფიციტი არ არსებობს.** დამეთანხმებით, სხვაა, როდესაც ამას მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი გეუბნება და სულ სხვა, როდესაც მაყურებელი ეკრანზე ხედავს „თვალნათელ მაგალითს“ – „ახალგაზარდა მენეჯერს, რომელმაც ძალიან ბევრი ნორმალური სამსახური იპოვა, მაგრამ უნდოდა ძალიან მაგარი სამსახური“, სამ თვეში ისიც იპოვა და ახლა ძალიან კმაყოფილია! სულ სხვა ეფექტია, როდესაც ამას პირველ პირში გიყვება კონკრეტული ადამიანი ეკრანიდან, აშკარად მეტად „დამაჯერებელია“.

**შენ ხედავ მის სახეს, აწერია სახელი და გვარი და, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება მართლა გაფიქრებინონ, რომ პრობლემა ნაღდად შენშია და რაღაცას ვერ აკეთებ ისე, როგორც საჭიროა, თორემ საქართველოში კარგი, მაგარი, შესანიშნავი, საოცნებო სამსახურის შოვნა რა პრობლემაა?! სინამდვილეში კი, ეთერიდან „ცოცხალი ტროლი“ გელაპარაკება და არანაირ „წარმატებულ კომპანიაში“ ის არ მუშაობს. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ შესაძლოა, ეს სახელი და გვარიც არ იყოს მისი და ტიტრზე სულაც მოგონილი სახელი და გვარი ეწეროს.**

ყოველივე ამას, სხვათა შორის, გადაცემის წამყვან ირაკლი ჩიხლაძის სახეზეც ამოიკითხავდით, რომელიც თავს უქნევდა, ეთანხმებოდა „ახალგაზარდა მენეჯერს“ და თან აშკარად წითლდებოდა, ბორძიკით ამბობდა სიტყვებს „დიახ, საბოლოო ჯამში, თუ მოვინდომებთ ნამდვილად ვიშოვით კარგ სამსახურს“.

და კიდევ ერთიც — **პირადად ვიცნობ არაერთი მართლა წარმატებული კომპანიის არაერთ მართლა წარმატებულ მენეჯერს და მათ რომ ეხვეწო, ტელეეთერში ვერ მიიყვან, ვერც ისე, საზოგადოდ და, მით უმეტეს, ასეთი შტერობების სალაპარაკოდ.**

აბა, წარმოიდიგინეთ, რომ რეალურად გაგიმართლათ, მოხვდით მართლა წარმატებულ კომპანიაში საოცნებო თანამდებობაზე. მიპასუხეთ: რატომ უნდა გაგიჩნდეთ სურვილი, წახვიდეთ ტელეეთერში, თქვენი „მაგალითი“ სახალხოდ და საჯაროდ განაზოგადოთ, ამ თემაზე ბევრი იტლიკინოთ და ასე გააღიზიანოთ ხალხი? ჯერ ერთი, იმ წარმატებული კომპანიების მართლა წარმატებულ მენეჯერებს უამრავი საქმე აქვთ და არც სცალიათ „ტელევიზორებში“ სატლიკინოდ; მეორეც — ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ამ საკითხში, დამეთანხმება, რომ არც თქვენი კომპანიის მეპატრონეს, დირექტორს თუ მთავარ მენეჯერს არ ესიამოვნება ასეთი საქციელი და ამისთვის აუცილებლად მიიღებთ, სამსახურიდან გაგდებას თუ არა, უმკაცრეს საყვედურს მაინც.

ასე რომ, მომავალში, **პატივცემულო „წარმატებით დასაქმებულებო“, როცა ტელეეთერში გამოხვალთ ჩვენთვის ნერვების მოსაშლელად და იმის სათქმელად, რომ ხართ „მაგარი ტიპები“, ხოლო ჩვენ, თურმე, არათუ მუშაობა, არამედ სამუშაოს ძებნაც კი არ შეგვიძლია, იქვე დაასახელეთ, რომელი „წარმატებული კომპანიის“ წარმომადგენელი ბრძანდებით და რას აკეთებთ იმ კომაპანიაში; ან ჩაიგდეთ ეგ უტიფარი ენები და ნუ „ტროლავთ“ ამ ისედაც გაგიჟების ზღვარზე მისულ საზოგადოებას.**

ბოლოს კი აუცილებლად სათქმელი — კიდევ ერთი „ტრენდი“, რომელიც ხელისუფლებას ასე ძალიან მოსწონს, არის ის, რომ თითქოს ქართველები აქ, საქართველოში, უკადრისობენ სხვადასხვა სამუშაოს და ყველა ქართველს „უფროსობა“ და „მენეჯერობა“ უნდა, ხოლო უცხოეთში ნებისმიერ საქმეს აკეთებენ. აი, ასეთი აზრი და ამ ტრენდის დამკვიდრების მცდელობა, პირდაპირ ვიტყვი, ღორობაა.

უცხოეთში ქართველები ნებისმიერ სამუშაოზე იმიტომ მუშაობენ, რომ იქ იმდენს უხდიან, ღირს მუშაობად. თქვენ რა გინდათ, აბა, საქართველოში ადამიანმა არაპრესტიჟულ სამსახურში იმუშაოს და ისიც მათხოვრულ-შეურაცხმყოფელი ანაზღაურებით?

აი, ამიტომ მე, ე.წ. ცნობადი სახე და არაერთ თანამდებობაზე ნამუშევარი ადამიანი გეუბნებით თქვენ — „ჭკუის დამრიგებლებს“: გადამიხადეთ არა 1000 (სულ ცოტა, რასაც იხდიან უცხოეთში), არამედ ამის ნახევარი, თუნდაც 500 ევრო და ნებისმიერ სამუშაოზე თანახმა ვარ, რასაც ჩემი ჯანმრთელობით მოვერევი. და ასევე მოიქცევა უამრავი ქართველი ემიგრანტი.

ჰოდა, ველით შემოთავაზებებს!

და, თუკი ვერაფერს შემოგვთავაზებთ, მაშინ ყველას, ვინც ასე უტიფრად დაგველაპარაკება ტელევიზორიდან, რადიოდან, გაზეთიდან თუ სოციალური ქსელიდან, აუცილებლად „მოვუკითხავთ“, სულ ცოტა, „კეთილებს“ მაინც!

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**XIX საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონმა გამოთქვა მოსაზრება, რომ, თუ ევროპა კვლავ განაგრძობს ექსპანსიას რუსეთის მიმართულებით, ადრე თუ გვიან, ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდება. ასეც მოხდა. პირველი, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომის შედეგების მიხედვით ევროპამ დაკარგა ჰეგემონის პოზიციები. XX საუკუნის ბოლოს რუსეთმა და აშშ-მა საბოლოოდ გაინაწილეს მსოფლიო. ბებერი ევროპა კი ისე დაეცა, რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირის დაპირისპირების ერთ-ერთ არენად იქცა.**

# ევროპის დაისი

**საიდუმლო არ არის, რომ ექვსმა კათოლიკურმა ევროპულმა სახელმწიფომ ევროკავშირი თავდაპირველად შექმნა ფოლადსადნობი და ქვანახშირის მრეწველობის ამოცანების გადასაწყვეტად. ევროკავშირი შეიქმნა ერთგვარი ევროპული გაერთიანების სახით საერთო პრობლემების მოსაგვარებლად.**

## 5 მიზეზი — რატომ არის ევროკავშირის დაშლა გარდაუვალი

ევროკავშირის თავდაპირველი ვარიანტი იყო აწონილ-დაწონილი წარმონაქმნი, რადგან აერთიანებდა ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ ერთმანეთის მსგავსი მენტალიტეტი, რწმენა, კულტურა და საერთო წარმოდგენა ქვეყნის ფასეულობებზე.

დღეს კი ეს ყველაფერი ფორმალურობად იქცა. **1950 წელს შექმნილი ქვანახშირისა და ფოლადის კავშირი, უწინარესად, ეკონომიკური პროექტი იყო, ევროკავშირის ამჟამინდელი ვარიანტი კი ბიუროკრატიულია. პირველი ცდილობდა მრეწველობაში ლიდერობასა და ევროპის ეკონომიკურ პროგრესს, მეორე კი 28 ქვეყნამდე უსისტემოდ გაფართოვდა.**

ამ გაერთიანების შექმნისას **საფრანგეთის, გფრ-ის, იტალიის, ბელგიის, ნიდერლანდებისა** და **ლუქსემბურგის** კაპიტალმა ისარგებლა ადამიანების სურვილით, არ დაეშვათ კიდევ ერთი ომი; გამოიყენა საზოგადოებაში არსებული პაციფისტური განწყობები და დაანგრია საერთო ევროპული ბიუროკრატიის ზენაციონალური პროექტი. სუვერენიტეტზე ნაწილობრივი უარის მიუხედავად, ქვანახშირისა და ფოლადის კავშირი მაინც აერთიანებდა თანასწორ მოთამაშეებს, ამიტომ შედარებით მტკიცე იყო, რაც არ ითქმის ამჟამინდელ ევროკავშირზე.

თანამედროვე ევროკავშირი — ეს არის შეუთავსებელი ელემენტების დანაშრევი, თანაც მისი საკვანძო წევრები ავითარებენ მოსაზრებას „ორსიჩქარიან“ ევროზონაზე, გარე მოთამაშეები კი მის დაშლას შეუდგნენ.

### რეტროსპექტივა

XIX საუკუნის დასაწყისში **ნაპოლეონმა** გამოთქვა თვალსაზრისი, რომ, თუ ევროპა კვლავ განაგრძობს ექსპანსიას რუსეთის მიმართულებით, ადრე თუ გვიან, ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდება. ასეც მოხდა. **პირველი, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომის შედეგების მიხედვით, ევროპამ დაკარგა ჰეგემონის პოზიციები; XX საუკუნის ბოლოს რუსეთმა და აშშ-მა საბოლოოდ გაინაწილეს მსოფლიო; ბებერი ევროპა კი ისე დაეცა, რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირის დაპირისპირების ერთ-ერთ არენად იქცა.** საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯების დამოუკიდებლად გადადგმის საშუალების უფრო მეტად შეზღუდვა ელოდა ევროპას 1991 წელს. სწორედ მაშინ გადაიხარა სისტემა საბედისწეროდ, როცა ჩაყლაპა მისთვის შეუთავსებელი აღმოსავლეთევროპული „რესპუბლიკები“.

ამასთანავე, მოლოდინის მიუხედავად, თანაბარუფლებიანი გაერთიანება არ გამოვიდა. **დასავლეთ ევროპამ თავის შემადგენლობაში კი არ მიიღო აღმოსავლეთი, არამედ, უბრალოდ, გადაყლაპა, გაძარცვა და გამოწურა რესურსები, დაანგრია იქ სსრკ-ის ძალისხმევით შექმნილი მრეწველობა. დასავლეთ ევროპამ ჩანასახშივე მოკლა მისთვის არასაჭირო კონკურენტი. მთავრობები დასვეს დოტაციების ნემსზე, მოსახლეობის ლოიალურობა კი კრედიტებით იყიდეს.** დასავლური საქონლით სავსე დახლებმა ხალხში სალი აზრი ჩაახშო, თუმცა ბევრი მოუწოდებდა, გაეთვალისწინებინათ სამომავლო შედეგები. მათი თქმით, ასეთი ტენდენციების შემთხვევაში ევროკავშირის ახალი ქვეყნები 10-20 წლის შემდეგ საბოლოოდ დაკარგავდნენ დამოუკიდებლობას. გახდებიან სრულიად დამოკიდებულები და თვითონ ვერაფერს შექმნიან. ზემოთ ნახსენები წლები გავიდა და ჩვენ ვხედავთ შექმნილ სურათს. **აღმოსავლეთ ევროპის „ამოსაქაჩავად“ დახარჯული მილიარდები, იმისათვის რომ მას თავისი ძალებით ეცხოვრა დასავლეთის დონეზე, წყალში ჩაიყარა. ბრიუსელიდან დოტაციის გარეშე არანაირ დამოუკიდებლობასა და ცხოვრების ამჟამინდელი დონის შენარჩუნებაზეც კი არ არის საუბარი.**



არადა, დახმარების პროგრამა უკვე 2020 წელს მთავრდება. სწორედ ამაში მდგომარეობს ევროკავშირის დაშლის პირველი წინაპირობა.

შექმნილ ვითარებაში რუსოფობიურ კორდონს ვერ გამოკვებავს დასავლეთ ევროპა, განსაკუთრებით **გერმანია,** რომელიც განცვიფრებული აკვირდება, როგორ გამოუყვეს **პოლონეთს** იმაზე მეტი სახსრები, ვიდრე სრულიად ევროპას მარშლის გეგმით. მხოლოდ 2004-2014 წლებში ვარშავამ ბრიუსელისგან სპეციალიზებული პროგრამების ჩარჩოებში 101,3 მლრდ ევრო მიიღო. გერმანიამ, რომელიც ევროდონორად იქცა, გაცილებით ცოტა თანხა გამოიყენა, პოლონეთს კი დღესაც სურს 11-18 მლრდ დოლარის მიღება.

### მიზეზი მეორე – ევროკავშირი-აშშ

ერთპოლუსიანი მსოფლიოს წარმოქმნასა და ევროკავშირის რიგების გაფართოებასთან ერთად ევროკავშირისა და ცალკეული ქვეყნების პოლიტიკა ერთმანეთს დაშორდა.

როდესაც მოსკოვი ძლიერი ნახტომით დაბრუნდა ზესახელმწიფოების რიგებში და ანგლო-საქსებმა გადაწყვიტეს, სხვისი ხელით დაემუხრუჭებინათ მისი განვითარება, ბრიუსელელმა ფუნქციონერებმა, რომლებიც არავის აურჩევია, დაიწყეს ევროკავშირის ქვეყნებისთვის დესტრუქციული დირექტივების გაცემა.

უაზრო სანქციებისა და სხვა ნაბიჯებისგან ზარალდებოდა არა მხოლოდ ხალხი, არამედ ბიზნესიც. ეს შეეხო თითოეული ქვეყნის მმართველი კლასის ამბიციებს. **ანტირუსულ ნაბიჯებს ინერციით მხარი კი დაუჭირეს, მაგრამ ევროკავშირის რიგებში განხეთქილება მომწიფდა, დღეს არსებულ სირთულეებს ვერ აგვარებს შეხვედრები და მოლაპარაკებები, რადგან პრობლემას სიღრმისეულად არ განიხილავენ. რომ არა აშშ-ში გაჩაღებული ელიტების ომი და ხელისუფლების სათავეში რომ მოსულიყვნენ ძველი ტრანსნაციონალური ელიტები ბუშების, კლინტონებისა და სხვათა სახით, განხეთქილება თავისით ჩაქრებოდა.** მაგრამ ამერიკამ განაგრძო ევროკავშირისთვის ზიანის მომტანი ანტირუსული ნაბიჯების გადადგმა, ხელისუფლებაში კი მოვიდოდნენ სრულიად ახალი ადამიანები.

**ტრამპმა** უარი განაცხადა, დაეფინანსებინა ევროპელების უსაფრთხოება, და რუსოფობია თვით ევროპელებს დააწვათ მხრებზე. სწორედ ამით არის განპირობებული ევროკავშირის ზოგიერთი პოლიტიკური ძალის მოულოდნელი მწვავე რეაქცია და ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილის მოწოდება, — შეწყდეს ანტირუსული სანქციები. ამასთანავე, ამერიკის წინა ისტებლიშმენტს ევროკავშირთან ურთიერთობისას უფრო კონსერვატიული თვალსაზრისი ჰქონდა.

იგეგმებოდა, რომ ტრანსატლანტიკური ვაჭრობის შეთანხმების ტიპის ყბადაღებული სავაჭრო შეთანხმებები გააერთიანებდა ევროპისა და ამერიკის სხვა სატელიტების ბაზრებს და გამოყოფდა მათ სატარიფო ბარიერებს კონკურენტებისგან. ევროკავშირი შენარჩუნდებოდა, თუმცა მეორე ეტაპზე საწარმოებში უფრო დაბალი საგა- ▶



ქვანახშირისა და ფოლადის კავშირის შეთანხმება

**1950 წელს შექმნილი ქვანახშირისა და ფოლადის კავშირი, უწინარესად, ეკონომიკური პროექტი იყო, ევროკავშირის ამჟამინდელი ვარიანტი კი ბიუროკრატიულია. პირველი ცდილობდა მრეწველობაში ლიდერობასა და ევროპის ეკონომიკურ პროგრესს, მეორე კი 28 ქვეყნამდე უსისტემოდ გაფართოვდა**

მოკლედ

## «გსურს, გაიმარჯვო მტერზე? აღზარდე მისი შვილები!» — ნატო მოლდოველ ახალგაზრდებზე «ზრუნვას» იწყებს

**ნატო არ კარგავს იმედს, რომ მას გულმხურვალედ შეიყვარებენ მოლდოველები.** ამ აღმოსავლური სიბრძნით შეიარაღებულმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, დაიწყონ მოლდოველი ახალგაზრდების აღზრდა, რისთვისაც ევროპული პოლიტიკისა და რეფორმების ინსტიტუტის (IPRE) ძალებითა და ნატოს ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრის მხარდაჭერით კიშინიოვში ამოქმედდა პროექტი „ახალგაზრდობა ნატოსთვის“. მიზანი — მოლდოვის ახალგაზრდობის ინფორმირება **„ჩრდილოატლანტიკური ბლოკის მოღვაწეობის შესახებ, მის მისიებსა და ნატო-მოლდოვის თანამშრომლობის მიღწევებზე“.** შეგახსენებთ, რომ სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგების მიხედვით, მოლდოვის მოსახლეობის დაახლოებით 60% ქვეყნის ნატოში შესვლის წინააღმდეგია. ამ 60%-ში ბევრია მოლდოველი ახალგაზრდა.



**როდესაც მოსკოვი ძლიერი ნახტომით დაბრუნდა ზესახელმწიფოების რიგებში და ანგლო-საქსებმა გადაწყვიტეს, სხვისი ხელით შეეჩერებინათ მისი განვითარება, ბრიუსელელმა ფუნქციონერებმა, რომლებიც არავის აურჩევია, დაიწყეს ევროკავშირის ქვეყნებისთვის დესტრუქციული დირექტივების გაცემა. უაზრო სანქციებისა და სხვა ნაბიჯებისგან ზარალდებოდა არა მხოლოდ ხალხი, არამედ ბიზნესიც, ეს შეეხო თითოეული ქვეყნის მმართველი კლასის ამბიციებს.**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დასახადო დატვირთვები მას აშშ-ის ბაზრად გადააქცევდა.

ამერიკის ეკონომიკა თანდათან გამოუშვებდა ევროპულ საქონელს, არა მხოლოდ თავისი, ევროპული ბაზრებისთვისაც. ასეთი იყო მსუბუქი სცენარი. მოგვიანებით მსოფლიოს არენაზე გამოჩნდა მოსკოვი და ჰეგემონის ტახტი შეირყა. შედეგად, ამერიკის ამჟამინდელ ისტებლიშმენტს აღარ შეუძლია ალტერნატივის ძებნა, საწინააღმდეგო საშუალებები ახლავეა საჭირო და ამიტომ ევროკავშირს აქტიურად ანგრევენ.

ევროპის ბიუროკრატიული ზედა ეშელონი ინერციით ცდილობს, თავის სარგებლიანობაში დაარწმუნოს ევროკავშირის წევრი ქვეყნები, მაგრამ სინამდვილეში ეს ხალხი არავის სჭირდება. მისი ამოცანა ევროკავშირზე ამერიკის ბიუროკრატიული ზედამხედველობის ფუნქციების შესრულება იყო, მაგრამ, რადგან ევროკავშირის ჩამოწერას აპირებენ, ზედნაშენი უსარგებლო ხდება.

## მიზეზი მესამე – შიგა ეკონომიკა

ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროკავშირისთვის საკმარისია ის სახელმწიფოები, რომლებმაც ეს გაერთიანება შექმნეს. გერმანია, საფრანგეთი, ბენილუქსი (ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი), აგრეთვე, იტალია. დანარჩენები მათ ხარჯზე ცხოვრობენ, დოტაციაზე და ამუხრუჭებენ სისტემას. აღმოსავლეთ ევროპამ თავის დროზე ფულზე გაყიდა სუვერენიტეტი, თუმცა, მან ფულის გამო ფორმალურად მოსკოვი მიატოვა. ამჟამად კი ეკონომიკური რეალიები ისეთია, რომ შეწყდება დახმარების პოლიტიკა ადრინდელი სახით. **ევროპას პრობლემები შეექმნა და თვითონ გახდა ოკეანისგაღმელთა შანტაჟის ობიექტი.**

დაშლის ეკონომიკური მიზეზები იმალება იმაში, რომ ამჟამინდელ ვროკავშირს არ ძალუძს შექმნილი დილემის გადაწყვეტა.

თავის დროზე მან საკუთარი ხელით დაანგრია საბერძნეთის, ბალტიისპირეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და მასში შემავალი სხვა ქვეყნების მრეწველობა და ეკონომიკა, რათა გადაეყლაპა მათი ბაზრები, სამუშაო ძალა და სამეცნიერო პოტენციალი. შედეგად, ბებერმა ევროპამ ეს ქვეყნები დოტაციის ნემსზე დასვა, მაგრამ ამან თვითონ „ბებრებიც" დაამუხრუჭა.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ თავდაპირველად დოტაციები ევროკავშირის სასარგებლოდ მუშაობდა, ფორმულა კი, ჩვეულებრივ, კოლონიური იყო — სხვა ქვეყნების მრეწველობების დანგრევა შემდეგ კი მათთვის ხელის გამართვა სესხებით. ისინი ხომ ამ ფულს მეტროპოლიაში დამზადებულ საქონლის შესასყიდად დახარჯავდნენ?! მაგრამ ახლა დოტაციის წყარო დაიწრიტა.

## მიზეზი მეოთხე – მიგრანტები

**აშშ-ის ძალაუფლების ინსტიტუტების უკან მდგომი ელიტები ევროპის დასაშლელად ძველ მექანიზმებს იყენებენ. კერძოდ, კვლავ აამუშავეს პროექტი მიგრაციისა, რომელიც შიგნიდან ხლეჩს და ანაწევრებს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებას. განსხვავება არის მხოლოდ ის, რომ ამჟამინდელი ვარიანტი ითვალისწინებს ევროკავშირში უკვე არსებული მიგრანტების რესურსის გამოყენებას.** ამ პროცესის დაწყების მტკიცებულებას წარმოადგენს ყვითელი ჟილეტების ფრანგული მოძრაობა, უფრო ზუსტად, ის, რაც ხდება მისი დამტვერილი პორტიერების მიღმა. სანამ ევროპა გატაცებით მსჯელობს ფრანგული პოლიციისა და დემონსტრანტების ქმედებებსა და ხელისუფლების ნაბიჯებზე, რესპუბლიკის პრეზიდენტი წყნარად და შეუმჩნევლად აწერს ხელს მიგრაციის შესახებ აქტს. **ორიოდე დღის წინათ მაკრონმა ხელი მოაწერა დოკუმენტებს, რომლებზეც გაფიცვების დაწყებამდე ამბობდა, რომ ხელს არასდროს მოაწერდა. ახლა კი საზღვრების დახურვაზე ლაპარაკიც**

**ევროპას პრობლემები შეექმნა და თვითონ გახდა ოკეანისგაღმელთა შანტაჟის ობიექტი. დაშლის ეკონომიკური მიზეზები იმალება იმაში, რომ ამჟამინდელ ვროკავშირს არ ძალუძს შექმნილი დილემის გადაწყვეტა. თავის დროზე მან საკუთარი ხელით დაანგრია საბერძნეთის, ბალტიისპირეთის, პოლონეთის, უნგრეთის და მასში შემავალი სხვა ქვეყნების მრეწველობა და ეკონომიკა, რათა გადაეყლაპა მათი ბაზრები, სამუშაო ძალა და სამეცნიერო პოტენციალი**



**დასავლეთ ევროპამ თავის შემადგენლობაში კი არ მიიღო აღმოსავლეთი, არამედ, უბრალოდ, გადაყლაპა, გაძარცვა და გამოწურა რესურსები, დაანგრია იქ სსრკ-ის ძალისხმევით შექმნილი მრეწველობა. დასავლეთ ევროპამ ჩანასახშივე მოკლა მისთვის არასაჭირო კონკურენტი. მთავრობები დასვეს დოტაციების ნემსზე, მოსახლეობის ლოიალურობა კი კრედიტებით იყიდეს**



**აღარ შეიძლება, ხოლო მიგრანტების რაოდენობის შემცირების ნაცვლად პარიზი მორჩილად ემზადება მათ მისაღებად.**

ლოგიკიდან გამომდინარე, ეს აბსურდად შეიძლება მოგეჩვენოთ, განსაკუთრებით, თუ გაითვალისწინებთ მიგრანტების პარაზიტობით გამოწვეულ მოსახლეობის უკმაყოფილებას, თუმცა ვითარების ირონიულობა არის ის, რომ **ხელოვნურად შექმნილი საპროტესტო აქციების ორგანიზატორები და ისინი, ვინც დაინტერესებულნი არიან ევროკავშირის დაშლით, ერთი და იგივე ხალხია. სწორედ ამიტომ დოკუმენტზე ხელმოწერის დროს საფრანგეთის ქუჩებში უცებ შეწყდა ინტერესი ამ საჭირბოროტო საკითხის მიმართ.**

განხეთქილების ჩამოსაგდებად არაფერია იმაზე უკეთესი, ვიდრე წყვეტა რეალობასა და პრესის პოზიციას შორის, ამიტომ, **სანამ ფრანგები მასობრივად ტოვებენ მიგრანტებით სავსე ქალაქებს და გადადიან უფრო მშვიდ ადგილებში, ანგაჟირებული მასმედია დიამეტრულად საწინააღმდეგოს ამტკიცებს.**

მაგალითად, თებერვლის შუა რიცხვებში Independent Press Standards Organisatio-ის (მასმედიის კონტროლის ბრიტანული ორგანო) ზემოქმედებით, პოპულარული ტაბლოიდი Daily Mail-ი იძულებული შეიქნა, გამოექვეყნებინა ბოდიში ყველას მიმართ, რადგან გაბედა და დაბეჭდა რეპორტაჟი მიგრანტების შესახებ. მასალაში ლაპარაკი იყო ევროკავშირის სხვადასხვა ქალაქის მთელი რაიონების ისლამიზაციაზე, აგრეთვე, ამ საკითხში საფრანგეთში შექმნილი კრიტიკულ ვითარებაზე.

## მიზეზი მეხუთე – გლობალური ავანტიურა

ევროპაში ეკონომიკური თვალსაზრისით ქამრების შემოჭერა გამოწვეულია არა საშინაო, არამედ, პირველ რიგში, საგარეო მიზეზებით. პრობლემის არსი არის ის, რომ კაპიტალიზმის კრიზისი და ბაზრების დეფიციტი სულ უფრო აქტიურად აბრუნებს გარეგნულად ცივილიზებულ დასავლურ სამყაროს მის ჭეშმარიტ „ველურ" ფორმასთან. **დასავლეთს ფინანსური პარაზიტობისთვის საჭირო ახალი ბაზრების ათვისებაში ხელს უშლის ჩინეთი, ლოკალური კონფლიქტების გაღვივებაში, გადატრიალების მოწყობასა და ომების გაჩაღებაში — რუსეთი, შედეგად, უწევს თავისიანების გაშვება სამსხვერპლოზე.**

ამერიკის განზრახვის დასადასტურებლად ჩვეულებრივი ლოგიკაც საკმარისია. ევროპას აქვს ტექნოლოგიური შესაძლებლობები და სამრეწველო პოტენციალი იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს ევროკავშირისა და ამერიკის ყველა მოთხოვნა. აშშ-საც, თავის მხრივ, აქვს ტექნოლოგიები და საწარმოო პოტენციალი, რომლითაც შეუძლია, სრულად უზრუნველყოს თავისი საქონლით როგორც აშშ-ის, ისე ევროპის ბაზრები. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთს მოუწევს წასვლა, უფრო ზუსტად — მოუწევს, იქცეს საკვებად მეორისთვის.

**რუსლან ხუბიევი**

მოკლედ

# ტრამპი 5-ჯერ მეტ ფულს ითხოვს სხვა ქვეყნებში ამერიკული სამხედრო ნაწილების შესანარჩუნებლად

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და მისმა თანაშემწეებმა შეიმუშავეს ახალი ფორმულა, რომლის მიხედვითაც, სხვა ქვეყნებმა თავიანთ ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ნაწილების განლაგებისთვის გადასახდელი თანხა უნდა გაახუთმაგონ.** გაანგარიშების ახალ მეთოდს ვაშინგტონში „ფასი პლუს 50 პროცენტი". უწოდეს. ამ მეთოდის მიხედვით სახელმწიფოებმა სრულად უნდა დაფარონ ხარჯები მათ ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ნაწილების განლაგების გამო, შემდეგ კი დამატებით გადაიხადონ ამ თანხის ნახევარი. ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მოკავშირეებს ამერიკელი სამხედროების შენახვა 5-6-ჯერ მეტი დაუჯდებათ.

ტრამპი უკვე რამდენიმე წელიწადია ჩივის, რომ ქვეყნები, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე იღებენ ამერიკელ სამხედროებს, აშშ-ს არასაკმარისად უხდიან. აშშ-ის პრეზიდენტის აზრით, მოკავშირეების ტერიტორიაზე ამერიკის შეიარაღებული ძალების ყოფნა დამატებით ფასეულობაა და მათ ის უნდა შეისყიდონ.

აშშ-ის სამხედრო ქვედანაყოფები იმყოფებიან მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში. ყველაზე მეტი ამერიკელი სამხედრო არის იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, გერმანიაში, ყატარსა და გაერთიანებულ არაბულ საამიროებში.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„1920 წლის ივლისში თბილისში გამართულ მეორე საეკლესიო კრებაზე მოწვეული იქნა პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი. მისი სურვილი იყო, შეეგონებინა კრებისთვის, რომ საქართველოს ეკლესიებიდან და მონასტრებიდან გადმოეცათ მღვდლებს მთავრობის მოთხოვნილებისამებრ მამა-პაპათგან დღემდე დაცული სიწმინდე-განძეულობა, მაგრამ ექვთიმეს კრება დაუპირისპირდა, მათ შორის, კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდეც“.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №7-8, 2019 წ.

# სტალინი და საქართველოს მარკშაიდერი პრეზიდენტი

## ბერნარდ შოუს სიტყვები რომ გცოდნოდათ, მარკშაიდერო, იმ სისულელეს ხომ არ წამოროშავდით, რომლისთვისაც დაგცინიან?!

**ქალბატონო პრეზიდენტო, ვფიქრობ, დღეიდან თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, ნაწილობრივ მაინც, ვინ იყო სტალინი. თქვენ ჩვენს სახელოვან წინაპრებს ცილი კი არ უნდა დასწამოთ, არამედ ჩახვიდეთ გორში, სტალინის სახლ-მუზეუმში და მაშინ მიხვდებით, ვის ქვეყანაში ცხოვრობთ. თქვენ უნდა მოიშოროთ იმ ქარაქუცა მენშევიკების შურისძიების გულში ჩარჩენილი ბოღმა, რომელსაც ხშირად ანთხევთ ამ გაუბედურებულ საზოგადოებაში და სტალინის ლანძღვით კიდევ უფრო აღვივებთ ხალხის გაღიზიანებას ხელისუფლების მიმართ.**

ვერ დავიჯერებ, არ იცოდით, რომ სტალინი რუსულ ენას მშვენივრად ფლობდა. პირველი დაწყებითი სკოლა გორში, რომელიც სოსო ჯუღაშვილმა ფრიადზე დაამთავრა, რუსულენოვანი იყო. უმკაცრესი რეჟიმით ასწავლიდნენ რუსულ ენას იმ სემინარიაში, რომლის კედლებშიც სოსო ჯუღაშვილმა ოთხი წელი გაატარა. ამას ემატება ციმბირში შვიდჯერ გადასახლება და ოთხ წლის განმავლობაში ტურუხანსკში ცხოვრება. ამ გადასახლებიდან ის მხოლოდ 1917 წლის რევოლუციამ გაათავისუფლა. სტალინი 1917 წლის აპრილში ჩავიდა პეტერბურგში და იმავე წლის სექტემბრიდან იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ცნობილ მრავალტირაჟიან ბეჭდურ გამოცემა „პრავდას“ რედაქტორობდა.

**ქალბატონო პრეზიდენტო, სტალინს თქვენზე ძლიერი და დიდი ფესვები რომ ჰქონია საქართველოში, ამაში, მგონი, დარწმუნდით. სტალინმა თქვენზე და სხვებზე უკეთესად რომ იცოდა რუსული ენა, ვფიქრობ, ესეც გასაგები უნდა იყოს თქვენთვისა და თქვენნაირებისთვის. ქართული ზედმიწევნით რომ იცოდა და ენათმეცნიერებაშიც თავისი წვლილი რომ აქვს შეტანილი, ესეც ხომ დადასტურებულია?!**

თქვენ საქართველოში ღრუბლის მოვალეობის შემსრულებლად ჩამოგიყვანეს, საქართველოს პოლიტიკის მზეს რომ გადაეფაროთ, ქვეყანა და ხალხი ჩრდილში მოაქციოთ, მაგრამ ისევ თქვენი ქვეყნის წარმომადგენლის, ფრანგი ჟურნალისტის ნათქვამს შეგახსენებთ: **„ხელისგულით მზე ვერ დაიფარება“...**

შემრცხვა, როდესაც ნაპოლეონის არმიის შთამომავლებს ბეჭებში მოხრილმა და თავჩაღუნულმა ჩაუარეთ წინ, ხოლო საბავშვო ფილმის სიუჟეტი მეგონა, როდესაც ავლანეთში თვითმფრინავის ფონზე პოზირებდით.

როცა თქვენ ფრანგ ჟურნალისტს პოლიტიკაზე, საქართველოსა და სტალინზე ესაუბრებოდით, ქალბატონი **ნინო ბურჯანაძე** ტელეარხ „კავკასიის“ ეთერში იჯდა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე იმიტომ გავიხსენე, რომ ის თქვენს ადგილას სხვანაირ პასუხს გასცემდა ფრანგ ჟურნალისტს, ისეთს, როგორიც გარკვეული ხნის წინათ გასცა ცნობილ ჟურნალისტსა და ტელეწამყვან **ვლადიმერ პოზნერს** რუსეთის პირველ არხზე მის საავტორო გადაცემაში მონაწილეობისას. პოზნერის კითხვაზე — **როგორია თქვენი დამოკიდებულება სტალინის მიმართ, ნინო ბურჯანაძემ უპასუხა:** „საქართველოში სტალინის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებაა. არიან ადამიანები, რომლებიც მას დიდ პატივს სცემენ და ამაყობენ კიდეც მისი ქართული წარმომავლობის გამო, თუმცა საკამათოა, რამდენად იყო მასში მხოლოდ ქართული ხასიათი. არიან ადამიანები, რომლებიც მას ძალიან აკრიტიკებენ. ვფიქრობ, ის გამორჩეული, არაორდინარული ადამიანი იყო, ის პიროვნება გახლდათ და ეს ერთმნიშვნელოვნად ასეა. ის მსოფლიო ისტორიის ლიდერებს შორის არ იყო ყველაზე სისხლისმსმელი, ისევე, როგორც ბოლშევიკებს შორის, თუმცა იმ დროს საშინელი დანაშაულები ხდებოდა. მაგრამ საკითხავია, ჰქონდა კი მას სხვა არჩევანი? ის საინტერესო პიროვნებაა, თუმცა, როცა დიდ ადამიანზე ვსაუბრობთ, მაინც ვისურვებდი, რომ მათ ბოროტება არ ჩაედინათ“.

ჩამოდიოდა თუ არა სტალინი საქართველოში?

1925-დან 1940 წლამდე სტალინი ყოველწლიურად 48 დღის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი არათუ საქართველოსთვის, ძილისთვისაც კი ვერ იცლიდა. ომის დამთავრებისთანავე, 1945 წლის სექტემბრიდან 1952 წლის შემოდგომამდე, სტალინი ყოველწლიურად ჩამოდიოდა სამშობლოში და აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის შრომით საქმიანობაში — დაწყებული წვრილმანებით, დამთავრებული თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობით.

გამოდის, **თქვენი ყველა სიტყვა მოკლებულია რეალობას და შურისძიებით დაბრმავებულს გსურთ, ტალახი ესროლოთ სტალინს და ლაფში ამოსვაროთ საქართველოს სახელი; შური იძიოთ თქვენი წინაპრების საქართველოდან გაძევებისთვის, მაგრამ ისინი საქართველოდან არავის გაუძევებია, თვითონ გაიქცნენ და გაიტაცეს საქართველოს საგანძური — ოქროს ზოდები, ჯვარ-ხატები, ძვირფასი სურათები და ყველაფერი, რაც კი რამ ღირებული იპოვეს.**

აი ამ საკითხზე კი ცოტა ვრცლად:

1921 წლის 21 თებერვალს, დილის 8 საათზე, მენშევიკურმა მთავრობამ თბილისის უნივერსიტეტის შენობიდან ეროვნული განძის დიდი ნაწილი გაიტაცა ქუთაისის მიმართულებით. განძის გამტაცებელთა მეგზურები იყვნენ **ექვთიმე თაყაიშვილი** და **იოსებ ელიგულაშვილი.** რა წაიღო მენშევიკურმა მთავრობამ ემიგრაციაში, ამაზე წარმოდგენას გვიქმნის **გივი ჟორდანიას** კვლევა, რომელიც მოცემულია წიგნში **„დაბრუნებული საუნჯე“.** მინდა, მკითხველს ზუსტად მივაწოდო ჩანაწერი, ისე, როგორც ეს კვლევაშია მოცემული.

**„ოქმი 1921 წლის 21 თებერვლითაა დათარიღებული და მასში აღრიცხულია: 70 ყუთი და 507 ტომარა ფულით, 11 ტომარა საეკლესიო ნივთებით, 19 ჩანთა ოქროთი, 5 ჩანთა ვერცხლითა და ბოლოს — 6 ხატი.** მოგვიანებით ყველა დოკუმენტში იხსენიება, რომ სახაზინო, ანუ სავალუტო ქონება ჩალაგებული ყოფილა 100 ყუთსა და 12 ტომარაში (ხოლო სტამბოლში ამ 12 ტომრის ქონება გადაულაგებიათ ამდენივე ყუთში). როგორც ეტყობა, 30 ყუთში გადაულაგებიათ ტომრებისა და ჩანთების ქონება, ამას გარდა, დარჩენილა კიდევ ქონება, რომელიც ჩალაგებული ყოფილა 12 ტომარაში.

სად გადაალაგეს ტომრები და ჩანთები დიდ ყუთებში, ძნელი სათქმელია. შეიძლება ეს გააკეთეს ქუთაისის ხაზინაში, შესაძლებელია, თბილისშივე. და ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ ოქმში მაინც მოიხსენიეს, ყუთებისგან განსხვავებით, 518 ტომარა და 24 ჩანთა, ალბათ, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ეს ტომრები და ჩანთები გაუხსნელად ჩაალაგეს ყუთებში, გარდა 12 ტომრისა. თუ ტომრებისა და ჩანთების ყუთებში ჩალაგებას ჰქონდა ადგილი თბილისში, მაშინ თბილისიდან გატანილი იქნებოდა 154 დიდი ყუთი, 12 ტომარა, ერთი დიდი კალათი და ერთიც სურათების შეკვრა. ესე იგი, სულ 168 საცავი ერთეული; ხოლო, თუ გადალაგება ქუთაისში მოხდა, მაშინ გამოდის, რომ თბილისიდან გაუტანიათ 124 დიდი ყუთი, 518 ტომარა, 24 ჩანთა, ერთი დიდი კალათი და ერთიც სურათების შეკვრა, ესე იგი, 668 საცავი ერთეული“ (გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 42).

ეროვნულმა განძმა თბილისიდან ქუთაისში ჩააღწია. ქუთაისის ხაზინაში ექვთიმე თაყაიშვილი და იოსებ ელიგულაშვილი კიდევ ერთხელ ათვალიერებენ და ყუთებში აწყობენ ეკლესია-მონასტრების საგანძურს, ამას თვალყურს ადევნებდა მენშევიკური მთავრობის ფინანსთა მინისტრი **კონსტანტინე კანდელაკი**, რომელსაც ახლ- ▶



**ქალბატონო პრეზიდენტო, სტალინს თქვენზე ძლიერი და დიდი ფესვები რომ ჰქონია საქართველოში, ამაში, მგონი, დარწმუნდით. სტალინმა თქვენზე და სხვებზე უკეთესად რომ იცოდა რუსული ენა, ვფიქრობ, ესეც გასაგები უნდა იყოს თქვენთვისა და თქვენნაირებისათვის. ქართული ზედმიწევნით რომ იცოდა და ენათმეცნიერებაშიც თავისი წვლილი რომ აქვს შეტანილი, ესეც ხომ დადასტურებულია?!**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ეს ის ყუთები და ის განძია, რომელიც ჟორდანიას პირადმა წარმომადგენელმა (ვფიქრობ, ეს ექვთიმე თაყაიშვილი იყო — გრ. ონიანი) პოლიციელთა თანხლებით გამოიტანა გელათის მონასტრიდან და „ტყემლის ტყლაპების“ ყუთებით ქუთაისის ხაზინაში მიიტანა, რის გამოც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ, სინოდის წევრებთან ერთად, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია მისსავე კაბინეტში ანათემას გადასცა.

◀ და ბეკი — თბილისის ხაზინის გამგე.

„ქუთაისის ხაზინის გამგემ მათ უჩვენა რამდენიმე ყუთი დაუთხრა: „გელათის მონასტრიდან გაახლათ მიტროპოლიტ ნაზარის მიერ დანიშნულმა ეკლესიის წარმომადგენლებმა, მოიტანეს ამ რამდენიმე დღის წინათ, თქვენს განკარგულებას ველოდებით“ (ელიზბარ უბილავა. „განძის გუშაგი“, გვ. 30).

ძვირფასო მკითხველო, ეს ის ყუთები და ის განძია, რომელიც ჟორდანიას პირადმა წარმომადგენელმა (ვფიქრობ, ეს ექვთიმე თაყაიშვილი იყო — გრ. ონიანი) პოლიციელთა თანხლებით გამოიტანა გელათის მონასტრიდან და „ტყემლის ტყლაპების“ ყუთებით ქუთაისის ხაზინაში მიიტანა, რის გამოც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ, სინოდის წევრებთან ერთად, მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია მისსავე კაბინეტში ანათემას გადასცა.

1921 წლის 1 მარტს ექვთიმე თაყაიშვილს მისცეს ოფიციალური ცნობა ფრანგულ ენაზე ნათარგმნი: „რომ მას, **ექვთიმე თაყაიშვილს, მიაქვს საზღვარგარეთ მენშევიკური მთავრობის კუთვნილი ოქრო-ვერცხლი „ზოდებად და მონეტებად“ ისე, როგორც სხვა ძვირფასი ნივთები, რათა ჩააბაროს ისინი ევროპის ბანკებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით“. „და, რომ ამ განძის „გამგებლობის“ უფლება ეკუთვნის აღნიშნული რესპუბლიკის მთავრობას“.** რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართული განძის პატრონად ცხადდებოდა მენშევიკური მთავრობა“ (გ. ჟორდანია, **დაბრუნებული საუნჯე“,** გვ. 44).

არ მოიპოვება იმ საგანძურისა და ფასეულობების ჩამონათვალი, რომლებიც ქუთაისის ხაზინიდან გაიზიდა. არ არის აღრიცხული, რამდენი კილოგრამი იყო ოქრო ზოდებად ან მონეტებად. მათი ზომის ერთეულებია მხოლოდ „ტომრები“, „ჩანთები“, „ყუთები“, „კალათები“ და „შეკვრები“, რომლებსაც არათუ ზომა და წონა უწერია, არამედ გატანის მომენტში თვით განძეულის დასახელებაც არ არის მითითებული, რაზეც ასე წუხდა შემდგომ „განძის გუშაგი“:

„მუზეუმებმა ვერ მოასწრეს საევაკუაციო ნივთების სიის შედგენა და ყუთების გასაღებების გადმოცემაც. ევაკუაცია მოულოდნელი იყო“, — წერს ექვთიმე 1935 წლის მაისში პარიზში დაწერილ სტატიაში „ერთი შეკითხვის გამო“ (გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 34).

**სიმონ ჯანაშიას** მოხსენებიდან ირკვევა: „არავითარი დოკუმენტი განძეულობისა თვით საცავებიდან ამოღებისა და გადაბარება-ჩაბარებისა არ შემონახულა. და, როგორც მცოდნე პირები მოწმობენ, არც ყოფილა ოდესმე შემონახული“ (სახ. არქ. № 2233 ფ. 60. გვ.12).

„სია საფრანგეთში გაკეთებული ყოფილა 1934 წლის მაისში, როდესაც შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით ეს განძეულობა ჩაიბარა საფრანგეთის მთავრობამ. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი 1944 წლის ნოემბრამდის“ (სახ, არქ. № 2233 ფ.60. გვ, 60).

**აქტი**

**სამუზეუმო ფასეულობათა მიმღები კომისიისა**

დღეს, 14 ივნისს, მუზეუმ „მეტეხის“ მცირე ხელოვნების განყოფილების გამგემ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ იროდიონ სონღულაშვილმა კომისიაში წარმოადგინა სამუზეუმო ფასეულობათა სიები და ოქმი ფრანგულ ენაზე, რომელიც შედგენილი ყოფილა პარიზში 1944 წლის 9 დეკემბერს, აღნიშნულ ქართულ სამუზეუმო ფასეულობათა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენელთა მიერ საბჭოთა საკონსულოსთვის გადაცემის თაობაზე პარიზში.

აღნიშნული დოკუმენტები ამხ. ირ. სონღულაშვილისთვის გადაუცია მუზეუმ „მეტეხის“ დირექტორს, პროფ. შ. ამირანაშვილს 1945 წლის ივნისის 13-ს, საღამოთი. კომისიის წევრები ადასტურებენ, რომ, მიუხედავად მათი მრავალგზისი შეკითხვისა, არსებობს თუ არა გადაცემა-მიღების აქტი, ამხ. ირ. სონღულაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესახებ, მათ პირველად გაიგეს 1945 წ. 13 ივნისს, დღისით ამხ. პ. შარიასგან, ხოლო პირადად მიიღეს ხელთ ეს დოკუმენტები დღეს, 1945 წლის 14 ივნისს“.

აქტს ხელს აწერენ:

კომისიის თავმჯდომარე:

**ს. ჯანაშია.**

წევრები: **ს. ჭილაია, ვ. მგალობლიშვილი.**

კომისიის მდივანი:

**ა. აფაქიძე.**

(სახ. არქ, №2233 ფ. 60 გვ 93).

ვიდრე განძს გაიტაცებდნენ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ განმეორებით მისწერა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, რათა მას ხელი აეღო ეკლესიებიდან განძის გამოტანაზე და მისი დატაცების მცდელობაზე, რაც დაწვრილებით აქვს გადმოცემული ბატონ **სერგო ვარდოსანიძეს** თავის კვლევაში:

„დიდად პატივცემულო ნოე ნიკოლოზის-ძევ!

ტელეფონოგრამით, რომელიც თქვენი სახელით გადმომცა **ტრიფონ ჯაფარიძემ** ნოემბრის 26-ს, თქვენ მითვლიდით: „დღეს ან ხვალ ქუთაისიდან დაბრუნდება ჩემი რწმუნებული და მაშინ დაწვრილებით გეცოდინებათ გელათის ამბები“. დღეს, დეკემბრის 5-ს, თქვენი რწმუნეული, კარგა ხანია, დაბრუნდა და თბილისში იმყოფება, მაგრამ მე მაინც ღირსი არ გავხდი თქვენგან აღთქმული ცნობების მიღებისა! დღეიდან ეს ცნობები აღარ მჭირდება, მე უკვე მივიღე სრულებით საიმედო წყაროდან საჭირო ცნობები მთელი სისრულით.

ვცდილობ, მივხვდე, რამ გაიძულათ თბილისიდან რწმუნებულის გაგზავნა გელათში მონასტრის განძეულობის გადმოსატანად. ვერ გამიგია, ვერ მივმხვდარვარ, ვერ გავრკვეულვარ, ეს რა ჩაგიდენიათ და როგორ აგიყირავებიათ ყველაფერი. უეჭველია, თქვენ მიმითითებთ სოციალ-დემოკრატების გაზეთებში მოყვანილ ცნობაზე გელათის მონასტრის ვითომდა ბერებისაგან გაძარცვის შესახებ, მაგრამ ეს საბუთები არ გამოგადგებათ, რადგანაც დღეს ჩვენში სამი წლის ბავშმაც კი კარგად იცის, რა ღირებულებების და სისწორის ცნობებიც იბეჭდება ეკლესიებზე სოციალისტების ორგანოებში...

... ნუთუ ჩემი მდგომარეობა, როგორც საქართველოს მთელი მორწმუნე მოსახლეობის მამამთავრისა და საზოგადო მოღვაწისა, საბუთია თქვენთვის იმისი, რომ არაფერი ანგარიში არ გამიწიოთ, ჩვარივით მთელოთ და, ჩემდა სრულებით დაუკითხავად, ზიდოთ ტომრებით თქვენს ძირგავარდნილ ხაზინებში, ვითომდა დასაცველად, სასწაულმოქმედი ხატები, ჯვრები, წმინდა ნაწილები, შესამოსლები, ბარძიმ-ფეშხუმები და სხვ. **არც სიცოცხლე, არც გონება და არც მორწმუნე ერისაგან მინიჭებული უფლებამოსილება, ღვთის მადლით, ჯერჯერობით არ დამიკარგავს და ვერ გამიგია, რომელი უფლებით გინებებიათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის კვერთხის აღება ხელში და ბრძანების გაცემა, ასეთი რამეების გამოტანა გელათის მონასტრიდან, რასაც მორწმუნენი მუხლს უყრიან, წმინდა სანთელს უნთებენ და, თუ ეხებიან, მარტო მხოლოდ და მხოლოდ დიდი კრძალვა-მოწიწებით, ამბორის ყოფით, ისიც სამღვდელო პირთა დახმარებით და არა სხვა რომელიმე სახით.** განა თქვენ გქონდათ ან დღეს გაქვთ იმის საბუთი, რომ შეიარაღებული მილიციონერების რაზმით შეჭრილიყავით მონასტერში ცნობის მიუცემლად და სრულებით დაუკჯითხავად ქუთაისის ეპარქიული მწყემსმთავრისა, რომელსაც ასეთი თქვენი საქციელით პატივისცემას უკარგავთ და საზოგადოების თვალში სახავთ ნდობადაკარგულ საეჭვო პირად? თქვენ შეუფერხებლად შეეხეთ და შეურაცხყავით მორწმუნეთა სინდისი, იმ ხალხისა, რომელიც ეკლესიის ეზოდან გამოსული ფეხს იბერტყავს, წმინდა ადგილის მტვერი არ გამყვესო, რომელიც ეკლესიის ეზოში ნაპოვნ ლურსმანს ხელს არ ჰკიდებს, ღვთისა არისო, თქვენ აბუჩად იგდებთ, როდესაც მის სალოცავ და სათაყვანო წმინდა ნაწილებით სავსე ხატებს, ჯვრებსა და ბარძიმ-ფეშხუმებს ტყემლის ტყლაპების ყუთებში აყრევინებთ უბრალონაირების მსგავსად თქვენგან გაგზავნილ საერო პირს. განა ეს, თქვენის მხრით, სხვისი სვინდისის შეგინება არ არის მორწმუნეთათვის და ბრძოლაში გამოსაწვევი ხელთათმანის გადაგდება არ არის? ნუთუ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ამგვარ პროფანაციას მორწმუნე ქართველობა აპატიებს და შეარჩენს ვინმეს?! სასტიკად ცდებით. **გელათში დანთებულია თქვენგან ისეთი ცეცხლი, რომელიც, თუ ეხლავე თქვენივე ხელით არ ჩააქრეთ, სულ ჩქარა ცაში ავარდნილი გრანდიოზული ჭიაკოკონა წითლად შეღებავს მთელ საქართველოს და ამ კოცონის გარშემო მომუშავე ქრისტიანებს გვერდში ამოუდგებიან მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც ხმამაღლა გაიძახიან: სოციალისტები თავიანთი ჯურის ეკლესიას რომ საპობენ, განა ჩვენ კი სიკეთეს დაგვაყრიან, ჩვენ კი არ შეგვიბილწავენ მეჩეთებსა და ყურანს?** თქვენ გაგეცინათ ამაზე, მაგრამ მოგახსენებთ, რომ თქვენი გაცინება თუ რისხვა არ აჩერებს არც მტკვარს და არც სხვა რომელიმე მდინარეს.

გული სისხლით მეწურება, როდესაც ვითვალისწინებ თქვენგან ჩადენილი ფაქტის შესაძლო სავალალო შედეგებს და **სამშობლოს სახელით გემუდარებით, ნუ გაამწვავებთ ამ საქმეს, ნუ გაიტანთ გელათიდან საეკლესიო ნივთების გამოტანის ამბავს ფართო საზოგადოებაში, ინებეთ უკანვე მიბრუნება მონასტერში განძეულობისა და ყველაფერი თავისთავად მიჩუმდება, თორემ იცოდეთ, სავსებით გამომჟღავნება ხალხში თქვენი განკარგულება, რომელიც ნავთის ტბაში ანთებული ასანთის გადასროლა იქნება.**

თუ გელათის მონასტერს არ დაუბრუნდება მისი საკუთრება, ვერც მე შემიძლია გაჩუმება და ამ შემთხვევისთვის ვიტოვებ მოქმედებათა თავისუფლებას. თქვენთვის უცნობი არ არის ქართული დიდი მოთმინება და მოკრძალება, ამ ენითა და კილოთი არასოდეს მილაპარაკნია თქვენთან, მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს: უკანასკნელი საქციელით თქვენ შარაზე დასვით ყოფნა-არყოფნის საკითხი ქართული ეკლესიისა, ურომლისოდაც ერთ წამსაც არ მსურს სიცოცხლე, და ასეთ შემთხვევაში ჩემი გაჩუმება იქნებოდა ღალატი. თქვენგან უსამართლოდ უფლებააყრილი, შეურაცხყოფილი კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე“.

**„1920 წლის ივლისში თბილისში გამართულ მეორე საეკლესიო კრებაზე მოწვეული იქნა პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი. მისი სურვილი იყო, შეეგონებინა კრებისთვის, რომ საქართველოს ეკლესიებიდან და მონასტრებიდან გადმოეცათ მღვდლებს მთავრობის მოთხოვნილებისამებრ მამა-პაპათგან დღემდე დაცული სიწმინდე-განძეულობა, მაგრამ ექვთიმეს კრება დაუპირისპირდა, მათ შორის, კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდეც“** (ამონარიდი მოძღვარ ნიკიტა თალაკვაძის ნაშრომიდან).

მენშევიკური მთავრობის საქმიანობამ ეკლესია-მონასტრების ძარცვისა და შევიწროების საქმეში კულმინაციას მიაღწია, რის გამოც საკათალიკოსო საბჭო, მთლიანად მრევლი და თვით კათალიკოს-პატრიარქი აღშფოთებას ვერ მალავდნენ. გაგზავნილ წერილებზე პასუხის მიუღებლობითა და ეკლესიების ძარცვით შეწუხებული **კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე** საეკლესიო საბჭოს რამდენიმე წევრთან ერთად მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას კაბინეტში ეახლა და ასე მიმართა:

**„ბატონო ნოე ნიკოლოზის-ძევ! თქვენ წინ დგანან საქართველოს თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკლესიის თავი, ამ ეკლესიის მუდმივი საღვთო კრების წევრები და ამ სამი დღის წინათ დასრულებული მცხეთა-თბილისი-ურბნისის საეპარქიო კრების დელეგატთა წარმომადგენლები. ამ შემადგენლობით მოვედით თქვენთან იმ მიზნით, რომ გაგიმეოროთ: ჩემ და საეკლესიო უზენაესი ორგანოს და ქუთაისის მღვდელთმთავრის დაუკითხავად, თქვენს რწმუნებულს გადაუზიდია გელათიდან ქუთაისის ხაზინაში ჯვრები, ხატები, წმინდა ნაწილები და სხვ. 25 ნოემბერს ტელეფონოგრამით გთხოვეთ განკარგულება ნივთების უკანვე დაბრუნებისათვის. თქვენ აღმითქვით დამაკმაყოფილებელი პასუხის მოცემა რწმუნებულის დაბრუნების შემდეგ, მაგრამ მე ასეთი არ მიმიღია, თუმცა თქვენი რწმუნებული, დიდი ხანია, დაბრუნდა თბილისში. ამის გამო მე გიცხადებთ ულრმეს გულისწყრომას და უსასტიკეს გაკიცხვას!“**

ქალბატონო პრეზიდენტო, უცხოეთში წაღებული 248 ყუთი საგანძურიდან მხოლოდ 39 ყუთი გადაურჩა თქვენს მენშევიკ წინაპრებს და ისიც სტალინის დამსახურებითა და დახმარებით დაუბრუნდა საქართველოს.

ქალბატონო სალომე, თქვენი წინაპრების მენშევიკური წარსულითა და ემიგრანტობით კი არ უნდა ამაყობდეთ, არამედ უნდა გრცხვენოდეთ, რომ ხართ საქართველოს გამყიდველი და ქართველი ხალხის მძარცველი მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენელთა შთამომავალი. და ბინძური ხელები შორს უნდა დაიჭიროთ სტალინის წმინდა სახელისგან.

აქ რაც დავწერე, ფრანგულად ვთარგმნი და გავგზავნი იმ რადიოსადგურში, რომელშიც თქვენ იყავით მიბრძანებული.



**ქალბატონო პრეზიდენტო, უცხოეთში წაღებული 248 ყუთი საგანძურიდან, მხოლოდ 39 ყუთი გადაურჩა თქვენს მენშევიკ წინაპრებს და ისიც სტალინის დამსახურებითა და დახმარებით დაუბრუნდა საქართველოს. ქალბატონო სალომე, თქვენი წინაპრების მენშევიკური წარსულითა და ემიგრანტობით კი არ უნდა ამაყობდეთ, არამედ უნდა გრცხვენოდეთ, რომ ხართ საქართველოს გამყიდველი და ქართველი ხალხის მძარცველი მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენელთა შთამომავალი**

სანდო წყარო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სტალინი შედგა და დაიწყო საუბარი იმაზე, თუ რამდენად საჭირო და აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის სუბტროპიკული კულტურების გაშენება, განსაკუთრებით, ჩაის, მანდარინისა და ლიმონის. ხაზგასმით ილაპარაკა ლიმონის სარგებლიანობაზე ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ა.შ.

სარდიონ ნადარაია:

# მე შევხვედრივარ სტალინს

## ძველი ჩეკისტის ჩანაწერები, რომლებიც 88 წლის შემდეგ პირველად გამოგვაქვს მზის სინათლეზე



სარდიონ ნადარაია

დასასრული. დასაწყისი იხ. №8, 2019 წ.

**დღეს ვასრულებთ ჩეკისტების პირველი თაობის წარმომადგენლის — ლავრენტი ბერიას პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ სარდიონ ნადარაიას ჩანაწერების გამოქვეყნებას, რომლებიც იუსტიციის გენერალმა ვახტანგ გვარამიამ რედაქციას გადმოსცა. პირველი პუბლიკაცია (იხ. „საქართველო და მსოფლიო" №8) მთავრდებოდა გაგრაში იოსებ სტალინის პატივსაცემად გამართული ვახშმის აღწერით.**

„სტალინი აიღებს ცარიელ ჭიქას, ვითომ ვერ შენიშნავს, რომ სასმისში ღვინო არასხია და იტყვის:

— გაუმარჯოს მამულიას.

მამულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო.

ყველა სახტად დარჩა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

სტალინმა ჭიქა პირთან მიიტანა და თითქოს ახლაღა შეამჩნია, რომ სასმისი ცარიელი იყო, მომიბრუნდა (მისგან 2-3 ნაბიჯში ვიდექი) და მითხრა:

— ამხანაგო, ჭიქაში ღვინო რატომ არ ასხია? ამ კაცს (იგულისხმა მამულია) ბედი რომ არ აქვს, განა ჩემი ბრალია?!

და ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადო.

ლაკობა სხვებზე ადრე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, გულის ჯიბეებზე ხელი წაივლო, ჩამოგლიჯა პერანგს და საბუთებთან ერთად სუფრაზე დაყარა:

— ამჟანაგო კობა, არ მინდა, რომ ჯიბეში მამულიას ხელმოწერილი საბუთები მედოს.

— ჯიბეებს რას ერჩოდი, გამოგადგებოდა, — უპასუხა სტალინმა.

ვახშამი დილის სამ საათამდე გაგრძელდა. სტუმრებმა დაშლა რომ დაიწყეს, ბერიამ სტალინს მიმართა:

— ნება მომეცით, კაცურად გაკოცოთ.

სტალინმა ლოყა მიუშვირა. ორივენი ერთმანეთს კაცურად გადაეხვივნენ.

მეორე დილით იმ სახლის ეზოში ვიდექი, სადაც სტალინი ისვენებდა. დაცვის უფროსმა მთხოვა: გეთაყვა, ჭიშკარში გადით. დაინახავთ ორ კაცს, რომლებიც თბილისიდან არიან ჩამოსულები და სტალინის ნახვა სურთ.

გავედი, ის ორი კაცი მომიახლოვდა. ერთ-ერთი ვიცანი, ვასო ქურდაძე იყო, მეორე პარკაძედ წარმომიდგა. ორივემ განმიცხადა, რომ სტალინი მათ იატაკქვეშეთში მუშაობის დროიდან იცნობს, და თუ მოვახსენებთ, რომ ველოდებით, აუცილებლად მიგვიღებსო.

დავპირდი, რომ ყველაფერს მოვახსენებ ნესტორ ლაკობას, ის კი, თავის მხრივ, სტალინს შეუთანხმდება-თქო, და მოცდა ვთხოვე.

ავედი მეორე სართულზე და ყველაფერი წვრილად მოვუყევი ლაკობას. ნესტორს სმენა დაქვეითებული ჰქონდა და სპეციალური ყურსასმენით მისმენდა. შევატყვე, რომ ყველაფერი კარგად გაიგო.

ლაკობა სტალინთან შევიდა და, როცა მისგან გამოვიდა, მითხრა, რომ მოვახსენე, მაგრამ არაფერი მიპასუხა. ე.ი. მათი მიღება არ სურსო. ცოტა ხანში აივანზე გამოვა და თუ გინდა, შენ თვითონ მოახსენეო. ვნახოთ, რას გეტყვის.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ სტალინი გამოვიდა აივანზე. დავაყოვნე და მივმართე:

— ამხანაგო კობა, თბილისიდან ორი ძველი ბოლშევიკი ჩამოვიდა და მიღებას გთხოვენ.

მეკითხება:

— ვინ არიან?

ვუპასუხებ:

— ერთი ვასო ქურდაძეა, მეორე — პარკაძე, ორივენი გორიდან არიან. პარკაძე საშუალო სიმაღლისაა, დაახლოებით 45 წლის, სახეზე ნაყვავილარი ეტყობა.

— ვიცნობ, გორის სემინარიაში ერთად ვსწავლობდით.

მეტი არაფერი უთქვამს.

ლაკობამ გამიხმო და მეუბნება:

— უთხარი იმათ, რომ სტალინს სძინავს, წავიდნენ სასტუმროში, დაისვენონ. ხვალ მოვახსენებთ და მიიღებს.

გავედი ქუჩაში და გადავეცი დანაბარები.

საღამო იყო. ერთ საათში დაბნელდა. სტალინმა, როგორც ჩანს, სოჭში, თავის რეზიდენციაში დაბრუნება გადაწყვიტა. გამოვიდა გამცილებლებთან ერთად და, როცა მანქანაში დააპირა ჩაჯდომა, გამოჩნდნენ ქურდაძე და პარკაძე და მიეახლნენ. სტალინი გულღიად მიესალმა სტუმრებს, ესაუბრა. შემდეგ ჩაჯდა მანქანაში და სოჭში გაემგზავრა. ბერია, ლაკობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, მათ შორის, მეც ჩემი „გაზიკით" უკან გავყევით.

სოჭში, სტალინის რეზიდენციის ეზოში ერთი საათის განმავლობაში დავისვენეთ. ვტკბებოდით მშვენიერი ღამის სიმშვიდით. სწორედ მაშინ მომიყვა ლაკობა იმ მიზეზის შესახებ, რატომაც არ სურდა სტალინს ქურდაძესთან შეხვედრა.

**1927 წელს სტალინმა მოსკოვში, თავის სახლში მიიღო და უმასპინძლა ქურდაძეს და მის ცოლს. ის ქალბატონი თავის დროზე სილამაზით იყო განთქმული. ქურდაძეზე მეორედ გათხოვდა. ამ სტუმრობის შემდეგ ქურდაძეს თავის მეგობრებში დაუტრაბახებია, რომ სტალინმა მისი ცოლის სადღეგრძელო ჩაის ჭიქით დალია. ამ ჭორმა სტალინამდე მიაღწია და, როგორც ჩანს, ამიტომ არ ისურვა გაგრაში ქურდაძესთან შეხვედრა.**

დაახლოებით ერთ საათში სტალინის მეუღლემ სავახშმოდ მიგვიპატიჟა. დარბაზში რომ შევედით, სტალინმა ბერიას მიმართა:

— კეთილი ინებეთ, უმასპინძლეთ სტუმრებს.

თვითონ პატეფონს მიუჯდა და ფირფიტებს ცვლიდა. ჩანდა, რომ წუხანდელის შემდეგ დაღლილი იყო. სხვებსაც არ ეტყობოდათ, რომ ჭამა-სმა სურდათ. წარმოთქვეს ორი სადღეგრძელო: პირველი — სტალინისა და მისი მეუღლის, მეორე — სტუმრების. ვახშამი დიდხანს არ გაგრძელებულა, დაახლოებით ერთ საათში წამოვიშალეთ. სტალინმა ეზომდე ჩაგვაცილა და ყველას სათითაოდ გამოგვემშვიდობა. ჩავსხედით მანქანებში და გაგრაში დავბრუნდით. ბერია იქ დარჩა.

* * *

მეორედ სტალინი გაგრაში 1931 წლის შუა ოქტომბერში ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლა წინამორბედივით მოულოდნელი იყო — დაგვირეკეს და გვაცნობეს, რომ სოჭიდან გაგრის მიმართულებით გამოემგზავრა იოსებ სტალინი.

დაუყოვნებლივ დავუკავშირდი სოხუმს, ლაკობასთვის რომ გადამეცა ეს ინფორმაცია, მაგრამ იგი ადგილზე არ აღმოჩნდა.

საღამო იყო, მზის ჩასვლის ჟამი.



იოსებ სტალინი სოხუმში. მარჯვნიდან პირველი ნესტორ ლაკობა

სტალინი სერგეი კიროვთან ერთად ჩამოვიდა გაგრაში და ლაკობას სახელობის (დასასვენებელ) სახლში დაბინავდა.

ამ დროს ციტრუსები მწიფობაში შედის. ბაღებს ნარინჯისფერი ამკობს და ახალისებს. სტალინმა თვალი მოავლო მანდარინის ბაღს და თქვა:

— ეტყობა, მანდარინები თქვენთან შესანიშნავ მდგომარეობაშია, მაგრამ ლიმონის ნარგავებს ვერ ვხედავ.

ვუპასუხე:

— სპეციალისტები ამბობენ, რომ აქ ღია გრუნტში ლიმონი ვერ იხარებს, ყინვა დაღუპავს, ამიტომ არ არის.

**სტალინი შედგა და დაიწყო საუბარი იმაზე, თუ რამდენად საჭირო და აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის სუბტროპიკული კულტურების გაშენება, განსაკუთრებით, ჩაის, მანდარინისა და ლიმონის. ხაზგასმით ილაპარაკა ლიმონის სარგებლიანობაზე ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ა.შ.**

დიდი ყურადღებით უსმენდა კიროვი სტალინის საუბარს.

— მოგვიწევს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, — დაასკვნა სტალინმა.

2 საათის შემდეგ სოხუმიდან ჩამოვიდა ლაკობა, მეორე დილას კი თბილისიდან ჩამოვიდნენ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ქართველიშვილი და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხანჯიანი. სტალინმა მიიღო ისინი და მათთან საქმიანი საუბარი გამართა.

დაახლოებით დილის 11 საათზე მეორე სართულის აივანზე სტუმრები სასაუზმოდ მიიწვიეს. ესწრებოდნენ: სტალინი, კიროვი, ლაკობა, მგალობლიშვილი, ხანჯიანი.

შუა საუზმის დროს რაღაც მკვრივი საგნის იატაკზე დავარდნის ყრუ ხმა გაისმა. ავვარდი ზემო სართულზე. ვხედავ, ყველაფერი თავის ადგილზეა, იატაკზე კი მზარეულის დანა გდია. შემოირბინა ოფიციანტმა, აიღო დანა. სტალინმა გამოართვა და ასეთ საინტერესო ამბავს მოგვიყვა.

1903 წელს ქუთაისის ციხეში იგი ცალკე საკანში იყო იზოლირებული. თვითმკვლელობის სიმულაციას შეეცადა — მარცხენა ხელზე ვენების გადაჭრას და ამ მიზეზით ციხის საავადმყოფოში მოხვედრას. იქ თანამოაზრეები ეგულებოდა, რომლებსაც გაქცევის მოწყობა შეეძლოთ, მაგრამ დანა, რომლითაც ჭრილობის მიყენებას შეეცადა, ბლაგვი აღმოჩნდა და ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. გაიხსენა ეს ამბავი სტალინმა და დანა იატაკზე დააგდო.

ამ დროს გაგრას თბომავალი „აფხაზია" მოადგა, რაც საყვირით გვამცნო. სტალინი ადგილობრივებს შეეკითხა, როგორ მუშაობსო საბჭოთა წარმოების თბომავლები. ლაკობამ უპასუხა, რომ დიზელების გაუმართაობის მიზეზით ჩვენი თბომავლები ხშირად მწყობრიდან გამოდისო.

— ჩვენმა სპეციალისტებმა ან არ იციან, როგორ უნდა აშენონ, ან, რასაც აშენებენ, წუნია, მაგრამ არა უშავს — საქმე გამოსწორდება.

მიუბრუნდება კიროვს და ეუბნება:

— ნიკოლაევის ქარხანა თბომავლებს აწარმოებს?

— დიახ, — უპასუხებს კიროვი.

— საინტერესოა, თბომავლები, რომლებიც ირანს მივყიდეთ, კარგად მუშაობს?

— ინფორმაცია არ მაქვს, — უპასუხებს კიროვი.

ხანჯიანი საინტერესო ამბავს მოჰყვა.

— ხმელთაშუა ზღვაში იტალიური თბომავალი თბომავალ „არმენიას" შეეჯახა, რომელიც მცირედ დაზიანდა, მაგრამ გაუძლო. ზარალის ასანაზღაურებლად იტალიურმა კომპანიამ 18 ათასი ამერიკული დოლარი გადაიხადა.

— ძალიან კარგია, რომ პატარა სომხეთმა ფაშისტური იტალიის შემოტევას გაუძლო, — ირონიულად შენიშნა სტალინმა და დაუმატა, — საერთოდ კი საწყალი სომხეთი ყოველთვის იტანჯება.

**სტალინის ჩამოსვლას აფხაზეთში 1931 წელს და მის საუბარს ჩვენი ქვეყნისთვის სუბტროპიკული კულტურების გაშენების აუცილებლობის შესახებ შედეგად მოჰყვა საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება ამ საკითხზე.**

1932-35 წლებსა და მომდევნო წლებში საქართველოში განხორციელდა გრანდიოზული სამუშაო ციტრუსებისა და ჩაის კულტურის დანერგვისა და განვითარებისთვის, რამაც სიმდიდრე შეჰმატა ჩვენს რესპუბლიკას".

**ჩანაწერები თარგმნა და გამოსაქვეყნებლად მოამზადა**

**არმაზ სანებლიძემ**

თურქეთში კიდევ ერთი ტალღა აგორდა – დაპატიმრებების ახალი ტალღა. ქვეყნის პროკურატურამ ორდერი გასცა 1112 ადამიანის დაპატიმრებაზე. ეს ადამიანები ეჭვმიტანილნი არიან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებულ, მქადაგებელ ფეთჰულა გიულენის მოძრაობასთან კავშირში. გიულენის მომხრეებს, უკვე მესამე წელია, მანიაკური სიბეჯითით „წმენდენ“ სახელმწიფო სისტემიდან. 2016 წლის არშემდგარი პუტჩის შემდეგ თურქეთში სულ 77 ათას ადამიანზე მეტი დააპატიმრეს, რაც, ძირითადად, მათი ბრალის დამტკიცების გარეშე ხდება. ამას გარდა, კიდევ 150 ათასი სახელმწიფო მოხელე და სამხედრო პირი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაითხოვეს სამსახურებიდან.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ აკრიტიკებს ჩინეთს ერდოღანი

**თურქეთი და ჩინეთი შეკამათდნენ ისევ. ამის საბაბად იქცა უილური პოეტის — აბუდურაჰიმ ჰეითის ჯერ არდადასტურებული სიკვდილი ჩინურ საპყრობილეში. ანკარამ პეკინს ბრალი დასდო ჩინეთში მცხოვრები მუსლიმების მასობრივ რეპრესიებსა და შევიწროებაში. ამასთანავე, ანკარამ უმოქმედობისთვის გააკრიტიკა სხვა ქვეყნებიც. როგორც ჩანს, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ისევ მოირგო „ყოველთა თურქთა დამცველის“ როლი, მიუხედავად რისკისა, რომ იგი თავისი ასეთი იმპერიალისტური ქცევებით სრულ იზოლაციაში შეიძლება მოექცეს.**



ერდოღანის „მართებული რისხვა“, ერთი შეხედვით, კეთილშობილურია, რომ არაფერი იყოს თვითონ თურქეთში მასობრივი რეპრესიების შესახებ ცნობილი. ასევე ცნობილია, რომ თურქეთის ლიდერი მაშინ იწყებს ხოლმე მსოფლიოში მუსლიმების დაცვაზე ხმამაღალა საუბარს, როდესაც მას საზოგადოებრიობის ყურადღების გადატანა სურს კრიტიკული პრობლემებიდან. მაშ, რას უკავშირდება თურქეთის პრეზიდენტის „კეთილშობილური“ ემოციები ამჯერად?

მივყვეთ თანმიმდევრობით. **თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბრალი დასდო პეკინს უილურებისთვის (ისევე, როგორც ყაზახებისა და სხვა მუსლიმური უმცირესობებისთვის) სპეციალური ციხეებისა და „პოლიტიკური აღზრდის ბანაკების“ შექმნაში. ჩინეთის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ანკარის ბრალდებებს „საზიზღარი სიცრუე“ უწოდეს, ხოლო აბდურაჰიმ ჰეითის სიკვდილის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას — „ბინძური ჭორი“. არგუმენტად ჩინეთის ხელისუფლებამ ინტერნეტში „იუთუბზე“ ამასწინანდელი ჩანაწერები დაიმოწმა.**

თურქეთის პრეზიდენტმა ამ მოსაზრებებს ყურადღება არ მიაქცია. ჩამოყალიბებული პოლიტიკური ტრადიციის შესაბამისად, ერდოღანი დისკუსიაში არ ჩაერთო, არამედ გამოავლინა უკომპრომისო სიჯიუტე და მისთვის დამახასიათებელი აგრესიულობით გამოხატა აღშფოთება მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ჩინეთში, მუსლიმების შევიწროების გამო. თურქეთის ლიდერმა ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, საყვედური ეთქვა მსოფლიოს სხვა ლიდერების მისამართითაც, რომლებმაც, მისი აზრით, უმოქმედობა და ზედმეტად თავშეკავებული რეაქცია გამოავლინეს ამ ინციდენტის მიმართ.

მეორე მხრივ, ჩინეთის ე. წ. „აღმზრდელობით ბანაკებზე“ ბოლო პერიოდში ბევრი რამ ითქვა. ჩინეთში ასეთი ბანაკების არსებობას არ მალავენ, თუმცა უარყოფენ იქ აგრესიული მეთოდების გამოყენებას. თურქეთს გარდა, ბანაკების თემაზე შეშფოთება ასევე გამოხატეს ყაზახეთმა და ყირგიზეთმა.

ერთი წლის წინათ ყაზახეთში გამოჩნდა ადამიანი, რომელიც პირადად იმყოფებოდა ერთ-ერთ „აღმზრდელობით ბანაკში“. მისი მონათხრობის მიხედვით, ჩინეთის სინძიან-უილურულ ავტონომიურ რესპუბლიკაში არანაკლებ 3 ათასი ადამიანისა ტყვეობაში იმყოფება. ამ ინფორმაციამ ყაზახეთის ხელისუფლების სერიოზული რეაქცია გამოიწვია. ყაზახეთის პრეზიდენტის დავალებით, ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინელ კოლეგებთან სასწრაფო მოლაპარაკებები გამართა. განიხილეს მხოლოდ ცალკეულ პირთა კერძო საქმეები. ეს იმიტომ, რომ, როგორც გაირკვა, ვითარებას მასობრივი ხასიათი არ ჰქონია. ჩინური მხარის ინფორმაციით, ცალკეული ეთნიკური ყაზახები მართლაც იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ არა უმიზეზოდ, არამედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესების დარღვევისთვის. 2018 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი ინიციატივით მოაწყო ყაზახეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლების ვიზიტი სინძიან-უილურეთში. დელეგაციამ მიიღო შესაძლებლობა, საკუთარი თვალით ენახა არსებული ვითარება და დაესვა ეთნიკური ყაზახების მდგომარეობის საკითხი სინძიანის ავტონომიაში. ამ ვიზიტის შედეგად რამდენიმე ადამიანი ბანაკებიდან გაათავისუფლეს. კონფლიქტი ამით ამოიწურა — დიპლომატიური გზით, ყაზახეთსა და ჩინეთს შორის არსებული ურთიერთობებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

**რატომ გაახსენდა თურქეთის ლიდერს ეს თემა ახლა? რატომ განიცდის იგი სხვა ქვეყნების მოქალაქეთა ბედს უფრო მძაფრად, ვიდრე საკუთარი მოქალაქეებისას? რატომ არ უფრთხის იგი შედარებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი თურქეთისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორთან კონფლიქტს? პასუხები ამ კითხვებზე უფრო ბანალურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ერდოღანი უკიდურესად პრაგმატული პოლიტიკოსია. იგი ტყუილუბრალოდ არაფერს აკეთებს და ამბობს. მოცემულ შემთხვევაში, მისი გამოსვლები ყურადღების გადატანის ერთგვარი მანევრია**

და მაინც, **რატომ გაახსენდა თურქეთის ლიდერს ეს თემა ახლა? რატომ განიცდის იგი სხვა ქვეყნების მოქალაქეთა ბედს უფრო მძაფრად, ვიდრე საკუთარი მოქალაქეებისას? რატომ არ უფრთხის იგი შედარებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი თურქეთისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორთან კონფლიქტს?** პასუხები ამ კითხვებზე უფრო ბანალურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩნდეს. ერდოღანი უკიდურესად პრაგმატული პოლიტიკოსია. იგი ტყუილუბრალოდ არაფერს აკეთებს და ამბობს. მოცემულ შემთხვევაში მისი გამოსვლები ყურადღების გადატანის ერთგვარი მანევრია.

**31 მარტს თურქეთში ჩატარდება ადგილობრივი არჩევნები. ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა აირჩიონ პროვინციების გუბერნატორები, მერები, რეგიონული პარლამენტებისა და სახელმწიფო საბჭოების წევრები, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები... თითქოს ამ არჩევნების დონე იმდენად მნიშვნელოვანი არ არის და, როგორც წესი, თურქეთის ადგილობრივი არჩევნები დიდ ყურადღებას არ იპყრობს ხოლმე, მაგრამ ამჯერად ეს ასე არ იქნება.** ადგილობრივი არჩევნების, ამჟამინდელ ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ პირობებში, თავისი არსით იქნება რეფერენდუმი ერდოღანისა და მმართველი პარტიისადმი ნდობის თაობაზე.

ამიტომ თურქეთის პრეზიდენტისთვის ასე მნიშვნელოვანია, სწორედ ახლა გაიხსენოს მსოფლიოს მასშტაბით მუსლიმთა მდგომარეობა და აჩვენოს, რაოდენ ძლიერი და ნებისყოფიანი ლიდერია, რომელსაც არ ეშინია თვით ისეთ ავტორიტეტული და პატივცემული პარტნიორის გაკრიტიკება, როგორიც ჩინეთია! და, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში ჩაიარა მორიგი ანტიჩინური გამოსვლების ტალღამ, ერდოღანის მანევრი წარმატებული აღმოჩნდა.

**თურქეთში კიდევ ერთი ტალღა აგორდა — დაპატიმრებების ახალი ტალღა. ქვეყნის პროკურატურამ ორდერი გასცა 1112 ადამიანის დაპატიმრებაზე. ეს ადამიანები ეჭვმიტანილნი არიან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებულ, მქადაგებელ ფეთჰულა გიულენის მოძრაობასთან კავშირში.** გიულენის მომხრეებს, უკვე მესამე წელია, მანიაკური სიბეჯითით „წმენდენ“ სახელმწიფო სისტემიდან. 2016 წლის არშემდგარი პუტჩის შემდეგ თურქეთში სულ 77 ათას ადამიანზე მეტი დააპატიმრეს, რაც ძირითადად მათი ბრალის დამტკიცების გარეშე ხდება. ამას გარდა, კიდევ 150 ათასი სახელმწიფო მოხელე და სამხედრო პირი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაითხოვეს სამსახურებიდან. ამგვარმა სადამსჯელო კამპანიამ საზოგადოებაში, ბუნებრივია, კრიტიკა გამოიწვია და დაპატიმრებების ახალ ტალღას შეეძლო მასობრივი მანიფესტაციების აგორება.

ამიტომ ძალიან „ხელსაყრელ მომენტში“ წარმოიშვა კონფლიქტი ჩინეთთან. ერდოღანმა ვირტუოზი ილუზიონისტივით კვლავ მოახერხა საკუთარი ხალხის ყურადღების მოდუნება ნამდვილად მნიშვნელოვანი თემების მიმართ.

მაგრამ კითხვა მაინც რჩება: ეს მან დიდი ხნით შეძლო?

**ვასილ ბეგიაშვილი**

# «რასკოლნიკები» როვნოში მართლმადიდებელი ტაძრის მიტაცებას შეეცადნენ



**ე.წ. უკრაინის ახალი ეკლესიის მხარდამჭერები როვნოს ოლქის სოფელ ბერეჟნიცაში უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრის მიტაცებას შეეცადნენ. სოციალურ ქსელში უკრაინის კანონიკური ეკლესიის ჩერნოვეცკის ეპარქიის გვერდზე წერია, რომ ბერეზნიცაში ტაძრის მიტაცებას 100-მდე ადამიანი შეეცადა.**

**„წარმმართველ ძალას წარმოადგენენ მილიევსკისა და კიბაცკის აქტივისტები (არაადგილობრივები), მათი 80%. ტერიტორიაზე, აგრეთვე, შემოიჭრა ანაფორებში გამოწყობილი 2 პირი“,** — ნათქვამია ეპარქიის განცხადებაში.

მოძალადეებისთვის წინააღმდეგობის გაწევას შეეცადა მრევლის წინამძღოლი, **მამა კონსტანტინე,** მრევლთან ერთად. მორწმუნეებმა გამოიძახეს პოლიცია, რადგან „ახალი ეკლესიის“ აქტივისტები აგრესიულად იყვნენ განწყობილნი.

**„რელიგიური თემის წარმომადგენლები განაგრძობენ ლოცვას კარდაკეტილ ტაძარში. ტაძრის მიტაცება ვერ შეძლეს“,** — განაცხადეს ეპარქიის წარმომადგენლებმა.

უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურებზე თავდასხმისა და ეკლესიების მიტაცების მცდელობის შემთხვევებმა მას შემდეგ მოიმატა, რაც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ავტოკეფალია მიანიჭა უკრაინის ე.წ. ახალ მართლმადიდებელ ეკლესიას.

მოამზადა **ნიკოლოზ აბაშიძე**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განა სამარცხვინო არ არის, რომ ჩვენი ბედკრული ისტორიის განმავლობაში რა ზიანიც მოუყენებია გარეშე მტერს ჩვენი ქვეყნისთვის, არანაკლები ზიანი მივაყენეთ ჩვენსავე თავს ჩვენივე ეგოისტური, უგუნური და ქვეყნისადმი მოღალატური ქმედებებით საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში?!**

# რატომ ვასუსტებთ პრეზიდენტის ინსტიტუტს და რას ვუპირებთ ავლაბრის სამთავრობო რეზიდენციას?

**უცხო ძალების დიქტატსა და ჩვენი ვაიპოლიტიკოსების ვიწრო, მერკანტილურ ინტერესებზე დამყარებულ იდეოლოგიურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ პოლიტიკას თუ არ გამოვასწორებთ და ასე უგუნურად და სამარცხვინოდ განვაგრძობთ, თუ არ ჩამოვაყალიბებთ ჯანსაღ პრინციპებზე დამყარებულ იმ საკანონმდებლო ბაზასა და მმართველობის იმ სქემებს, რომლებიც გარანტირებულად მიგვიყვანს ჭეშმარიტად დემოკრატიული და სამართლებრივი გარემოს შექმნასა და ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობასთან, საქართველოს სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვან ისტორიაში, დიდი ალბათობით, ჩვენ აღმოვჩნდებით ქართველთა სწორედ ის სამარცხვინო თაობა, რომელიც არა მხოლოდ ვერ შევინარჩუნებთ ისედაც მყიფე და ნომინალურ დამოუკიდებლობას, ეთნიკურადაც გადავგვარდებით და გადავშენდებით ჩვენივე სამკვიდრო ღვთითმომადლებული მიწა-წყლიდან, რომელზეც, როგორც გეოსტრატეგიულად მიმზიდველ და ამასთანავე უმშვენიერესი ფლორით შემკულ ტერიტორიაზე, აშკარად თუ შეფარვით, მუშტრის თვალი უჭირავთ როგორც შორეულ, ისე მეზობელ ძალებს.**



**საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის ამ საეტაპო ღირებულების, უმშვენიერესი ნაგებობის ავტორი და შემოქმედი გახლავთ ცნობილი ქართველი არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი და დღეიდან შეგიძლიათ გაითავისოთ, რომ ეს ნაგებობა ასოცირდება არა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, არამედ მის შემოქმედ არქიტექტორ გიგა ბათიაშვილთან**

განა ნორმალურია, რომ სახელმწიფოს მართვის სტრუქტურების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევისთვის განვლილი 28 წლის შემდეგაც საჭიროა საკანონმდებლო ბაზის არსებითად გადამუშავება, მათ შორის უმთავრესის — საქართველოს კონსტიტუციისა, რომელიც, 1995 წლის პირველი კონსტიტუციის მიღებისთანავე თანდაყოლილ ხარვეზებთან ერთად, შემდგომ წლებში, ვითომ სახელმწიფოს მართვის უფრო მაღალი დემოკრატიის რანგში საპარლამენტო მართვაზე გადასვლის „კეთილშობილური“ განზრახვის საბაბით, რეალურად კი, ყოფილი პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** ავტორიტარული რეჟიმის ბატონობის სამარადჟამოდ განმტკიცების მიზნით, ისე დავამახინჯეთ, რომ **ველარ გაგვირკვევია, რა არის ქვეყნის პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის ფუნქციები; ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფოს როგორც დე ფაქტო, ისე დე იურე მეთაური; რა მეთოდებით უნდა იმართებოდეს სახელმწიფო საომარ ვითარებაში, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება ექვემდებარება პრემიერმინისტრს, ხოლო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი პრეზიდენტია.** მით უმეტეს, რომ, კონსტიტუციის ბოლო შესწორებული ვარიანტის თანახმად, პრეზიდენტს მაქსიმალურად შეეკვეცა ის დარჩენილი უფლებებიც და, ამასთანავე, 2024 წლიდან საყოველთაო სახალხო არჩევნების ნაცვლად, მას აირჩევს, პარლამენტართა ჩათვლით, ეგრეთ წოდებული სამასი ხმოსანი?!

ცხადია, რომ ასეთი კონსტიტუციით სახელმწიფოს მართვა არათუ მიუღებელი, არამედ საფრთხის შემცველიცაა.

ყოველგვარი კომპრომისის გარეშე, როგორც ერთ-ერთმა რიგითმა მოქალაქემ, შემიძლია განვაცხადო, რომ **დღევანდელი ხელისუფლების მიერ ვითომ უფრო მეტი „ევროპელობის“ მოჩვენებითი თვალსაზრისით, წინა ხელისუფლების მიერ საკონსტიტუციო შესწორებით „ნაანდერძევი“ საპარლამენტო მმართველობის შემოღება, ამ ფსევდოდემოკრატიულ, შეუმდგარ და ფინანსურ-ეკონომიკურად გაპარტახებულ სახელმწიფოში ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯია და ემსახურება მხოლოდ იმ მერკანტილურ ინტერესს, რომ ქვეყნის უმაღლეს პოსტზე ვირჩევდეთ კანდიდატს არა პირდაპირი, საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით, არამედ, ამომრჩეველთა რაც შეიძლება შეზღუდული კონტიგენტით, რაც მავანთათვის სასურველი კანდიდატის გაყვანის უფრო კომფორტული და შედარებით იოლად მისაღწევი საშუალებაა.**

საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას ნამდვილად ესაჭიროება მოსახლეობის საყოველთაო და პირდაპირი არჩევნებით მინიჭებული მაღალი ხარისხის ლეგიტიმურობითა და აღმასრულებელი ხელისუფლების მართვის უფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს შექმნილი კრიზისული ჩიხიდან.

**მაღალი ლეგიტიმურობა და ფართო უფლებები რომ არ გადაიზარდოს ავტორიტარიზმსა და ერთპიროვნულ დიქტატურაში, მოქმედი პრეზიდენტი რომ განიმსჭვალოს ამომრჩეველთა წინაშე მაღალი პასუხისმგებლობით, ამისთვის საჭიროა, კონსტიტუციურად დაკანონდეს, რომ, თუ იგი გარკვეულ პერიოდში არ ან ვერ შეასრულებს ქვეყნის წინაშე შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს, პარლამენტსა და რიგით ამომრჩევლებს უნდა ჰქონდეთ რეალური საკანონმდებლო მექანიზმები, რათა გაიწვიონ ასეთი პრეზიდენტი და დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები.**

ჩვენს სინამდვილეში, როდესაც ჭეშმარიტი და სრულყოფილი დემოკრატიისთვის ჯერაც არ მიგვიღწევია და, ამასთანავე, პარლამენტი მეტწილად დაკომპლექტებულია „კომფორტულ გალიაში შეფრენილი ჩიორებით და გუგულებით“, სახელმწიფოებრიობის განვითარების ამ ეტაპზე უცილობლად გვესაჭიროება არა საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა, არამედ ისეთი საარჩევნო კოდექსის მიღება, რომელიც არჩევნების ყველა მონაწილე მხარისთვის, პარიტეტულ პრინციპებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს გაუყალბებელი და სამართლიანი შედეგის მიღწევას და ამ გზით შევქმნით მტკიცე საპრეზიდენტო მმართველობის ვერტიკალს, რომელიც ესოდენ საჭიროა ჯერაც შეუმდგარი ქვეყნისთვის რეფორმების გზით ჯანსაღი დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბებისთვის.

რაც შეეხება საპრეზიდენტო რეზიდენციის საკითხს, ჩვენი ქვეყნის მასშტაბისა და ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, თავის დროზე, ყველაზე მისაღები და გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა ის, რომ რუსთაველის გამზირზე განთავსებული მე-19 საუკუნის სამოციანი წლების დასასრულის არქიტექტორ **ოტო სიმონსონის** სარეკონსტრუქციო პროექტით აგებული ამიერკავკასიის მთავარმართებლის ყოფილი რეზიდენცია (დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე), რომელიც თავისი დაგეგმარებითა და ფასადური გამომსახველობით, რაღა თქმა უნდა, წარმოადგენს ადმინისტრაციული მმართველობის ტიპის ნაგებობას და რომლის **მოდერნიზება დღევანდელ მოთხოვნათა გათვალისწინებით დაჯდებოდა, ალბათ, 10-15 მილიონი დოლარი; ის სრულად დააკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელისუფლო მმართველობის აღსრულებისთვის.**

განა ნორმალურია ის, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ობიექტურ და რეალურ მოთხოვნათა სრული უგულებელყოფით ააგო პომპეზური, სამასმილიონიანი მოსახლეობისა და მსოფლიოს უძლიერესი ეკონომიკის სახელმწიფოს, აშშ-ის თეთრ სახლად წოდებულ რეზიდენციაზე ორ-სამჯერ დიდი სასახლე, რომელიც ემსახურებოდა მხოლოდ მის ამბიციებსა და პრემიერმინისტრის სახით სახელმწიფოს მეთაურად სამარადჟამოდ დარჩენის ანტიდემოკრატიულ, ყოვლად გაუმართლებელ მიზანს?!

იმ მოტივით, რომ ეს ნაგებობა ძვირად ღირებულია და, ამასთანავე, ზოგიერთისთვის ასოცირდება საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელთან, რომელიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, იძებნება, როგორც ბრალდებული, და ამიტომ ამ ნაგებობამ უნდა შეწყვიტოს ფუნქციობა, როგორც სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციამ, სრული უგუნურებაა, ვინაიდან, ჯერ ერთი, ფაქტია და, ძალიანაც რომ გვინდოდეს, ამ ღონისძიებით ველარ გავაიაფებთ; და **მეორე** — ვინაიდან, ეს ნაგებობა უკვე ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საკუთრებაა და ამასთანავე, ვისაც არქიტექტურული დაგეგმარების ანაბანა მაინც გაეგება, მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ იგი წარმოადგენს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ერთგვარ სპეციფიკურ სიმბოლოს.

რაც შეეხება ზოგიერთისთვის ამ შენობის ასოცირებას ექსპრეზიდენტ სააკაშვილის სახელთან და ამ მცდარი არგუმენტით შენობის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციის, ფუნქციობის შეწყვეტის მოთხოვნას, მათ გასაგონრად შემიძლია განვმარტო: **საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის ამ საეტაპო ღირებულების, უმშვენიერესი ნაგებობის ავტორი და შემოქმედი გახლავთ ცნობილი ქართველი არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი და დღეიდან შეგიძლიათ გაითავისოთ, რომ ეს ნაგებობა ასოცირდება არა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, არამედ მის შემოქმედ არქიტექტორ გიგა ბათიაშვილთან.** აქვე შევახსენებ მკითხველს, რომ საპროექტო ობიექტის მოცულობასა და მის სავარაუდო ღირებულებას განსაზღვრავს დამკვეთი მხარე და არა არქიტექტორი.

ზემოაღნიშნული არგუმენტაციით, ამ შენობისთვის სხვა ფუნქციის მინიჭება და გასხვისება ისეთივე დანაშაული იქნება, როგორც თავის დროზე ქვეყნის დუხჭირი ვითარების გათვალისწინების გარეშე გაუმართლებლად მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე იყო მისი აშენება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ავლაბრის სასახლე უნდა დარჩეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციად.**

განა პარადოქსი არ არის, რომ დიდი წინაპრების — **დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძისა და იოსებ სტალინის** შთამომავალი ერი ისე დავკნინდით და დავმცირდით, რომ გვიჭირს საკუთარი ქვეყნის წარმატებით მართვა?!

განა სამარცხვინო არ არის, რომ ჩვენი ბედკრული ისტორიის განმავლობაში რა ზიანიც მოუყენებია გარეშე მტერს ჩვენი ქვეყნისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში არანაკლები ზიანი მივაყენეთ ჩვენსავე თავს ჩვენივე ეგოისტური, უგუნური და ქვეყნისადმი მოღალატური ქმედებებით?!

მაგრამ ისტორიისათვის ამ მცირე მონაკვეთში ქართველმა ხალხმა დააგროვა ის მწარე გამოცდილება, რომლითაც 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში დაანახვა ხელისუფლებას, რომ ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის და, თუ იგი არ გადადგამს რეალურ ნაბიჯებს ქვეყანაში დემოკრატიის, სამართლიანობის, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების კუთხით, წერტილს დაუსვამს მის ყოფნას ხელისუფლებაში.

**ანზორ დავითაშვილი,**
**არქიტექტორი, ქ. გურჯაანი**


„ამირანი“

*** ეს უნიჭობა იმ მოედანზე ჩაადუღაბეს, საიდანაც გააქრეს დავით აღმაშენებლის ძეგლი. სტალინის ძეგლი მისი მშობლიური ქალაქიდან ერთ ღამეში მოიპარეს. გამარჯვების მემორიალს — „მზეჭაბუკს“ — ქუთაისში ორი სიცოცხლე შესწირეს.**

*** ბათუმის „შლოპანცები“ და თბილისის „ველოსიპედი“ ნაკლებად მაწუხებს, ვიდრე ბოლო პერიოდის უსახური, უინტერესო, უმისამართო, უსამშობლო არქიტექტურა.**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# PRO ET CONTRA

## ეს «ველოსიპედი» მოგვინელებს

**დარწმუნებული ვარ, წაიკითხავთ ამ წერილს რედაქციაში და გადადებთ — მოუცლია ამ კაცსო! ერთი შეხედვით, მართალი იქნებით: მწვავე პრობლემებით დამძიმებულ ჩვენს ცხოვრებაში „ვარდების მოედანზე“ (შერჩა ეს სახელი, თუ სხვა დაარქვეს, არ ვიცი), ყოფილი „ანდროპოვის ყურების“ მოპირდაპირედ დადგმული ველოსიპედის „ქანდაკების“ დემონტაჟი სულაც არ არის პრიორიტეტული საკითხი. მაგრამ რამდენ ხანს უნდა ვუყუროთ მიხეილ სააკაშვილის უგემოვნებობის დამადასტურებელ ამ „შედევრს“?! პოპულარული ტელესერიალის „შუა ქალაქში“ ერთ-ერთი კომიკური პერსონაჟის, ქეთევან ღლონტისა არ იყოს — „ერთ, ორ, სამ, ოთხ... მაგრამ რვა წელიწადს?!“**

ან, იქნებ, ამ შედევრალური ნაწარმოების ავტორს დაგინებული აქვს — ვინც ამას ხელს ახლებს, იმისი ასე და ისეო?!

სახვით ხელოვნებასთან, მით უფრო, ქანდაკებასთან, არავითარი შეხება არ მაქვს, სულ სხვა პროფესიის კაცი ვარ. მაგრამ — თბილისის მოქალაქე ვარ, იმათგან ერთ-ერთი, რომელსაც დროის უკუღმართობამ ჩემი საქმე დამავიწყა და ტაქსისტობა დამაწყებინა. წლებია დავაგორებ ამ ჩემს ოთხთვალას აღმა-დაღმა, ყოველ დღე ავუვლი და ჩავუვლი ველოსიპედის „მონუმენტურ ქანდაკებას“ და სულ უფრო და უფრო ვღიზიანდები, მას რომ **ვხედავ იმ ადგილზე, საიდანაც თბილისის შესანიშნავი ხედი იშლება. იშლებოდა რომ ვთქვა, უფრო ზუსტი იქნება, იმდენად დაამახინჯეს ჩვენი დედაქალაქი საქართველოს გულის უგულო მთავრობებმა — მერებისა და საკრებულოების მუდმივად ცვალებადმა შემადგენლობებმა.**

თუმცა თბილისის საკრებულოს სირცხვილად ისიც ეყოფა, უჯიშო და უჯილაგო სააკაშვილი რომ ყავდა თავმჯდომარედ.

„ევროპული ტიპის“ ე.წ. ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა გაპრეზიდენტულმა სააკაშვილმა ქართული მონუმენტური სკულპტურის წინააღმდეგ გალაშქრებით დაიწყო. პირველი ძეგლი, რომელიც მან დაანგრევინა, სიღნაღის თავზე აღმართული ზღაპრული სიძლიერით გამორჩეული დევგმირის — ამირანის შესანიშნავი სკულპტურა იყო. ეს ვანდალური აქტი მაშინ იმით აგვიხსნეს, რომ პრეზიდენტის ვერტმფრენისთვის დასჭირდათ ადგილი და გამოათავისუფლეს კიდეც. მაშინ ერთმა-ორმა კაცმა თუ აღიმაღლა ხმა ამ ტუტუცის ხუშტურის წინააღმდეგ. დღევანდელი გადასახედიდან კი სულ სხვა მიზეზი გამოჩნდა: სააკაშვილს იმდენად ეზიზღებოდა ყველაფერი ქართული, რომ ვერ აიტანა თუნდაც მითოლოგიური გმირის, ამირანის, ვერც ქვაში ნაკვეთი ხატება, ვერც — სახელი, და წყალტუბოს რაიონში, სოფელ ყუმისთავთან ჯუმბერ ჯიშკარიანის მიერ აღმოჩენილ ყუმისთავის მღვიმეს, „პრომეთეს მღვიმე“ დაარქვა: პრომეთე — კი, ამირანი — არა.

„ველოსიპედი“ იმ მოედანზე ჩაადუღაბეს, საიდანაც გააქრეს დავით აღმაშენებლის ძეგლი. მონდომება არ დაიშურეს, არც სახსრები დაკლებიათ.

სტალინის ძეგლი მისი მშობლიური ქალაქიდან ერთ ღამეში მოიპარეს.

გამარჯვების მემორიალს — „მზეჭაბუკს“ — ქუთაისში ორი სიცოცხლე შესწირეს.

ამ ველოსიპედს კი ძვრა ვერ ვუქენით, თბილისელებს გულს გვიხეთქავენ სააკაშვილის შთამომავლები, რომლებმაც გველებივით კანი იცვალეს და „ოცნების“ მრავალქიმიანი ვარსკვლავები დაიხატეს გულზე: სვირინგი ხომ მოდაშია და ფუი! ადამიანის სხეულზე გადანაცვლებულ ამ გრაფიტის.

დაბოლოს, იცით, რისი მეშინია ყველაზე უფრო? იმისი, რომ **ვგრძნობ, თანდათან როგორ მინელდება პროტესტის გრძნობა. ადამიანი ყველაფერს ეჩვევაო.** ეტყობა, „ველოსიპედის“ და სხვა უსახურობათა დედაქალაქის ცენტრიდან მოცილებას რომ აჭიანურებენ, სწორედ იმიტომ მოქმედებენ ასე, რათა ბოლოს და ბოლოს შეგვაგუონ აზრს, რომ ნაცების სისხლიანი რეჟიმი უკვდავია. აბა, ამაოდ ხომ არ უწოდა აშშ-ის პრეზიდენტმა ბუშმა (უმცროსმა) სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“!

სახედარს პიტნა არ უყვარდა და ცხვირში ტენიდნენო, ასეა ჩვენი საქმე. ნაცებს რომ ელოლიავება „ოცნება“ კოაბიტაცია კი არ არის, არამედ რეანიმაციაა, სიუზერენის ნებითა და მითითებით სახელისუფლებო საჭესთან მიშისტებისთვის ადგილის დათმობის განხორციელებული ფაქტია.

რასაც ამერიკა გვეტყვის, მხოლოდ ის არის ჭეშმარიტების საბოლოო ინსტანცია. რაც ამ ჭეშმარიტების ხელიდან გამოვიდა, იმაზე უნდა ვილოცოთ — გინდა ველოსიპედი იყოს, გინდა გამუსლიმებული ბათუმის „საზოგადოებრივი ჰარამხანიდან“ გაგდებული საჭურისის დაკოდილ „კვერცხებზე“ დადებული „შლოპანცები“.

ან, იქნებ, პუტინმა მართლაც შეუსრულა მიშას მწარე დანაპირები და ჩვენ ვერ გავიგეთ?!

**მათე ქობლიანიძე**
**თბილისი, ზემელი**


განხეთქილების ველოსიპედი

## მე ვიცავ «ველოსიპედს»

**XX საუკუნის ბოლოდან და შემდგომ, ევროპისა და მსოფლიოს რიგი ქვეყნების, სახვით ხელოვნებაში თავს იჩენს ყოფითი სიუჟეტების ტენდენცია. დღეს მსოფლიოს ქალაქებში მრავლადაა ყოფითი ნივთების — სავარძლების, ველოსიპედების, საყოფაცხოვრებო ატრიბუტიკის „ქანდაკებები“ უტრირებული მასშტაბით გადმოცემული. პრაღის ცენტრალურ ქუჩებში ნახავთ ჭრელ-ჭრელა ძროხების ქანდაკებებს. ისინი თავისი ფერადოვნებით აცოცხლებენ გარემოს, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, პრაღელები მათ არ აფასებენ ხელოვნების კრიტერიუმებით, არ განიხილავენ კომპოზიციას, პლასტიკას, სიუჟეტს, ძერწვის მანერას და სხვა.**

გამოჩენილი ფრანგი მოქანდაკე შარლ სემსერი თავის კომპოზიციებში რეალურ ნივთებს იყენებს — საყვირი, მოტოციკლი, ვედრო, ფოტოაპარატი და სხვა. არც თუ იშვიათად, სემსერი, ადამიანის სხეულის ამა თუ იმ ნაწილს — თმებს, მუცელს, მკლავებს გამწვანებით „ავსებს“. ადამიანებში ეს უცნაურობები ინტერესს იწვევს, მიდიან, ფოტოებს გადაიღებენ და ამით მთავრდება ყველაფერი — მათ არავითარი იდეურ-შემეცნებითი ფუნქცია არ გააჩნია.

არც თანამედროვე არქიტექტურაა გულგრილი ამ პროცესისადმი. არქიტექტორ ფილიპ სტარკის მიერ დაპროექტებული ლუდის ქარხნის შენობის სახურავზე ტოკიოში სტაფილოს უზარმაზარი „ქანდაკებაა“ აღმართული. ფლორიდაში, ქ. ორლეანში, არქიტექტორ მაიკლ გრეივზის სასტუმროს სახურავზე შთამბეჭდავი მასშტაბის დელფინისა და გედის ქანდაკებებია შემოდგმული, ხოლო XX საუკუნის ერთ-ერთი ავანგარდისტული შენობის, ქ. ბილბაოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმთან განთავსებული ამერიკელი მოქანდაკის ლუიზა ბურჟუას 12 მეტრის სიმაღლის ბრინჯაოს ობობა — „დედა“, ვენეციის 48-ე ბიენალეს უმაღლესი ჯილდოთი „ოქროს ლომით“ აღინიშნა. იქვე, მეზობლად დგას 13 მეტრის სიმაღლის ყვავილებით შემოსილი ლეკვის ქანდაკება.

**ყოფითი სიუჟეტების ტენდენციას საქართველომაც აუბა მხარი, მაგრამ ამ პროცესს „მშვიდობიანად“ არ ჩაუვლია. განსაკუთრებული რისხვა დაატყდა ფრანგი ქალბატონის ლილი ფანტოცის გიგანტურ კვერცხებზე დადებულ „შლოპანცებს“ და ფრანგი ჟან დუპეს ორსაჭიან „ველოსიპედს“.** საზოგადოება შედარებით კეთილგანწყობილი იყო არქიტექტორ თამარ კვესიტაძის, საქართველოში პირველი კინეტიკური (მოძრავი) კომპოზიციის — ალი და ნინოს მიმართ, რაშიც სიახლესთან ერთად გარკვეული როლი ითამაშა ალი და ნინოს სენტიმენტალურმა ლეგენდამ.

დიდ ინტერესს იწვევს გია ჯაფარიძის კომპოზიციები: „ახალგაზრდობა“ ბარათაშვილის ხიდზე, ასევე ულამაზესი, სახასიათო, ყოფითი კომპოზიციები სიღნაღში — სახედარზე ამხედრებული, ქოლგიანი „სოფლის ექიმი“ და „ქალიშვილი ძაღლით“, „დედაშვილობა“ თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე და სხვა. დედაქალაქის სტუმრები ინტერესით ათვალიერებენ რუსთაველზე ლევან ბუჯიაშვილის მცირე ზომის „თბილისელ პერსონაჟებს“.

ეს წერილი ამ ჟანრის მხარდაჭერაა. ნაცნობი ყოველდღიურობა, ყოფითი სიუჟეტები, რომლებიც ოჯახებიდან გამოვიდა ღია სივრცეში, ქალაქის ქუჩებში, რომლებიც ადრე მხოლოდ გრაფიკა-ფერწერის, განსაკუთრებით კი დიმიტრი ერისთავის „კუთვნილება“ იყო, დღეს მოქანდაკეთა ინტერესის სფეროშია მოქცეული.

სურვილი მაქვს, ამ მიმართულების უცხოური პრაქტიკა გავაცნო საზოგადოებას, ვინძლო, ამ ინფორმაციამ ერთხელ და სამუდამოდ დაამთავროს „შლოპანცების“ და ველოსიპედის აღებაზე საუბარი. ეს ნიმუშები არ იმსახურებს ასეთი ხანგრძლოვობის ხმაურს. თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, **ბათუმის „შლოპანცები“ და თბილისის „ველოსიპედი“ ნაკლებად მაწუხებს, ვიდრე ბოლო პერიოდის უსახური, უინტერესო, უმისამართო, უსამშობლო არქიტექტურა.**

საგანგებოდ მინდა შევჩერდე მხატვარ ლორენცო კუინის კომპოზიციაზე „თანადგომა“ („Support“) – ვენეციაში, „კანალე გრანდედან“ ამოსული ორი გიგანტური ხელი, სასტუმრო „კა საგრედოს“ ისტორიულ შენობას ელოლიავება, ეხიდნება, მოგვიწოდებს გადავარჩინოთ ძეგლი, ზოგადად კი — დედამიწა, სამყარო, ეკოლოგია, რომელსაც კაცობრიობა დღემდე მხოლოდ მოიხმარს და ანადგურებს.

„ხელების“ ქანდაკება ემოციურად გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე ათეულობით სამეცნიერო კონფერენცია და სტატიები ეკოლოგიაზე და ისტორიული ძეგლების გადარჩენაზე.

**ვახტანგ დავითაია,**
**არქიტექტორი**


„პირუტყვის გადარეკვა“ (დალასი)



„თანადგომა“ (ვენეცია)

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ გმირობასთან ერთად საქართველოს წარსულს წოდებრივს სიამაყეზე და უპირატესობის შენარჩუნების ნიადაგზე აღმოცენებული ბევრი შური და მტრობაც უნახავს. სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებდა ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიიდან გიორგი სააკაძის პიროვნებაც.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №9, 2019 წ.

ივანე ჯავახიშვილი

# ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია

## «ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლებელობას, თავის ხატსა და მაგალითს»

**ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ყოველ ერს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები უნდა ახსოვდეს, რადგან „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლებელობას, თავის ხატსა და მაგალითს“-აო (V, 208).**

ისეთ პირად, რომლის ღვაწლისა და ამაგის დავიწყება საქართველოს არ შეჰშვენის, ილია ჭავჭავაძეს, რასაკვირველია, დავით აღმაშენებელიც მიაჩნდა და ჩვენთვის სწორედ ის არის საინტერესო, თუ რა მოსაზრებით. მისი სიტყვით, **„დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა“,** საქართველოს მთლიანობის დამყარებითა და სახელმწიფოებრივობის შექმნით, „არამედ **თავის დიდბუნებოვან კაცობითაც.** იგი თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და... სარწმუნოებისა“, იმავე დროს **„დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა“.** ყველაზე უფრო საყურადღებოა, რომ დავით აღმაშენებელი იყო „ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლად-შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლისა და სარწმუნოების ერისა“ (V, 209), როდესაც ის უკვე „სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო იმის დიდ ბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას“-აო (V, 211). ამასთანავე განმაცვიფრებელი სწორედ ის გარემოებაა, რომ **დავით აღმაშენებელი „სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იყო იმ დროში“.** დავით აღმაშენებლის ამ თვისებას ხომ მარტო ჩვენი ქართველი მატიანეები არ მოგვითხრობენ, სომეხთა ავტორებიც ამასავე ადასტურებენ. ხოლო, თუ სომეხთადმი დავით აღმაშენებლის ასეთი დამოკიდებულება შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ სომხები ქრისტიანები იყვნენ, „დიდბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა“ ხომ „მაჰმადიანებსაც მიეფინათ“. ჩვენთვის ეს გარემოება და თვისება მით უფრო საგულისხმოა, „მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად“ (V, 210) და, მაშასადამე, მოსალოდნელ გულისწყრომასაც იგი არ წაუტყუებიაო. აქვე თავის დებულების დასამტკიცებლად ილია ჭავჭავაძეს ალაინის ცნობა აქვს დამოწმებული, რომელშიც სხვათა შორის აღნიშნულია, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოში „ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები და სადგომი სახლები მოქადაგეთა, სუფიებთა და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა“-ო, და საერთოდაც „დავითი უფრო მეტს პატივსა სცემდა მუსულმანთ, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“-ო (V, 210-211).

როგორც ზემომოყვანილთგან დარწმუნდებოდით, **ილია ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნამოქმედარში მარტო პოლიტიკური მხარე კი არა, არამედ ამ მოღვაწეობის უფრო მეტად კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავდა.**

საუცხოვოდ აქვს მას მათი პოლიტიკის მთავარი ამოცანა XII ს. განმარტებული. როდესაც ივ. ჯაბადარმა თამარის საქართველოს წინაშე ღვაწლის დამცირება სცადა და საბუთად ის მოსაზრება მოიყვანა, ვითომც თამარს ყარსზე გაელაშქრებინოს „მარტო იმისთვის, რომ თავის ახლად დაბადებულის შვილის გიორგის ბედი გამოსცადოსო და ამისთვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილუბრალოდაო“, ილ. ჭავჭავაძე ამ საკითხის განხილვასაც ზოგადი თვალსაზრისით შეუდგა. ჯერ იმ წყაროს შეეხო, რომლითგანაც ეს ცნობა მომდინარეობდა, მერმე-კი ბეცი ადამიანისაგან თვით ამ ამბის ნამდვილ მიზეზად მიჩნევაზე დაიწყო მსჯელობა. ილია ამბობდა: „იქნება გვითხრან — „ქართლის ცხოვრებაში“ ესე სწერია“, როგორც ჯაბადარს აქვს ნათქვამიო. „თუნდაც რომ ეწეროს, რა დასაჯერია?!“-ო. სწორედ უცნაურია, „ასეთი მალე დაჯერება დაუჯერებელისა ამ კაცისაგან, რომელიც მართალსაც არ იჯერებს ვითომდა უკრიტიკოდ!“-ო. „ქართლის ცხოვრებაში“ რაც სწერია, განა ყველაფრის განუსჯელად დაჯერება შეიძლება? **„ნუთუ ძველის-ძველ საქართველოს მეისტორიემ ეს ანბანი არ უნდა იცოდეს“-ო, ამბობდა ილია, „რომ მას შემდეგ, რაც სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთით ჩვენი კარი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად.** ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც ერთი მეფე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არ სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზე შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებედნა-რა საქართველოსათვის. **ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა. შანქორის ომსაც განჯისაკენ ესევე აზრი ჰქონდა და საჭიროება“-ო (V, 68).**

დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარის დროინდელი სამხედრო პოლიტიკის მიზნების შესახებ, როგორც ცნობილია, იოს. გედევანიშვილს ჰქონდა 1915 წელს საინტერესო გამოკვლევა გამოქვეყნებული. ურიგო არ არის გავიხსენოთ, რომ არსებითად ამ პრობლემის გაშუქების პირველობაც, ამასთანავე 26 წლით უფრო ადრე, ილია ჭავჭავაძეს ჰკუთვნებია.

**საქართველოს ისტორიითგან ილია ჭავჭავაძეს შემდეგ ერისთვის თავგანწირულობა ჰხიბლავდა.** ცნობილია, რომ მისი ისტორიული პოემის **„დიმიტრი თავდადებული“**-ს დედა-აზრი და სულისკვეთება სწორედ ეს არის: ქართველი ერის, უდანაშაულო ხალხის მონღოლთა ყაენისაგან განადგურებას დიმიტრიმ ხომ თავისი სიცოცხლის განწირვა არჩია. დიმიტრი თავდადებულის შემდგომ საქართველოს გმირ პიროვნებათაგან ილია ჭავჭავაძის ყურადღებას ლუარსაბ მეფის პიროვნება იზიდავდა. აქაც მისი მოღვაწეობის მშვენებად მას ქვეყნისათვის იგივე თავგანწირულება მიაჩნდა: უნდა გავიხსენოთ საქართველოს ის გმირი, რომელმაც „სთქვა: რა მადლია, თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო, — წავიდა“ და თავისი თავი ქვეყნის უვნებლობას შესწირაო (V, 219).

მაგრამ **ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ გმირობასთან ერთად საქართველოს წარსულს წოდებრივს სიამაყეზე და უპირატესობის შენარჩუნების ნიადაგზე აღმოცენებული ბევრი შური და მტრობაც უნახავს.** სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებდა ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიითგან გიორგი სააკაძის პიროვნებაც. ის ჩივის, რომ მისი **„მოქმედება და ქცევა დღესაც აუხსნელია ჩვენთა ისტორიკოსთაგან“** და იმისდა **მიუხედავად, რომ ის იყო „უხვად შემკული ყოვლის სამამაცო და საგმირო ღირსებითა“, მაინც „დღეს აქამომდე არც ავად არის ჩვენ მიერ დაფასებული და არც კარგადა. მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი,** მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი, ჯერ **შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან** პირუთვნელს გამკითხველსა“-ო (V, 215).



**ილია ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნამოქმედარში მარტო პოლიტიკური მხარე კი არა, არამედ ამ მოღვაწეობის უფრო მეტად კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავდა**

გ. სააკაძეზე, როგორც ცნობილია, არჩილ მეფესვე ჰქონდა თავის ისტორიულ პოემაში მოსაზრება გამოთქმული, მაგრამ ამ ადამიანის მოღვაწეობა სხვადასხვანაირად იყო ყოველთვის შეფასებული. ვერა გადაეწყვიტათ მხოლოდ ქართველ ისტორიკოსებს. ილიას კი მაინც თავისი მოსაზრება გაკვრით გამოთქმული აქვს. ლუარსაბ მეფის „აზნაურიშვილის მოყვრობამ და ნამეტნავად აზნაურიშვილის ქალის გადედოფლებამ გული აუმღვრია მაშინდელ დიდებულებს, რომელთაც ითაკილეს აზნაურის ქალის დედოფლობა და ბატონობა“. შესაძლებელია ლუარსაბი უბედურებაში სწორედ ამ გარემოებამ ჩააგდო. **„დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალბუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალი გრძნობა ადამიანის აზნიანობისა ბევრს მეტოქეს და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდბუნებიანობა“-ო (V, 216).**

**ეხლა რომ ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებზე ილია ჭავჭავაძის მსჯელობასა და იმ წვლილის განხილვას შევუდგეთ, რომელიც მას ამ დარგშიც საქართველოს ისტორიის წინაშე მიუძღვის,** ილია ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, ისტორიული კრიტიკაცა და შედარებითი მეთოდიც ისტორიის მძლავრ და აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ივ. ჯაბადარის ნაშრომმა დაარწმუნა, რომ მას ვერც ერთი ამ მეთოდთაგანის ვერც დანიშნულება გაუგია და ვერც მათი გამოყენება შესძლებია. რაკი ილია ჭავჭავაძემ თვითონაც კარგად იცოდა, რომ საქართველოს წარსულის შემსწავლელთა შორის ამ ორი მეთოდის მცოდნე და გამომყენებელი მართლაც არავინ ჩანდა, ივ. ჯაბადართან კამათის დროსაც ილია ჭავჭავაძე ამას არამცთუ არ უარყოფდა, არამედ თითონაც ადასტურებდა: „არა ერთხელ გვითქვამს და ეხლაც საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ავტორი (ე.ი. ივ. ჯაბადარი) ჩვენს ლიტერატურას უკიჟინებს, კრიტიკა და შედარებითი მეთოდი მისთვის უცნობიაო. ეს მართალია“ (V, 134), მაგრამ ილია იმაზე სწუხდა, რომ საუბედუროდ თვით ყიჟინის დამცემიც სრულებით უვიცი გამოდგა (V, 27 და 134). რაკი ამნაირად თვით ჯაბადარსაც არც ამისი ცოდნა და არც უნარი არ აღმოაჩნდა, აქაც მაშინდელი ქართველი მკითხველისა და მკვლევართათვის ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის განმარტებას თვითონვე შეუდგა. მაგრამ ამაზე საყურადღებო და უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ყველას საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც უჩვენა.

უპირველესად, საგულისხმოა, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს ისტორიის მაშინდელ მკვლევართ „ქართლის ცხოვრების“ ყოველივე ცნობა სჯეროდათ და აქ ნაამბობს იმეორებდნენ ხოლმე, ილია ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრებას“ კრიტიკულად ეპყრობოდა და ყველაფერი, რაც იქ მოთხრობილია, ჭეშმარიტებად კი არ მიაჩნდა, არამედ არა ერთხელ მას იქ ჩართული ზოგი ცნობების მცდარობა აღუნიშნავს. მაგ. ის ამბობდა: „ქართლის ცხოვრების“ ცნობა დარუბანდის ფრიდონისაგან აგების შესახებ ზღაპარია, რათგან სხვაგან ასეთი ცნობა არსად მოიპოვებაო (V, 52, 53). უეჭველია, რომ „ქართლის ცხოვრებას“ „აურევია სახელები“-ო (V, 53).

ივ. ჯაბადარს ფარნავაზ მეფე, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, საქართველოს უდიდეს და ცენტრალურ პიროვნებად ჰყავდა გამოყვანილი. ილია კი ამბობდა, „არა გვგონია „ქართლის ცხოვრების“ გარეთ ჩვენმა ავტორმა გვიპოვნოს რაიმე ხსენება ფარნავაზისა ჩვენს ხალხში“-ო (V, 60-61). ხოლო შემდეგ უკვე პირდაპირ ნათქვამიცა აქვს, **„ძალიან შესაძლოც არის, რომ ყოველივე“ ის, რაც „ქართლის ცხოვრებას“ ფარნავაზზე მოთხრობილი აქვს, „ტყუილიც იყოს“-ო (V, 62).**

შედარებითი მეთოდის სახელი, ილიას სიტყვით, სრულად „არ შეეფერება იმგვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ეს გვარი კვლევა შედარება კი არ არის“-ო, არამედ „სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან თავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, ▶

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჭავჭავაძე არქეოლოგიასა და შედარებითს მითოლოგიასაც შეეხო და აქაც არა ერთი საგულისხმო მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ზნეჩვეულებებსა, კაციმჭამლობასა, წარმართული რწმენის წინაპართა თაყვანისცემისა და დასაფლავვების წესების შესახებაც. მანვე სცადა, გაეაზრებინა მემატიანის ზოგიეთი ცნობაცა და ძველს სამარხებში აღმოჩენილი ვითარების შესაძლებელი მიზეზიც განმარტა.

◀ თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისთვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი უჩენია“-ო (V, 22).

მეტად საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, შედარებითს მეთოდთან ერთად, ლინგვისტიკური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაზეც. გერმანელი ენათმეცნიერის **შრადერის** ნაშრომზე დაყრდნობით პირველად ილიამ მიაქცია ყურადღება ქართული ზმნის „მართლად გასაკვირველი ფორმების“ სიუხვეს და აზრის გასაოცარი სიმოკლითა და სიმარჯვით გამოთქმისათვის ჩვენი ენის ამ თვისების მნიშვნელობაც კარგად განმარტა (V, 92-95). **მანვე მაშინდელ ქართველ მკვლევართ დაანახა, თუ რაოდენად საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით.** ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ივ. ჯაბადარს რომ ენის „სარკეში ჩახედვის და ნახვის უნარი რამ ჰქონოდა და ერთი ბეწვა გაგება“, განა ის უ-ს „გაზანდრის ადლით გაზომვას“ დაიწყებდა? არა, ის „სხვა გზით დააკვირდებოდა ჩვენს ენას და სულ სხვა ამბავს გამოჰკითხავდა“-ო (V, 97). მერმე ილია ჭავჭავაძეს თავისი შემდეგი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული: **„განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არ არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მიწყალე, შემიწყალე, მოწყალება“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე „განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყლობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია“.** შუა მდინარესაც რომ თავი დავანებოთ და თუნდაც რომ „მარტო არმენია ავილოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც „წყლობა“ მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ, რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ კი არა მოჰყავს-რა“-ო (V, 97), კარგად გვიხსნის, თუ რატომ უნდა მინიჭებოდა „წყალობა“-ს ასეთი მნიშვნელობაო. საუცხოო და გონება-მახვილი დაკვირვებაა!

ან ავილოთ, განაგრძობს ჩვენი დიდებული მოღვაწე, „სიტყვა „მიცვალება“, **„მიცვალებული** რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარავებას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ გადასვლას. **ნუთუ იმაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან? ან ქალის „გათხოვება“, „მითხოვება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „ცხოვებას“ რაღაც ადგილი ჰქონია. განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმრობის შესახებ“**-აო, კითხულობდა ილია (V, 97-98).

**საინტერესოა, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის მსჯელობა ქართველთა სხვა ერებთან კულტურული ურთიერთობის ლექსიკური მასალის ანალიზის საშუალებით გამორკვევის შესაძლებლობაზეც.** იგი ამბობდა: „ვთქვათ, შეგხვდა ქართული ბავშური სიტყვა „აჩუა“. საიდან არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა, რასაც ბავშვი ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩხრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად acva, ზენდურად aspa, ლათინურად equus, ირლანდიურად ech, ლიტოვურად aszwa ცხენს ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური „აჩუა“. **ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და საიდამ წარმომავალია ეს სიტყვა „აჩუა“, რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბავში ჰხმარობს, ან ბავშისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ?“-ო (V, 22-23).**

თავისი ზემომოყვანილი საგულისხმო დაკვირვებების შემდეგ, ილიას სამართლიანად აქვს აღნიშნული: **„ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი ენა, თუ რომ ბრმა კაცი და, ჩვენის ავტორსავით ყოვლად უვიცი არ შეხვდა“-ო** (V, 98). ლუბბოკმა ამ მეთოდითა და ასეთი მასალით პირველყოფილი რწმენის, წესწყობილებისა და კულტურის სურათის აღდგენაც-კი შესძლოო (იქვე) და განა ქართველი ხალხის წარსულის ასევე აღდგენა არ შეიძლებოდა, სათანადო ცოდნა და ნიჭი რომ ყოფილიყოო, ფიქრობდა ილია ჭავჭავაძე.

ივ. ჯაბადარის მცდარ დებულებათა კვალდაკვალ განხილვისას **ილია ჭავჭავაძე არქეოლოგიასა და შედარებითს მითოლოგიასაც შეეხო და აქაც არა ერთი საგულისხმო მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ზნეჩვეულებებსა, კაციმჭამლობასა, წარმართული რწმენის წინაპართა თაყვანისცემისა და დასაფლავვების წესების შესახებაც. მანვე სცადა, გაეაზრებინა მემატიანის ზოგიეთი ცნობაცა და ძველს სამარხებში აღმოჩენილი ვითარების შესაძლებელი მიზეზიც განმარტა** (V, 23-26, 111-113, 125-126, 142-143, 147 და სხვ.).

ყველა ზემომოყვანილი, იმედია, დაარწმუნებს ყველას, თუ რამდენად საინტერესო ყოფილა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის დარგშიც: როგორც ამ მეცნიერების ზოგადს ამოცანებსა და მეთოდოლოგიაზე, ისევე კერძოდ საქართველოს ისტორიისა და ისტორიკოსთა ამოცანებსა და სწორი მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი შედეგის მოპოვების შესაძლებლობაზეც ჩვენს დაუვიწყარს მომამაგეს ფრიად საგულისხმო მოსაზრებანი ჰქონდა გამოთქმული. მაგრამ ქართულ მაშინდელ ისტორიოგრაფიაში ისეთი უმწეო მდგომარეობა იყო, რომ არამცთუ არსად ჩანდა მკვლევარი, რომელსაც თითონვე ნათლად გაეთვალისწინებინა, თუ რა იყო უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორის თანდათანობითა და რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალები განხილული, არამედ, ილია ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული წერილების შემდეგაც არავინ აღმოჩენილა, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მგოსნისა და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება ეცადოს და მეთოდების გამოყენება შესძლებოდეს. **ქართველ ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“-ო. და, ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია. მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის?! თუ თავდაპირველად ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდა, წარსული საუკუნის დამლევითგან მოყოლებული, როგორც ცნობილია, თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობდა.** საბედნიეროდ, იმ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და, უეჭველია, მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობითაც ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილია და ილია ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულია. ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ მხოლოდ, რომ **ვინც მომავალში ქართველი ისტორიოგრაფიის თავგადასავალის მე-19 საუკუნის ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება, ისიც აღნიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს** (წაკითხულია, მოხსენების სახით, 1937 წ. ენიმკი-ს საჯარო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავისადმი).

**ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956 წ.**



## ვინც მომავალში ქართველი ისტორიოგრაფიის თავგადასავალის მე-19 საუკუნის ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება, ისიც აღნიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს

# ილია ჭავჭავაძის დასკვნები ქართველების ისტორიული ფესვების შესახებ

აქ მოხმობილი მასალა ყოველი ქართველისთვის საამაყო და თავმოსაწონებელია მსოფლიოს ხალხთა წინაშე, თავის წილ პასუხისმგებლობას აკისრებს მას — შეგნებული ცხოვრების მანძილზე ქართველთა ისტორიის ღირსეული მატარებელი და გამგრძელებელი იყოს.

მეორეც, ეს მასალა დადასტურებაა ილია ჭავჭავაძის მიერ ევროპისა და რუსეთის სახელგანთქმულ მეცნიერთა შრომების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნებისა ქართველების უძველესი ისტორიის შესახებ.

გთავაზობთ ზოგიერთ დასკვნას „ქვათა ღაღადიდან“ (1899 წ.):

* „ურარტელნი ქართველთა წინაპარნი ყოფილან, ქართველთა სისხლ-ხორციელი ყოფილა“;

* „სტრაბონი ჯერ კიდევ პირველი საუკუნის დასაწყისში აღყვავებულს გვიხატავს საქართველოს, რომელმაც გასაოცარის ხელოვნების ეკლესიებით და მონასტრებით მოჰფინა ძველის-ძველთაგანვე თავისი მხარე, რომელმაც გაავსო როგორც საქართველო, აგრეთვე, საბერძნეთი და პალესტინა ქართულის სამკაულით და მანუსკრიპტებით, რომელმაც ძველადვე ჰთარგმნა ფაჰლაურ ენაზე შედგენილი სანსკრიტული მოთხრობა „ქილილა და დამანა“, „ვის-რამინი“ და შექმნა დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომ სხვა აღარა იყოს-რა;

* „სახელდებულნი სწავლულნი ჟან სენ-მარტენი, ვივიან დე სე-მარტენი, დუბუა დე-მონპერე ცხადად და გარკვევით ამბობენ, რომ ქართულნი ისტორიულნი მოთხრობანი ღირსშესანიშნავნი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიის ისტორიისათვისო. ამასთან, დუბუა დე-მონპერე იხსენიებს ქართველებს ვითარცა ძველისძველ ერს, რომელიც უხსოვარ დროითაგანვე ამიერკავკასიას დარაჯად სდგომია და ყველა სხვა ცნობილთა ერთა თანა ურთიერთობა ჰქონიაო“;

* „ისტორიულ ჭეშმარიტებად ცნობილია, რომ ეგვიპტელთა „მუხენი“, დაბადების „მოსოხნი“, ანუ „მოსხნი“, ეხლანდელნი „მესხნი“, ჰეროდოტის „ტომარენნი“, სტრაფონის „ტიბერნი“ და „კოლხნი“ შეადგენდნენ ქართველ ნათესაობის ერსა. რადგანაც ისიც ჭეშმარიტებად ცნობილია, რომ ძველისძველად ამ ქართველ ნათესაობას სჭერია მთელი სივრცე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა, აგრეთვე, იგი ადგილები, რომელნიც მტკვარსა და არაქსს შუა მდებარეობენ. აშკარაა, რომ ვისაც ამ ადგილებში დაჩემება რამ უნდა, ან ქართველის კუთვნილების გაუქმება, მოუნდება დაამტკიცოს, რომ ზემო დასახლებულნი ერნი ქართველთა ნათესაობისა არც იყვნენ და არც არიან“;

* „თუ ურარტელების სიკეთე გამოჰყოლია ვისმე მოდგმით და თუ მაგ სიკეთით შესაძლოა ვინმემ თავი მოიწონოს, ესე ყოველი ქართველობის კუთვნილებაა“;

* „მთიანი ქვეყანა, რომელსაც ლურსმული წარწერანი ურარტად ასახელებენ, ჯერ კიდევ 721 წელს ქრისტეს წინათ სამკვიდრო იყო ქართველებისა და თვით ურარტელი ქართველის ნათესაობის ერი იყო“;

* „მთიანი ქვეყანა (ურარტუ), საიდამაც გამოდიან ტიგრი და ევფრატი, ჯერ კიდევ ასურელთა მეფის — სარგონის დროს (721 წ.) დასახლებული იყო ერთის მოდგმის ერითა, ...და ეკუთვნის ნათესაობით ქართველებსა“;

* „კაპადოკიაში ოდესღაც მართლა ქართველები მკვიდრებულან და ეს ქვეყანა ჰკუთვნებიათ, ამას იგი გარემოებაც ამტკიცებს, რომ დღესაც იმ ადგილებს, მდინარეებს და მთებს, საცა კაბადოკია იყო, ქართული სახელები შერჩენიათ“;

* „ხეტტების და ქართველების ნათესაობას, ერთთესლობას ამტკიცებს მასპეროც, რომელიც ამბობს, რომ ხეტტელნი ნათესავები იყვნენ ტაბალებისა, მუშკებისა, რომელნიც თუბალებად, მოსხებად ცნობილნი არიან და თუბალნი და მოსხნი (მესხნი) ხომ ქართველის მოდგმის ხალხებად მიჩნეულია მეცნიერთაგან“;

* „კაბადოკიაში ქართველნი ყოფილან მკვიდრმოსახლენი. წმინდა მამანი — იოანე ზედაზნელი და მისნი თორმეტი მოწაფენი, რომელნიც მოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის დანერგვისა და გამტკიცებისათვის, კაბადოკიელნი ქართველები იყვნენ“;

* „წმინდა გიორგის ნათესავი იყო მოციქულთ-სწორი წმინდა ნინო, აგრეთვე, კაბადოკიელი, მაშასადამე, მცოდნე ქართულის ენისა“;

* „ამისთანა დიდად შესანიშნავს, ლამის ჩვენს ნათესავს ერზე, როგორც ხეტტელნი ყოფილან, არა თქმულა-რა ჩვენს ლიტერატურაში ჯერ აქამომდე“;

* „ხეტტელნი, ანუ როგორც ზოგნი ეძახიან გიტნი, დიდი ღვაწლმოსილი ერი ყოფილა, დიდის კულტურის მექონი და რიცხვმრავალი“;

* „ინგლისის მეცნიერი რ. ანდერსონი ამბობს, რომ ევროპის ცივილიზაციის სათავე ხეტტების, იგივე გიტების ცივილიზაციაა, და ევროპა მადლობელი უნდა იყოს ხეტტებისა, რადგანაც დასაბამი საბერძნეთის კულტურისა ხეტტელებისაგან არის მიღებული“...

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲚᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ᲒᲐᲠᲧᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲐᲐᲡᲮᲓᲜᲔᲜ

**საბერძნეთის სასამართლომ წლეულს, იანვრის ბოლოს განაჩენი გამოუტანა ელადის ოფიციალური საეპისკოპოსოს ცნობილ არქიელს, რომელმაც გაბედა და გააკრიტიკა ჰომოსექსუალები.**

კალავრიტელ და ეგალიელ მიტროპოლიტ **ამბროსის (ლენისი)** მიუსაჯეს შვიდი თვით პატიმრობა სამი წლით სასჯელის მოხდის გადავადებით.

2015 წელს მიტროპოლიტმა ამბროსიმ, რომელიც ცნობილი იყო კონსერვატიული მოსაზრებებით, თავის ბლოგში განათავსა ჰომოსექსუალებისთვის „მიფურთხების" მოწოდება და დასძინა: „ისინი არაადამიანები არიან, ბუნების მტარვალები!"

სამხრეთ საბერძნეთის ეგიოს სასამართლომ 80 წლის მიტროპოლიტი დამნაშავედ ცნო მტრობის გაღვივებასა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში. ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ღვთისმსახური გამართლდა, ზემდგომმა სასამართლომ გააუქმა.



## ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲐ

**ევროპა ყველას ასწავლის, როგორ უნდა იცხოვრონ და თავის პრაქტიკას ეტალონად აცხადებს ყველა დარგსა და მიმართულებაში, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა თუ ადამიანის უფლებების დაცვა — უმეტესად, სხვადასხვა ჯურის სექსუალური გადახრების მქონე ადამიანებისა.** შეხედეთ, სადამდე დაეცნენ და რა იკადრეს თანამედროვე ცრულიბერალებმა:

ფოტოსურათზე აღბეჭდილია სამხედროების ახალი ტანსაცმლის რეკომენდებული მოდელები.

ღმერთო, დაგვიფარე!

## ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲣᲥᲐᲠᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ

**ნიუ-იორკში 21 წლის ტურისტ ქალიშვილს მოძალადე პირველსავე პაემანზე დანით დაემუქრა და სექსკონტაქტი მოსთხოვა, — იუწყება New York Post.**

მათ ერთმანეთი ინტერნეტით გაიცნეს და შეთანხმდნენ ბრუკლინის ერთ-ერთ სასტუმროში შეხვედრაზე, სადაც ქალიშვილი კალიფორნიიდან ჩამოვიდოდა. ბოლო მომენტში ყმაწვილმა გადათქვა — სასტუმროს ჰოლში ყოველთვის ბევრი ხალხია და გამიჭირდება შენი ამოცნობაო. ქალიშვილმა მასპინძელი სასტუმროს თავის ნომერში მიიწვია.

ნომერში მარტონი რომ აღმოჩნდნენ, ახალგაზრდა კაცმა დანა ყელზე მიადო, გაშიშვლება უბრძანა და აბაზანისკენ წაათრია. ქალიშვილმა მოახერხა ხელიდან დასხლტომოდა, გამოვარდა ჰოლში და საშველად უხმო იქ მყოფთ.

მოძალადემ გაქცევით თავს უშველა. პოლიციამ მისი მონაცემები გამოაქვეყნა. ძებნა გრძელდება. პოლიცია აფრთხილებს მოქალაქეებს, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ ონლაინშეხვედრების დროს.

# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

## ᲒᲐᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲡ, ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ ᲐᲥᲜᲔᲡ

**აშშ-ში გარყვნილმა ცოლ-ქმარმა მხეცურად გააუპატიურა ნაშვილები 14 წლის გოგონა — გრეის პეკერი. ეს მოხდა 2016 წლის ოქტომბერში ქალაქ რიჩლანდ თაუნშჩიფში (პენსილვანიის შტატი), — იუწყება ბრიტანული ტაბლოიდი The Sun. სისხლის სამართლის საქმემ კი მხოლოდ ახლახან მიაღწია სასამართლომდე, რომელიც ამჟამად ფილადელფიაში განიხილავს ამ არაადამიანურ დანაშაულს.**



46 წლის **იაკობ სალივანმა** აღიარა, რომ ნაშვილები გოგონას გაუპატიურება მისი ძველი და „უცნაური სექსუალური ფანტაზიის" შედეგი იყო, რომელიც თავის ცოლს, 44 წლის **სარა პეკერს,** გაანდო. ამ უკანასკნელმა არათუ ხელი არ აალებინა ჩანაფიქრის განხორციელებაზე, არამედ მოისურვა, თავად მიეღო მონაწილეობა ძალადობრივ აქტში.

გამოძიებამ დაადგინა მომხდარის დეტალური სურათი. ერთ საღამოს წყვილი შეიჭრა გოგონას საწოლ ოთახში, შემოახია პიჟამა. სალივანი ეცა გოგონას და დაკბინა, შემდეგ გააუპატიურა. მისი ცოლი ამ საზიზღრობას შეჰყურებდა და მასტურბირებდა. ბოლოს გოგონა გაკოჭეს და სხვენში შეაგდეს. მეორე დღეს კაცი ავიდა სხვენში და დაახრჩო უმწეო ბავშვი. სხეული აქნეს და ტყეში გადააგდეს. ამ უბედურების კვალი მონადირეებმა შემთხვევით იპოვეს.

ცოლ-ქმარი მალევე დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს. გაირკვა, რომ ამ ტრაგედიის თავიდან აცილება შეიძლებოდა: გრეისი მანამდე უკვე გაუპატიურებული ჰყავდა სარას პირველ ქმარს, სახელად **დევიდს.** მოძალადე ციხეში ჩასვეს. ცოლმა პასუხი არ აგო, რადგან ვერ დაუმტკიცეს, რომ დანაშაულში მონაწილეობდა. ამ ფაქტიდან შესაბამის სამსახურებს საჭირო დასკვნა რომ გამოეტანათ და განეხორციელებინათ პროფილაქტიკური ღონისძიებები, ბავშვის სიცოცხლე გადარჩებოდა.

სასამართლო განხილვა გრძელდება. იაკობ სალივანს და სარა პეკერს სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

## ᲡᲔᲠᲑᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲚᲔᲡᲑᲝᲡᲣᲠ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ

**სერბეთის პრემიერმინისტრ ანა ბრნაბიჩს და მის პარტნიორ ქალ მილიცა ჯურიჩს, რომლებიც არაოფიციალურად არიან დაქორწინებული, ბიჭი შეეძინათ.**



43 წლის **ანა ბრნაბიჩმა** პრემიერის სავარძელი 2017 წლის ივნისში მოირგო. იგი თავისი ქვეყნის პირველი „ქალი" პრემიერმინისტრი გახდა. ამასთანავე, არის პირველი ლგბტ-აქტივისტი, რომელმაც ბალკანეთის ქვეყნებში ასეთი მაღალი თანამდებობა დაიკავა.

იუწყებიან, რომ დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ბიჭს **იგორი** დაარქვეს. **მილიცა ჯურიჩი** ხელოვნური განაყოფიერებით დაორსულდა. ლგბტ-თემის ნამუსდაკარგულმა აქტივისტებმა „ოჯახს" შვილის შეძენა მიულოცეს. ამასთანავე, თავიანთი უფლებების გაფართოების პრეტენზიებიც წაუყენეს მათნაირი „ჯიშისა" და „ჯილაგის" პრემიერს.

მამათმავლების კრიტიკას ბრნაბიჩმა უპასუხა, რომ მათი პრეტენზიების დაკმაყოფილებას შეუდგება მას შემდეგ, როცა სერბეთის საზოგადოების წინაშე მდგარ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს მოაგვარებს, როგორიცაა ინფლაციის დონის დაწევა, პენსიების გაზრდა და ცხოვრების საერთო დონის გაუმჯობესება, მაგრამ ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ შეკითხვაზე პასუხს თავი აარიდა.

## ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲡ ᲒᲔᲘᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲘ

**ჯერჯერობით მხოლოდ ქალაქ თიბეში. 29 იანვარს აქ გაიმართა სპეციალური სერთიფიკატების გადაცემის ცერემონია, რომლებიც (სერთიფიკატები) უდასტურებს ოფიციალურად დაუქორწინებელ წყვილებს მათი კავშირის კანონიერებას. იგივე დაუდასტურეს არატრადიციულ სექსუალურ წყვილებს.**



ქალაქის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ ეს სისტემა, რომელიც მათ დანერგეს და იაპონიაში პირველია, გეიწყვილებს უკანონებს იმავე უფლებებსა და შეღავათებს, რომლებიც ტრადიციულ ოჯახებს აქვთ. კერძოდ, მათ შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი სახელმწიფოს მიერ ბინით დაკმაყოფილებაზე, მიიღონ შეღავათები საავადმყოფოში მკურნალობაზე. ამ და სხვა შეღავათების მისაღებად განმცხადებლები გარკვეულ მოთხოვნებს უნდა უპასუხებდნენ — იყვნენ 20 წლის, ცხოვრობდნენ ან აპირებდნენ თიბეში დასახლებას. თიბე ტოკიოს ცენტრს 40 კილომეტრითაა დაშორებული. ერთი და იმავე სქესის პირთა შორის დაქორწინებას ოფიციალურს გახდიან ტოკიოს სიბუისა და სუტაგას რაიონებშიც, ასევე, საპოროში, ფუკუოკესა და ოსაკაში.

ნიშანდობლივია, რომ ერთი და იმავე სქესის პირთა შეუღლება იაპონიაში ოფიციალურად აკრძალულია.

## სადაც შევიდა აშშ, ე.ი., ნატო, ყველგან შეიტანა ნგრევა და უბედურება. დიდმა გალაკტიონმა თითქოს მათზე დაწერა: „...უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები...“ იქნებ გაიხსენონ სხვისი ფეხის ხმას აყოლილმა სუბიექტებმა, რა გააკეთა თქვენმა ნაქებმა სამხედრო ბლოკმა 1999 წლის აღდგომა დღეს ბელგრადში?

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თურაშაულის პატრონი,
ტყეში ეძებდა პანტასო“

*ხალხური*

# «საით მივდივართ და რა გვინდა?! ვის ვეტმასნებით და რატომ?!»

**ეს წერილი პირველად დაიწერა 2015 წლის 9 აპრილს და განაპირობა ბატონ გოგი თოფაძის მიერ გაკეთებულმა დროულმა და საქმიანმა განცხადებამ ე.წ. ნატოს შესახებ. წერილში მან სამართლიანად აღნიშნა ყველა ჭეშმარიტი ქართველის (დიდი უმრავლესობის) და არა მხოლოდ ქართველის ხვაშიადი. მინდა ვკითხო (მერამდენედ!) ამ უგზო-უკვლოდ „განათლებულებს“: იციან თუ არა, როდის და რატომ შეიქმნა ნატო?**




ნატო შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს აშშ-ისა და კაპიტალისტური სამყაროს სხვა წარმომადგენლების — დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვების მეცადინეობით (70 წლის იუბილე ხომ არ გადაგვეხადა, მათ მიერ მსოფლიოსთვის გაწეული „ღვაწლისთვის“?). მისი შექმნის მიზანს წარმოადგენდა ბრძოლა სოციალისტური ბანაკისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. სოციალისტური ბანაკი აღარ არსებობს. დარჩა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ხმალამოღებული ებრძოდა და ებრძვის მასონური კაპიტალიზმი აშშ-ის „თამადობით“. **სადაც შევიდა აშშ, ე.ი., ნატო, ყველგან შეიტანა ნგრევა და უბედურება. დიდმა გალაკტიონმა თითქოს მათზე დაწერა: „...უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები...“ იქნებ გაიხსენონ სხვისი ფეხის ხმას აყოლილმა სუბიექტებმა, რა გააკეთა თქვენმა ნაქებმა სამხედრო ბლოკმა 1999 წლის აღდგომა დღეს ბელგრადში?** იქნებ ჩაიხედონ შესაბამის ლიტერატურაში, სადაც შავით თეთრზე წერია, როგორ მიიღო 1990 წლის 28 ოქტომბერს კანონიერად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** ხელმძღვანელობით დადგენილება, რომ საქართველო არ შევა არც ერთ სამხედრო ბლოკში. შედეგად რა მივიღეთ? კანონიერი ხელისუფლება დაამხეს ანტიქართველებისა და მათი დამქაშების — **შევარდნაძისა** და მისი ბანდის ხელით, რომელმაც უგულებელყო ყველა კანონიერი დადგენილება და დაიწყო საზღვარგარეთელი პატრონების დაკრულზე ცეკვა. ამ ანტიქართველებსა და ანტიმართლმადიდებლებს ჩაენაცვლა უფრო უარესი. „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“ და აკი აჯობა კიდეც — ქვეყნის სათავეში მოვიდნენ უწიგნური სუბიექტები. მათ წინ მიუძღოდათ პროფესორ(?) **გიული ალასანიას** მცირედ განათლებული პირმშო, რომელსაც თურმე საშუალო სკოლა ოქროს მედალზე ჰქონია დამთავრებული. არადა, ამ ტიპმა საერთოდ არ იცის საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა, სამაგიეროდ კარგად ერკვევა უცხოელი პატრონების ჟესტიკულაციაში. ერთ დროს უაღრესად განათლებული საქართველო დაიყვანეს მსოფლიოში ყველაზე დაქცეული ქვეყნის დონეზე. გაანადგურეს განათლება, ჯანდაცვის სისტემა, ორ შაურად გაყიდეს ხალხის კუთვნილი ქონება, ხალხი დახოცეს თუ ქუჩებში (აკადემიკოსი **გურამ შარაძე**), თუ ციხეებში. თავიანთი პარპაშის პერიოდში გაყიდულ საყდრისს ახლა გამოუჩნდნენ ეს ნაცისტები გულდათუთულ დამცველებად... ეს ყოველივე იმის ბრალია, რომ პასუხი არ მოვთხოვეთ ჩადენილის გამო.

2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის თანადგომითა და მხარდაჭერით, „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვება, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ მოვუარეთ.

**სასწრაფოდ დაიწყეთ ურთიერთობის მოგვარება რუსეთთან. ამ სახელმწიფოსთან ჩვენი ურთიერთობის აღდგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რუსეთთან დაშორებამ გამოიწვია ის, რომ ანაკლიაში უკვე იწყება ნატოს სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა, რომლის კატეგორიული წინააღმდეგია საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. თუ ჩემი არ გჯერათ, ჩაატარეთ რეფერენდუმი და დარწმუნდებით**

საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ნაცები (ძველები და ახლები) ისევ ყელყელაობენ, ისევ არ მიაჩნიათ ცა ქუდად და დედამიწა — ქალამნად!

მინდა, ვუთხრა ბატონ ბიძინას: **საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერით, მადლი რომ ქენით, ბარემ მარილიც მოგეყარათ და ხალხისადმი მიცემული პირობების ნაწილი მაინც შეგესრულებინათ, გაგეთავისუფლებინათ ქვეყანა ამ მეტასტაზებისგან.**

მოგიწოდებთ და მოვითხოვ (ალბათ, მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სახელით), ჩატარდეს საერთო-სახალხო რეფერენდუმი და დაისვას კითხვები — ხართ თუ არა თანახმა, საქართველო შევიდეს:

**1. ნატოში**
**2. ევროკავშირში**
**3. ევრაზიულ კავშირში**

სასწრაფოდ დაიწყეთ ურთიერთობის მოგვარება რუსეთთან. ამ სახელმწიფოსთან ჩვენი ურთიერთობის აღდგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რუსეთთან დაშორებამ გამოიწვია ის, რომ ანაკლიაში უკვე იწყება ნატოს სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა, რომლის კატეგორიული წინააღმდეგია საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. თუ ჩემი არ გჯერათ, ჩაატარეთ რეფერენდუმი და დარწმუნდებით. მე, როგორც ერთ-ერთი თქვენი ამომრჩეველი (ალბათ, ბევრი გაიზიარებს ჩემს აზრს), მოგიწოდებთ, სასწრაფოდ აღადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან, რადგან მასთან მეგობრულ და მით უმეტეს მეზობლურ ურთიერთობას ბევრი ჩვენზე დიდი და ძლიერი სახელმწიფო ესწრაფვის. არაფერში გვარგია „ნაცისტების ფეხის ხმას აყოლა. კარგად დავინახეთ მათი „ნაღვაწი“. დრო აღარ ითმენს. ახლოვდება ავადსახსენებელი „ყარსის ხელშეკრულების“ ვადის ამოწურვის თარიღი.

მეზობლებთან ურთიერთობის აღდგენაზე მოგახსენებდით. ჩვენ, ქართველებს, მეზობლებთან ურთიერთობა არ გვესწავლება, ვინაიდან კავკასიაში ქართველები ყოველთვის ვიყავით სასურველი და ჭკუის საკითხავი მეზობლები.

დროა, საქართველო გათავისუფლდეს სხვა ქვეყნების დიქტატისგან. აი მერე ნამდვილად გექნებათ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთების საშუალება. დროა, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს. ამის შემდეგ წელგამართულმა ყველას — შინაურსაც და გარეულსაც, ქართველ ხალხთან ერთად გაეცით საკადრისი პასუხი, დამსახურების მიხედვით. მოსაფერებელს მოეფერეთ, დასატუქსი დატუქსეთ, მოსაკვეთი მოჰკვეთეთ, დასაჭერი დაიჭირეთ!

წინ, მხოლოდ ილიას, ზვიადისა და მერაბის გზით, სხვაგვარად საქართველოს გადარჩენა არ უწერია!

გვფარავდეს მამაზეციერი და დედა ღვთისმშობელი, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

**კეთილი სურვილებით, ორი დაღუპული მებრძოლის მამა,**

**ანზორ დანელია**

# «არანაირი კომპრომისი არ იქნება, როცა საქმე მიგრაციასა და ქრისტიანული კულტურის დაცვას ეხება»



**უნგრეთის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ ევროპის სახალხო პარტიაში უნგრეთის ხელისუფლების პარტია ფიდესს უტევენ მიგრაციის მხარდამჭერი ძალები, რომლებსაც ევროპის სახალხო პარტიის ორგანიზაციად გადაქცევა სურთ მაშინ, როცა უნგრეთის მთავრობას მიგრაციის შეჩერება სურს.**

„არანაირი კომპრომისი არ იქნება, როცა საქმე მიგრაციას და ქრისტიანული კულტურის დაცვას ეხება“, — განაცხადა ორბანმა.

# ანგელა მერკელმა მაიკ პენსს უარი განუცხადა ქერჩის სრუტეში გერმანიის სამხედრო გემების გაგზავნაზე

**გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თებერვალში უარი განუცხადა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსს ქერჩის სრუტეში გერმანიის სამხედრო გემების გაგზავნაზე, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „ბლუმბერგი“.**

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, 16 თებერვალს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე მაიკ პენსმა ანგელა მერკელს შესთავაზა სამხედრო გემები გაეგზავნა ქერჩის სრუტეს გავლით. როგორც „ბლუმბერგი“ აღნიშნავს, გერმანიის კანცლერმა უარი თქვა მაიკ პენსის ამ შეთავაზებაზე. აღნიშნული ინიციატივა, აგრეთვე, არ გაიზიარა საფრანგეთის ხელმძღვანელობამ.

**ანგელა მერკელი შეშფოთებული იყო მაიკ პენსის განცხადებებით, რომელიც ცდილობდა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები დაერწმუნებინა, რომ უარი ეთქვათ „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის მშენებლობაზე.**

Bloomberg



ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კაფსულიანი მძლავრი რევოლვერი — კლინტ ისტვუდის საყვარელი იარაღი, შექმნეს გამომგონებელმა სემუელ კოლტმა და ამერიკელი რეინჯერების მეთაურმა სემუელ უოლკერმა. თავდაპირველად, შეიქმნა არმიისთვის, სახელდობრ — კავალერიისთვის, მაგრამ სამხედრო ნაწილებში ამ იარაღმა ფეხი ვერ მოიკიდა. ამ იარაღის ორიგინალური ნიმუში სულ რამდენიმე ცალია შემორჩენილი. ბოლო აუქციონზე გაიყიდა 900 ათას დოლარად.

# 10 ძვირად ღირებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომლებიც ცნობილ ადამიანებს ეკუთვნოდათ

ადამიანებმა შექმნეს ცეცხლსასროლი იარაღის ბევრი საინტერესო ნიმუში, რომლებიც ისტორიაში ტექნიკური ინოვაციების წყალობით შევიდნენ. ასეთ იარაღს ძალიან აფასებენ კოლექციონერები, თუმცა იარაღს განძის სტატუსი ენიჭება, თუ მისგან რაღაც ნიშანდობლივი გაკეთდა.



## 1. უაიეტ ერპის კოლტი 45

უაიეტ ერპი ველური დასავლეთისდროინდელი ამერიკელი კრიმინალი და შულერია, რომელმაც პოპულარობა მოიხვეჭა ვესტერნის ჟანრის ფილმებითა და წიგნებით. სახელი გაითქვა ქალაქ ტომბსტოუნში ატეხილი სროლების წყალობით. ამ მოვლენაზე გაცილებით მეტი ფილმია გადაღებული, ვიდრე ვატერლოოს ბრძოლაზე, ერპის რევოლვერი ბოლოს 225 ათას დოლარად გაიყიდა.



## 2. რობერტ ფორდის სმიტ-ვესონის რევოლვერი

ამ რევოლვერით მოკლეს ველური დასავლეთის ლეგენდარული მძარცველი და ყაჩაღი, უზნეო **ჯესი ჯეიმსი.** ბანდიტს ზურგში ესროლა მისმა პროტეჟე რობერტ ფორდმა, რომელიც სინამდვილეში სამართალდამცველი იყო. ეს იარაღი ჯერი ჯეიმსმა თავის მკვლელს თვითონ აჩუქა შერიგების ნიშნად. რევოლვერი 30 ათას დოლარად გაიყიდა.



## 3. ბონისა და კლაიდის კოლტები

ეს რევოლვერი და პისტოლეტი ეკუთვნოდა დიდი დეპრესიის პერიოდის ამერიკელი მძარცველების ყველაზე ცნობილ დუეტს — **ბონი პარკერსა** და **კლაიდ ბეროუს.** ცნობილი მძარცველების იარაღები დღეს ანონიმური მყიდველის კოლექციაში ინახება, მან ამ იარაღებში ნახევარ მლნ-ზე მეტი გადაიხადა.



## 4. ჰენრის შაშხანა

ეს იარაღი ფასობს არა მისი იშვიათობის, არამედ მნიშვნელობის გამო. ჰენრის შაშხანა აშშ-ში სამოქალაქო ომის დაწყებამდე 1 წლით ადრე გამოიგონეს და მან ნამდვილი გადატრიალება მოახდინა საიარაღო საქმეში კონსტრუქტორული ინოვაციებით. სულ დაამზადეს 14 ათასი ასეთი შაშხანა. დღეს ეს იარაღი მრავალი კოლექციონერის ოცნების საგანია. სხვათა შორის, ომის შემდეგ სწორედ ჰენრის შაშხანა დაედო საფუძვლად ცნობილ „ვინჩესტერ რაიფს“.



## 5. თეოდორ რუზველტის თოფი

აშშ-ის პრეზიდენტის ორლულიანი თოფის ხელში ჩაგდება დღეს ბევრ კოლექციონერს სურს. ამ თოფით პრეზიდენტი აფრიკაში იმყოფებოდა პოსტიდან გადადგომის შემდეგ. ზოგიერთი მონაცემით, ამ იარაღიდან გასროლით მოკლულია 13 ათასამდე ნადირი.



## 6. უოლკერის კოლტი

კაფსულიანი მძლავრი რევოლვერი — **კლინტ ისტვუდის** საყვარელი იარაღი, შექმნეს გამომგონებელმა **სემუელ კოლტმა** და ამერიკელი რეინჯერების მეთაურმა **სემუელ უოლკერმა**. თავდაპირველად, შეიქმნა არმიისთვის, სახელდობრ — კავალერიისთვის, მაგრამ სამხედრო ნაწილებში ამ იარაღმა ფეხი ვერ მოიკიდა. ამ იარაღის ორიგინალური ნიმუში სულ რამდენიმე ცალია შემორჩენილი. ბოლო აუქციონზე გაიყიდა 900 ათას დოლარად.



## 7. „შანსების დიადი გამთანაბრებელი“

სწორედ ასე უწოდებენ 1836 წელს გამოშვებულ კოლტს. ამ იარაღს აქვს სხვა სახელიც — „ველური დასავლეთის დამპყრობელი“. იარაღი აღსანიშნავია იმით, რომ საიარაღო საქმის ისტორიაში პირველი კაფსულიანი აალების რევოლვერია. ძალიან პოპულარული იყო ტეხასელ რეინჯერებს შორის.





## 8. სიმონ ბოლივარის კაჟიანი პისტოლეტები

ეს პისტოლეტები ეკუთვნოდა ადამიანს, რომელიც იბრძოდა ეკვადორის, ბოლივიის, ვენესუელის, კოლუმბიისა და პანამის გასათავისუფლებლად ესპანეთის სამეფოსგან. ის გახლავთ ლათინური ამერიკის დამფუძნებელ **სიმონ ბოლივარი**. ეს კაჟიანი პისტოლეტები აუქციონზე 1,6 მლნ დოლარად გაიყიდა.




## 9. ვაშინგტონის კაჟიანი პისტოლეტები

ამ ორ პისტოლეტს, რომლებიც ეკუთვნოდა დიდი ბრიტანეთისგან ამერიკის შეერთებული შტატების გათავისუფლებისთვის მებრძოლ **ჯორჯ ვაშინგტონს,** ბევრი მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვან იარაღ არტეფაქტად ამერიკის ისტორიაში. პისტოლეტები 2 მლნ დოლარი ღირს.



## 10. Carcano M1891

გამოძიების მონაცემებით, სწორედ ამ იარაღიდან ისროდა აშშ-ის პრეზიდენტ **ჯონ კენედის** მკვლელობაში ერთადერთი ეჭვმიტანილი **ლი ჰარვი ოსვალდი** ამერიკისთვის იმ საბედისწერო დღეს — 1963 წლის 22 ნოემბერს. მიუხედავად იმისა, რომ ოსვალდის ცოლმა შაშხანაზე ყველა უფლება კერძო კოლექციონერს დაუთმო, აშშ-ის ხელისუფლებამ მესამე პირს არ გადასცა მნიშვნელოვანი სამხილი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1974 წელს სტამბოლში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლევანმა 3 წამში დაამარცხა შვეიცარიელი რაფაელ მარტინეტი — მოგვიანებით ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) პრეზიდენტი. ერთი წლით ადრე კი, 1973 წელს, ლევან თედიაშვილმა თეირანში ჯერ თავისუფალ ჭიდაობაში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა, სამი დღის შემდეგ კი იქვე, თეირანში, სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატშიც გაიმარჯვა.**

# ლევან თედიაშვილი — ლეგენდარული ქართველი მოჭიდავე

## კარიერის განმავლობაში ლევან თედიაშვილმა 700-მდე ოფიციალური შეხვედრა გამართა, მათგან ნახევარზე მეტი წმინდად მოიგო და მხოლოდ 2-ჯერ დამარცხდა

**15 მარტს დაბადებიდან 71 წელი შეუსრულდება ქართული სპორტის ლეგენდას, ორგზის ოლიმპიურ და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონს თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, აგრეთვე, მსოფლიოს ჩემპიონს სამბოში — ლევან თედიაშვილს.**

ლევან თედიაშვილის მამა — ქიტესა დიდი სამამულო ომის პერიოდში ქერჩში დაიჭრა. ჰოსპიტალში ყოფნისას გაიცნო მომვლელი რუსი გოგონა **ალექსანდრა (შურა) გრიკალოვა,** რომელიც ომის დასრულების შემდეგ საქართველოში ჩამოიყვანა და მასზე იქორწინა. წყვილს 1948 წლის 15 მარტს შეეძინათ ლევანი.

მომავალმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჭიდაობა სოფლის ნახერხმოყრილ სარბიელზე ისწავლა. 14 წლის ლევანმა საგარეჯოელი მწვრთნელის, **ვალერიან მეკოკიშვილის,** ყურადღება მიიპყრო და მწვრთნელმა ის თავისუფალი ჭიდაობის სექციაში ჩაწერა. სოფელ კაკაბეთში გამართული ერთ-ერთი შეჯიბრების მიმდინარეობისას ცნობილმა ქართველმა მოჭიდავემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა **არსენ მეკოკიშვილმა** მეორე ცნობილ ქართველ ფალავანს, პირველ ქართველ მსოფლიო ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში — ვახტანგ ბალავაძეს უთხრა ლევან თედიაშვილზე, რომ იმ ბალღის ორთაბრძოლებს დაჰკვირვებოდა. „ჭიდაობის პროფესორიც" დააკვირდა ლევანის ჭიდაობას და... ნიჭიერი ყმაწვილი თბილისში წაიყვანა, თავისთან დააბინავა და საერთაშორისო სარბიელზე გზის გაკვალვაშიც დაეხმარა.

1968-69 წლებში ლევან თედიაშვილმა ორჯერ ზედიზედ მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის; 1970 წელს ბერლინში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა, მაგრამ მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდა. ერთი წლის შემდეგ კი ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. **სულ კი კარიერის განმავლობაში ლევან თედიაშვილმა 700-მდე ოფიციალური შეხვედრა გამართა, მათგან ნახევარზე მეტი წმინდად მოიგო და მხოლოდ 2-ჯერ დამარცხდა. ლევან თედიაშვილს რამდენიმე რეკორდი ეკუთვნის:**



* 1974 წელს სტამბოლში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლევანმა 3 წამში დაამარცხა შვეიცარიელი **რაფაელ მარტინეტი** — მოგვიანებით ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) პრეზიდენტი. ერთი წლით ადრე კი, 1973 წელს, ლევან თედიაშვილმა თეირანში ჯერ თავისუფალ ჭიდაობაში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა, სამი დღის შემდეგ კი იქვე, თეირანში, სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატშიც გაიმარჯვა (საბჭოთა კავშირის სამბისტთა ნაკრების წევრი ავად გახდა და მწვრთნელებმა უკვე მსოფლიოს ჩემპიონ ლევან თედიაშვილს სთხოვეს სამბოშიც ეასპარეზა);

* ლევან თედიაშვილი მსოფლიოში ერთადერთი მოჭიდავეა, რომელმაც სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში (82, 90 და 100) მოიპოვა უმაღლესი სპორტული ტიტული.

1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე ლევან თედიაშვილი ექვს მეტოქეს შეხვდა და ყველას იოლად გაუმკლავდა, მათ შორის მთავარ კონკურენტებს — გერმანელ **პიტერ ნოიმაიერს,** რუმინელ **ვასილე იორგას,** ამერიკელ **ჯონ პეტერსონს** და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. შემდეგ იყო მსოფლიოს ჩემპიონის ახალი ტიტულები და მონრეალის 1976 წლის ოლიმპიადა, რომელიც ლევანმა ბრწყინვალედ მოიგო — ის ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ დაასახელეს, აღსანიშნავია, რომ ფინალურ შეხვედრაში თედიაშვილმა 5 ქულით მოუგო მიუნხენში დამარცხებულ ჯონ პეტერსონის უმცროს ძმას — **ბენ პეტერსონს.**

ბევრი დაწერილა ლევან თედიაშვილის ვაჟკაცურ საქციელზე ირანის დედაქალაქ თეირანში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე: როდესაც ბეჭებზე გააკრა შაჰის, **რეზა ფეჰლევის** რჩეული ფალავანი, ლევანმა გამარჯვებულის პრივილეგიით ისარგებლა და შაჰს ირანელი მოჭიდავის, „მაზანდარანელ ვეფხვად" წოდებული **ალი ჰაბიბის** ციხიდან გათავისუფლება სთხოვა. შაჰმა დააკმაყოფილა ლევან თედიაშვილის თხოვნა და გაათავისუფლა ჰაბიბი, რომელსაც 35 წელი ჰქონდა მისჯილი ხელისუფლებასთან დაპირისპირების გამო.

ბევრისთვის ცნობილია, როგორ გაჰყვა ლევან თედიაშვილი აფხაზეთში მოხალისედ თავის ვაჟს, ვახტანგს, და როგორ ჩააკვდა მამას შვილი ხელში. ბევრმა იცის, როგორი იყო ლევან თედიაშვილი, როგორც მამა და მეუღლე, როგორც სპორტსმენი, კახეთის გუბერნატორი, საქართველოს პარლამენტის წევრი, კინომსახიობი.

ლევან თედიაშვილმა მთელი ეპოქა შექმნა ჭიდაობაში. ის 2008 წლიდან ფილას დიდების დარბაზის წევრია. სახელოვანი ფალავანი დაჯილდოებულია მრავალი ორდენით, მათ შორის: ოლიმპიური ორდენით, ვახტანგ გორგასლის, ღირსების და სხვ.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**








ლევან თედიაშვილი და ვახტანგ ბალავაძე

**მიღწევები:**

*** 1972 და 1976 წლების ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში;**
*** მსოფლიოს ჩემპიონი 1971, 1973-75 და 1978 წლებში;**
*** ევროპის ჩემპიონი 1974, 1976 და 1978 წლებში;**
*** მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში 1973 წელს;**
*** მსოფლიოს თასის მფლობელი 1973 წელს;**
*** შეასრულა გოგიას როლი ფილმში „ხარება და გოგია".**





კადრი ფილმიდან „ხარება და გოგია".
ხარება — ომარ ფხაკაძე, გოგია — ლევან თედიაშვილი

# ჩემო ნოდარ!

**უდიდესი სიამოვნებით წავიკითხე შენი შესანიშნავი წიგნი „ოქროს აკვანი მოწამეთაში“. როგორი დიდი სიყვარულითა და არაჩვეულებრივი გულწრფელობით წერ მშობლებზე, შვილებსა და შვილიშვილებზე, ლერიზე, მეგობრებზე, ყოფილ შენს ხელმძღვანელებსა და უმაღლესი თანამდებობის პირებზე.**



განსაკუთრებული სითბოთი იხსენებ ერთგულ მეუღლეს — ქალბატონ გალიასა და მის გარემოცვას — ხელოვნების მოღვაწეთა გასაოცარ გალერეასა და სახელოვან ისტორიულ პიროვნებათა დაუვიწყარ სახეებს.

რაც მთავარია, ეს ქმნილება მიუძღვენი ძვირფასი მეუღლის ხსოვნას. ძლიერი და წარმატებული მამაკაცის გვერდით ყოველთვის ჭკვიანი და ინტელექტუალი ქალი დგას.

ეს დიდებული ნაშრომი განა მარტო შენი მრავალრიცხოვანი და მშვენიერი შთამომავლებისთვის შექმენი, არამედ მთელი ერისთვის.

აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი დაიწერა 90 წლის მხცოვან ასაკში. შენ ყოველთვის გქონდა და საოცრებაა, რომ ხანდაზმულობაშიც შეინარჩუნე ბრწყინვალე, გასაოცარი და შესაშური მეხსიერება. ამ თვალსაზრისით შეგადარებ მხოლოდ გოეთეს, რომელმაც ამავე ასაკში შექმნა „ფაუსტი“.

ვკითხულობ შენს ნაშრომს და მიპყრობს საოცარი გრძნობა და აღფრთოვანება, როგორ შეეძლო ერთი ადამიანის ნიჭსა და გონიერებას შემოენახა ზღვა მასალა, განსხვავებულ მოვლენათა და გარემოებათა უბადლო თანამიმდევრული თხრობისა ასეთი წარმოუდგენელი სიზუსტით.

ეს მხოლოდ ღვთით მომადლებულ უნიჭიერეს ადამიანთა ხვედრია.

ჩემო ნოდარ, მე, ბელა და მთელი ჩემი ოჯახი გულითად მადლობასა და სიყვარულს გამოვხატავთ შენდამი, წიგნში აღწერილი იმ თბილი და კეთილი მოგონებების გამო, რამაც ჩვენი ოჯახები ნათელმირონობით დააკავშირა გონიერი და შორსმჭვრეტელი ქალბატონი გალიას ინიციატივითა და მონდომებით.

ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილს 90 წელი შეუსრულდა.

მან განვლო რთული, მაგრამ უაღრესად საინტერესო ცხოვრების გზა. უკრაინაში 22 წელი წარმატებით იღვაწა. სსკპ XXIV ყრილობაზე ის იყო ერთადერთი ქართველი დელეგატი უკრაინიდან.

წარმატებული იყო, როგორც საქართველოს მშენებლობის მინისტრის, ასევე საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილის თანამდებობებზე. ის გახლდათ შესანიშნავი დიპლომატი, ჯერ საბჭოთა საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში, შემდეგ კი დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი რუსეთში.

ნოდარ ბატონო, გილოცავ 90 წლის ღირსშესანიშნავ იუბილეს.

ღმერთო, უმრავლე ჩემს სამშობლოს ნოდარ მეძმარიაშვილის სადარი ღირსეული პიროვნებები და ჭეშმარიტი მამულიშვილები.

**უღრმესი პატივისცემით,**

**ომარ მარგველაშვილი**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტები სულითა და გულით ვულოცავთ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწესა და მამულიშვილს — ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილს ღირსშესანიშნავ იუბილეს, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ მრავალჟამიერ!**

**პატივისცემით,**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტები**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22




# «ტესლა» ელექტრომობილებს აძვირებს

**კომპანია „ტესლა“ თავის ელექტრომანქანებზე ფასს ზრდის. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ილონ მასკმა რამდენიმე საცალო მაღაზიის დახურვის შესახებ განაცხადა.**

კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ფასის 3%-იანი ზრდა Model 3-ს არ შეეხება. მარტის დასაწყისში ტესლამ ამერიკის ბაზრისთვის Model 3-ის ფასი 35 ათას დოლარამდე დასწია, სწორედ ამისთვის იყო საჭირო რამდენიმე მაღაზიის დახურვა, რათა კომპანიას ავტომობილის ფასი დაერეგულირებინა.

დღეს „ტესლა“ აცხადებს, რომ კომპანიას მსოფლიოს მასშტაბით მეტი საცალო მაღაზიის დახურვა აღარ სურს და ამიტომ გარკვეულ მოდელებზე ფასს ზრდის.

7 მარტს „ტესლამ“ ჩინელ პარტნიორებთან 521 მილიონდოლარიანი შეთანხმება გააფორმა, რომელიც ამერიკული ავტომწარმოებლის უდიდესი საწარმოს ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს.



# ინგლისში მამაკაცი ქრისტიანობის ქადაგების გამო დააკავეს

ინტერნეტში დიდი გამოხმაურება მოჰყვა ვიდეოს, რომელიც ინგლისშია გადაღებული და რომელზეც პოლიცია შავკანიან მამაკაცს იმის გამო აკავებს, რომ ის ქუჩაში ქრისტიანობას ქადაგებს. მამაკაცი, პოლიციის მოთხოვნის მიუხედავად, ქადაგების შეწყვეტაზე უარს ამბობს.

# 8600 მიხაკი სტალინისთვის

2019 წლის 5 მარტს, 10 საათზე, მოსკოვში კრემლის კედელთან სტალინის საფლავი ტრადიციულად შეამკეს ყვავილებით. ეგიდით აქციისა „2 მიხაკი ამხანაგი სტალინისთვის“ საბჭოეთის დიადი ბელადის, გენერალისიმუს სტალინის საფლავზე 8600 ალისფერი მიხაკი მიიტანეს.



# რუსეთმა და თურქეთმა შავ ზღვაში ერთობლივი სამხედრო წვრთნები გამართეს

**თურქული გამოცემა hurriyet daily news -ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა და თურქეთმა შავ ზღვაში ერთობლივი სამხედრო წვრთნა გამართეს.**

წვრთნა შავ ზღვაში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და 8 მარტს დასრულდა. რუსულმა და თურქულმა ხომალდებმა შავი ზღვის აკვატორიაში ურთიერთქმედების მეთოდები დახვეწეს.

**არ არის გამორიცხული, რომ ორმა ქვეყანამ ერთობლივი სახმელეთო წვრთნები მიმდინარე წლის მაისშიც ჩაატაროს.**

ს ი ა ხ ლ ე !

ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



- პროსტატი, პოტენციის დაქვეითება, გაძნელებული შარდვა;
- ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გართულებული კლიმაქსი, უშვილობა;
- ნევროზი, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.

მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ქიმიური წამლებისა და ჰორმონალური პრეპარატების გარეშე.

☎ 599-54-18-30, 247-57-18

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894